



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელმძღვანელო გენდერული სტატისტიკის გამოყენების შესახებ



გამოცემაში გამოსატული მოსაზრებები ყოველთვის არ ემთხვევა პუბლიკაციის მხარდამჭერი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სახელმძღვანელო თავდაპირველად გამოიცა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის მოლდავეთის ოფისების მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2011 წელს, რომელიც ეროვნული სტატისტიკის სისტემის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად და მისი ავტორები არიან:

ქრისტინა ვაილენაუ (თავები I, IV და დანართები)
ვიორიკა რუსუ (თავე II)
ვასილე კანტარჯი (თავე III)

სახელმძღვანელოს ქართული ვერსია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით და გამოიცა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით.

ქართულ ვერსიაზე მუშაობდნენ:

თენგიზ ცეკვავა
გიორგი კალაკაშვილი
ლია ჩარექიშვილი
მანანა ტაბატაძე

ISBN

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	4
თავი I. გენდერული სტატისტიკა და გენდერული ინდიკატორები.....	6
1.1 მოკლე შესავალი გენდერული საკითხების შესახებ.....	6
1.2 რას წარმოადგენს გენდერული სტატისტიკა და რატომ არის იგი აუცილებელი?.....	8
1.3. გენდერული ინდიკატორები.....	9
თავი II. ზოგადი სტატისტიკა – ძირითადი ცნებები.....	13
2.1 სიტყვა “სტატისტიკის” მნიშვნელობა.....	13
2.2 სტატისტიკის განსაზღვრება.....	13
2.3 სტატისტიკის ძირითადი ცნებები.....	14
2.4 სტატისტიკური კვლევებისას ხშირად გამოყენებადი შეფასების შკალები.....	16
2.5 სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზება და გავრცელება.....	17
2.6 კორელაციის თეორიის ელემენტები.....	33
თავი III. სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები:	
შიდასექტორული და სექტორთაშორისი კორელაციები	34
3.1. საზოგადოებრივი ცხოვრება.....	35
3.2. შრომის ბაზარი და დასაქმება.....	41
3.3. სოციალური დაცვა – პენსიები.....	49
3.4. ჯანმრთელობა	55
თავი IV. სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენება	
გენდერული ანალიზისთვის ან/და სახელმწიფო პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების	
შეფასება გენდერული თვალსაზრისით.....	68
4.1. გენდერული თანასწორობა და გენდერული მენსტრამინგი სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიაში.....	68
4.2. გენდერული ანალიზი.....	71
4.3. მოსალოდნელი შედეგების შეფასება გენდერული თვალსაზრისით.....	75
დანართები.....	85
ა. კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით (1995) განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით.....	85
ბ. საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ინსტრუმენტები, რომელიც გენდერული სტატისტიკის განვითარებას უწყობს ხელს.....	89
გ. გენდერული ტერმინების განმარტება.....	91
გამოყენებული ლიტერატურა.....	95

წინასიტყვაობა

წინდამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო განკუთვნილია მათთვის, ვინც იყენებს სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რომ მათთვის უფრო გასაგები გახდეს გენდერული სტატისტიკის ძირითადი ცნებები და ის თუ როგორაა შესაძლებელი ამგვარი მონაცემების გამოყენება გენდერული დისკრიმინაციის შეფასებისა და დაძლევისათვის, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი პოლიტიკის შემუშავების გზით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია გენდერული საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ იგი თანაბრად დაეხმარება როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც აკვირდებიან და ანალიზებენ არსებულ მდგომარეობას გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

სახელმძღვანელო ოთხი თავისაგან და რამდენიმე დანართისაგან შედგება. გამოცემა იძლევა გენდერული სტატისტიკისა და სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენების კომპლექსურ პერსპექტივას გენდერული თანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის, რათა მომზადდეს და განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს არსებული უთანასწორობის გამოსწორებას საქართველოში, რომელიც ერთნაირად კეთილდღეობის მომტანი იქნება ქალებისა და კაცებისათვის. ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა, თუ როგორ შეიძლება სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემებისა და გენდერული სტატისტიკის გამოყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, რისთვისაც შეძლებისდაგვარად, გამოვიყენეთ პრაქტიკული მაგალითები თეორიულ განმარტებებთან ერთად.

ამრიგად, პირველი თავი ეთმობა შესავალს გენდერული საკითხებისა და გენდერული სტატისტიკის შესახებ, სადაც ხაზგასმულია კონცეპტუალური ბაზის შემუშავების, ცნებების (მათ შორის განსხვავებების) განმარტების და გენდერული სტატისტიკის გამოყენების აუცილებლობა. მეორე თავში წარმოდგენილია სტატისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის ძირითადი ელემენტები მაგალითების საფუძველზე, არა-სპეციალისტებისათვის გასაგები ენით. შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლებს შეეძლება უკეთ გათვითცნობიერდნენ აღნიშნულ საკითხებში და უკეთესად გამოიყენონ სტატისტიკური მონაცემები ანალიტიკური საქმიანობისათვის.

მესამე თავში განხილულია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემების თანაფარდობის შესწავლას რიგი საკითხების გადაწყვეტასა და კოორდინირებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შევეცადეთ წარმოგვედგინა სექტორებშორისი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მაგალითები, გენდერული საკითხის მაქსიმალურად, მიზეზ-შედეგობრივი ასპექტების წარმოჩენით.

სახელმძღვანელოს ბოლო თავში განმარტებულია სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გამოყენების მნიშვნელობა მიუკერძოებელი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის ქალებისა და კაცების მიმართ. ასევე მოცემულია მოკლე პრეზენტაცია გენდერული ანალიზისა და გენდერული კუთხით მოსალოდნელი შედეგების შეფასების პრინციპების შესახებ, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის პროცესში.

სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემების და გენდერული სტატისტიკის გამოყენება მხოლოდ საშუალებაა და არა პრობლემის გადაწყვეტა.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ პრაქტიკული სახელმძღვანელო არ წარმოადგენს “შზა რეცეპტების კრებულს”. ჩვენი მიზანი იყო მკითხველისათვის მხოლოდ აუცილებელი საშუალებების მიწოდება ზოგადად სტატისტიკური მონაცემების და კერძოდ, სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მომხმარებელთა და პოტენციურ მომხმარებელთა მიერ გენდერული ანალიზის წარმატებით განხორციელებას, ქალებისა და კაცების მიმართ თანაბრად მიუკერძოებელი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.

თავი I. გენდერული სტატისტიკა და გენდერული ინდიკატორები

სახელმძღვანელოს პირველი თავი წარმოადგენს მოკლე შესავალს გენდერულ საკითხებში. ნახვასმულია ასევე გენდერული საკითხების ანალიზის მნიშვნელობა ისეთი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, რომელშიც თანაბარი უფლებებით სარგებლობს მისი ყველა წევრი, ქალი და კაცი. ჩვენ გავცნობით გენდერული სტატისტიკის ტერმინოლოგიას, სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებულ სტატისტიკურ მონაცემებს და გენდერულ ინდიკატორებს, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული პრობლემების შეფასების, პროგრამული მიმართულებებისა თუ პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების გენდერული კუთხით შეფასებისა და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტს.

1.1 მოკლე შესავალი გენდერული საკითხების შესახებ

საზოგადოებაში, ქალსა და კაცს განსხვავებული როლი, რესურსები, მოთხოვნები და ინტერესები გააჩნია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობა არათანაბარია. “ქალისა” და “კაცის” სამუშაოს მიმართ ჩამოყალიბებული შეფასებებიც არ არის თანაბარი. განსხვავებები არათანაბარია სხვადასხვა საზოგადოებაში, კულტურასა თუ ქვეყანაში. მრავალი სტრატეგია თუ პოლიტიკა არ ითვალისწინებს აღნიშნული განსხვავებების არსებობას, რასაც შედეგად მოყვება ის, რომ კერძო და სახელმწიფო ინფრასტრუქტურა, დასაქმების, ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროები ხშირად ყალიბდება ქალისა და კაცის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. უმრავლეს შემთხვევაში ხდება მხოლოდ კაცის მოთხოვნების გათვალისწინება.

ბავშვის დაბადება ოჯახის ცხოვრებაში განუმეორებელ მოვლენას წარმოადგენს. ბავშვის დაბადებას ნაზღვრადივი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის წინ. თუ მშობლებისათვის ცნობილია ბავშვის სქესი, გოგონასათვის ამზადებენ ვარდისფერ კომპლექტებს, ხოლო ბიჭებისთვის – ცისფერს.

ეს მხოლოდ ფერებს შორის განსხვავებაა? აშკარად – არა. ოჯახი ელოდება ახალშობილის დაბადებას, უკვე შერჩეული ფერებით და ჩამოყალიბებული მოლოდინებით, რაც მის (გოგონას თუ ბიჭის) ცხოვრებას განსაზღვრავს: თუ გოგონაა, ის არ/უნდა იქცეოდეს ასე..., არ/უნდა იყოს ასეთი..., არ/უნდა გამოიყურებოდეს ასე..., არ/უნდა ისწავლოს ..., როცა გაიზრდება არ/უნდა იყოს... და ა.შ., ხოლო თუ ბიჭია

ასეთი წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებები აყალიბებს ჩვენს ფასეულობათა მოდელს, რაც გვაქცევს “ქალად” ან “კაცად”, ამ სიტყვების სოციალური მნიშვნელობით.

ოჯახი პირველია, რომელსაც ჩვენამდე მოაქვს ეს სიმბოლური განწყობა, რომელსაც ცხოვრების მანძილზე უერთდება სკოლა, ეკლესია, მასმედია და ზოგადად საზოგადოება.

გენდერი წარმოადგენს განსხვავებას ქალსა და კაცს შორის, რომელიც განისაზღვრება სოციალურად და კულტურულად, შეითვისება და იცვლება დროთა განმავლობაში. ეს განსხვავებები წარმოადგენს სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული საზოგადოებისა და კულტურული გავლენების პასუხს. ამრიგად, გენდერული საკითხი ემყარება კაცსა და ქალს შორის ბიოლოგიურ განსხვავებებს, თუმცა ისინი ყალიბდება გარემო ფაქტორებით, კულტურული თავისებურებებით, სოციალური ნიშნებითა და ღირებულებებით. განსხვავებების სპექტრი მნიშვნელოვნად იცვლება, როგორც ერთი კულტურის ფარგლებში, ასევე, სხვადასხვა კულტურებს შორის.

გენდერი წარმოადგენს კონცეპტუალურ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება გარკვეულ კონტექსტში კაცისა და ქალის როლის, მოვალეობების, შეზღუდვების, შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ანალიზისათვის.

გენდერული უთანასწორობა ჩამოყალიბდა ქალსა და კაცს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების მთელი ისტორიის მანძილზე. გენდერულ როლებსა და მოთხოვნებებზე გავლენას ახდენს კლასობრივი მდგომარეობა, ასაკი, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება, კულტურა და რელიგიური მრწამსი, ისევე როგორც, გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტი-

კური გარემო. ნებისმიერ სოციალურ კონტექსტში, გენდერული როლები შეიძლება იყოს მოქნილი ან ხისტი, მსგავსი ან განსხვავებული, ურთიერთშემავსებელი ან წინააღმდეგობრივი. ქალთა და კაცთა შორის სოციალურ უთანასწორობასთან ერთად, არსებობს განსხვავებები ეკონომიკური და სოციალური, გადაწყვეტილების მიღების დონეზე მონაწილეობის, ასაკისა და სხვა პარამეტრების მიხედვით. ამრიგად, შეგვიძლია მართებულად განვაცხადოთ, რომ გენდერული განსხვავებები და უთანასწორობა წარმოადგენს მიკერძოებულობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სოციალურ დონეზე.

ტერმინი “გენდერი” არ ანაცვლებს ტერმინს “სქესი”, რომელიც ეხება მხოლოდ ბიოლოგიურ განსხვავებებს კაცსა და ქალს შორის. სქესთან დაკავშირებული პარამეტრები უნივერსალური და უცვლელია. სქესისაგან გასხვავებით, გენდერი განსაზღვრავს სოციალურ ურთიერთობას ქალსა და კაცს შორის, რაც შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემოებების ზეგავლენით.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერი წარმოადგენს სტრუქტურულ განსხვავებას, რომელიც მთელ მოსახლეობაზე ახდენს გავლენას. არც ქალთა და არც კაცთა ჯგუფები არ უნდა იქნას გამოყოფილი განსაკუთრებულად სხვა ჯგუფებისაგან. გარდა ამისა, გენდერი გავლენას ახდენს და ხშირად აერთიანებს განსხვავებებსა და დაუცველობას, რომელიც წარმოიშობა სხვა სტრუქტურული განსხვავებების შედეგად, როგორცაა: რასა, გარეგნობის ეთნიკური ნიშნები, სოციალური კეთილდღეობის დონე, ასაკი, შეზღუდული უნარი, სქესობრივი ორიენტაცია და ა.შ.

უ ც პ ლ ე ლ ი	სქესი = ბიოლოგიური განსხვავება ქალსა და კაცს შორის	გენდერი = სოციალური ურთიერთობა ქალსა და კაცს შორის	ც პ ა ლ ე ბ ა ი
	<ul style="list-style-type: none"> - ბუნებრივად უცვლელი, უნივერსალური განსხვავებები; - არ იცვლება დროთა განმავლობაში, ან ერთი კულტურიდან მეორეში. 	<ul style="list-style-type: none"> - განსხვავებები, რომელიც იქმნება სოციალური ურთიერთობების ისტორიის მანძილზე, და შეიძლება შეიცვალოს; - ქალისა და კაცის როლი იცვლება დროთა განმავლობაში და ერთი კულტურიდან მეორეში. 	

<ul style="list-style-type: none"> - მხოლოდ ქალები აჩენენ და ძუძუთი კვებავენ ბავშვებს; - მხოლოდ კაცებს შეუძლიათ ბუნებრივად გაანაყოფიერონ ქალი. 	<ul style="list-style-type: none"> - ქალებს შეუძლიათ იყვნენ კარგი პრემიერ მინისტრები; - კაცებს შეუძლიათ კარგად გაართვან თავი ბავშვის მოვლას.
--	--

გენდერული საკითხი ეხება ქალისა და კაცის ცხოვრების ყველა ასპექტს და მათ ხელთ არსებული შესაძლებლობის განსხვავებების ანალიზს, სპეციფიკურ მოთხოვნილებებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. გენდერული პრობლემების სპექტრი არ მოიცავს მხოლოდ ქალების პრობლემების განხილვასა და ანალიზს. იგი ეხება ქალისა და კაცის სტატუსის შედარებას ყველა სოციალურ სფეროში და ქალსა და კაცს შორის არსებული უთანასწორობის ანალიზს, იმ მიზნით, რომ გამოსწორდეს შეზღუდული და არათანაბარი გარემოებები, რომელიც გენდერული ნიშნებითაა განპირობებული და რომ უზრუნველყოფილ იქნას თანასწორი განვითარება ქალებისა და კაცებისა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქალები უფრო მეტად არიან დაუცველები, კაცებსაც უწევთ მრავალი დაბრკოლების გადალახვა.

სტრატეგიები, რომლებიც იქმნება ქალებისა და კაცების მოსახლეობის ჯგუფისათვის, ან პირდაპირა დაკავშირებული აღნიშნულ მიზანთან, მეტ-ნაკლებად უკეთ ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას.

საზოგადოებრივი პოლიტიკა სხვადასხვაგვარად მოქმედებს ქალებსა და კაცებზე და მისი დაგეგმვა და შემუშავება სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული არსებული გენდერული უთანასწორობის გაღრმავება, მოხდეს

მისი შემცირება და თანაბარი მიდგომები შემუშავდეს ქალებისა და კაცების ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიმართ. თუმცა, უფრო დეტალური ანალიზის პირობებში, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ პოლიტიკა, რომელიც, ერთი შეხედვით, გენდერულად ნეიტრალურია, განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე. ეს ხდება იმიტომ, რომ არსებობს საგულისხმო განსხვავებები ქალებისა და კაცების ცხოვრებას შორის სხვადასხვა სფეროებში და ერთი შეხედვით ნეიტრალურმა პოლიტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არსებული უთანასწორობის უფრო მეტად გაღრმავებას.

1.2 რას წარმოადგენს გენდერული სტატისტიკა და რატომ არის იგი აუცილებელი?

გენდერული სტატისტიკა წარმოადგენს სტატისტიკის სფეროს, რომელიც პორიზონტალურ ჭრილში კვეთს სტატისტიკის ტრადიციულ სფეროებს და მიზნად ისახავს, ქალებისა და კაცების ცხოვრებისა და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკის გავლენის რეალურად ამსახველი სტატისტიკური მონაცემების განსაზღვრას, წარმოებას და გავრცელებას¹. გენდერული სტატისტიკა იძლევა გენდერული უთანასწორობისა და გენდერული საკითხების სისტემატურად შესწავლის საშუალებას. გენდერული საკითხები ეხება ქალებისა და კაცების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებს, უთანასწორობას, რომელიც არსებობს რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების მხრივ, საქმიანობას, რომელსაც ისინი ახორციელებენ და იმას, თუ როგორ რეაგირებენ ცვლილებებზე, სახელმწიფო პოლიტიკასა და ინტერვენციებზე.

გენდერული სტატისტიკის საყოველთაოდ მიღებული განმარტება უპირატესად ემყარება შევედეთის სტატისტიკის ბიუროს² მოწინავე საქმიანობას გენდერული სტატისტიკის ხელშეწყობის მხრივ ეროვნულ დონეზე და გენდერული სტატისტიკის განვითარებაზე გლობალურ კონტექსტში. ზოგადად, არსებობს სამი ძირითადი პირობა გენდერული სტატისტიკის განხორციელებისთვის³:

გენდერული სტატისტიკა

1. ადამიანების შესახებ არსებული ყველა სახის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, თავმოყრა და მათი წარმოდგენა გენდერული ნიშნის მიხედვით;
2. ყველა ცვლადი და მახასიათებელი უნდა გაანალიზდეს და წარმოდგენილ იქნას გენდერული ნიშნის, როგორც პირველადი, ასევე ზოგადი კლასიფიკაციის კრიტერიუმის მიხედვით;
3. საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა გენდერული საკითხების გამოვლენის, აღნიშნული საკითხების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და საზოგადოებაში მათი გავრცელების უზრუნველყოფისათვის.

გამოცემა “Engendering Statistics. A tool for Change”, რომელიც შევედეთის სტატისტიკის ბიუროს მიერ იქნა გამოცემული, გენდერული სტატისტიკის კომპონენტებად მიიჩნევს კიდევ ორ საკითხს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს⁴:

4. მონაცემების შეგროვების პროცესში გამოყენებული ცნებებისა და განსაზღვრებების ფორმულირება, რომელიც ადეკვატურად ასახავს კაცსა და ქალს შორის არსებულ განსხვავებებს და მოიცავს მათი ცხოვრების ყველა ასპექტს და
5. მონაცემების შეგროვების მეთოდების შემუშავება გენდერული სტერეოტიპებისა და სოციალურ-კულტურული გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც პოტენციურად დამაბნეველია გენდერული თვალსაზრისით მონაცემების ინტერპრეტირების დროს.

¹ UNECE-ის განმარტების მიხედვით: Making Gender Statistics, <http://www.uncece.org/stats/gender/gerstats/gerstats-1.htm>

² Statistics Sweden

³ Lorraine Corner, “From Margins to Mainstream: From Gender Statistics to Engendering Statistical Systems”, UNIFEM in Asia-Pacific and Arab States, p.2

⁴ B. Hedman, F.Perucci, P.Sundstrom “Engendering Statistics – A Tool for Change” Statistics Sweden, 1996, p.11

გენდერული ასპექტების განსაზღვრაზე მოთხოვნა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ საჭიროებს სტატისტიკური მონაცემების არსებობის აუცილებლობას იმ სფეროებში, რომელიც უფრო მეტად რელევანტურია ერთი სქესის და ნაკლებად რელევანტური – მეორის მიმართ. გარდა ამისა, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკამ და პროგრამებმა შესაძლოა გასწავებული გავლენა იქონიოს ქალებსა და კაცებზე, შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული მოთხოვნების მონიტორინგი ამ კუთხით.

გენდერული სტატისტიკა არ გულისხმობს მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას ქალების შესახებ. ეს უფრო მეტია, ვიდრე სტატისტიკური მონაცემების მარტივი განაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით. გენდერული ასპექტების ადეკვატურად ამსახველი სტატისტიკის წარმოება გულისხმობს ყველა სტატისტიკური მონაცემის დამუშავებას, საზოგადოების დონეზე ქალისა და კაცის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით. აღნიშნული გულისხმობს, რომ ყველა სახის სტატისტიკური მონაცემი (რომელიც პირდაპირ და ირიბად ეხება ადამიანებს) უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს იმ გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელსაც განსხვავებული გავლენა გააჩნია ქალსა და კაცზე. ეს პროცესი შეიძლება აისახოს, როგორც გენდერული საკითხების მეინსტრიმინგი სტატისტიკაში.

ეროვნულ დონეზე ქვეყნების გენდერული სტატისტიკის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია თანამშრომლობა სტატისტიკური მონაცემების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. სტატისტიკის მომხმარებლებს გააჩნიათ სპეციფიკური მოთხოვნები სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რომელიც მწარმოებლებმა უნდა დააკმაყოფილონ შესაბამისი სტატისტიკური პროდუქტებით. ეს პროცესი ხორციელდება პერმანენტული დიალოგის ფარგლებში მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის. მომხმარებლებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი კრიტერიუმები კონკრეტული მოთხოვნების მიხედვით, ხოლო სტატისტიკური მონაცემების მიმწოდებლებმა უნდა უპასუხონ მომხმარებელთა სპეციფიკურ მოთხოვნებს. თუმცა, ხშირად, მომხმარებლებმა არ იციან სტატისტიკის გარკვეული მონაცემების შესახებ, ან/და არ შეუძლიათ საკუთარი მოთხოვნების ნათლად ჩამოყალიბება. მეორეს მხრივ, სტატისტიკური მონაცემების მიმწოდებლები ყოველთვის არ პასუხობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს ან მათი საშუაოს გენდერულ სპეციფიკას. მომხმარებლებმა უნდა ისწავლონ თუ როგორ ჩამოაყალიბონ საკუთარი მოთხოვნები ეფექტიანად და როგორ გამოიყენონ სტატისტიკური მონაცემები საკუთარ საქმიანობაში; ხოლო სტატისტიკის მწარმოებლებს უნდა შეეძლოთ გენდერული ასპექტებისა და პრობლემების წვდომა, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას ასახული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების დროს. მხოლოდ ამ ორ სოციალურ ჯგუფს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობით გახდება შესაძლებელი ყოველისმომცველი გენდერული სტატისტიკის წარმოება, რომელიც უპასუხებს მომხმარებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ყველასთვის გასაგები და ადვილად გამოყენებადი იქნება.

1.3. გენდერული ინდიკატორები

ინდიკატორები წარმოადგენენ მონაცემებს, რომლებიც თავს უყრის დიდი მოცულობის ინფორმაციას ერთ რიცხვში, დინამიკაში ნაჩვენები ცვლილების ასახვით. გენდერული ინდიკატორები შეიძლება განისაზღვროს როგორც მაჩვენებელი, რომელიც აღრიცხავს გენდერულ ცვლილებებს დინამიკაში.

მაშინ, როცა გენდერული სტატისტიკა იძლევა ფაქტიურ ინდიკატორებს ქალებისა და კაცების მდგომარეობის შესახებ, გენდერული ინდიკატორები მოიცავენ პირდაპირ მტკიცებულებას ქალთა და კაცთა მდგომარეობის შესახებ დადგენილ ნორმატიულ სტანდარტთან ან ნათლად განსაზღვრულ შესაბამის ჯგუფთან შედარებით.

განსხვავება გენდერულ სტატისტიკასა და გენდერულ ინდიკატორებს შორის

გენდერული სტატისტიკა	გენდერული ინდიკატორები
<p>“X” ქვეყნიდან ქალების 60% წერა-კითხვის მცოდნეა, ნაცვლად 30%-ისა 5 წლის წინ.</p> <p>“X” ქვეყნიდან კაცების 82% წერა-კითხვის მცოდნეა, ნაცვლად 52%-ისა 5 წლის წინ.</p>	<p>“X” ქვეყნიდან 60% ქალებისა წერა-კითხვის მცოდნეა, ხოლო კაცებში იგივე მაჩვენებელი 82%-ს უდრის, როცა 5 წლის წინ იგივე მაჩვენებლები შესაბამისად 30% და 52%-ს უდრიდა.</p> <p>ნორმა ან საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილია კაცებით იგივე ქვეყნიდან, ხოლო სხვა შემთხვევებში შესაძლოა აღნიშნული ჯგუფი ქალებისგან შედგებოდეს.</p>

ეროვნულ დონეზე, გენდერული ინდიკატორები საჭიროა მათთვის, ვინც შეიმუშავებს და ამტკიცებს სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც გენდერული უთანასწორობის შეფასების საშუალებას. გარდა ამისა, გენდერული ინდიკატორები იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკის შემუშავება აღნიშნული უთანასწორობის შესამცირებლად და გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად. გენდერული ინდიკატორების საშუალებით უნდა გამოსწორდეს ის ფესვადგმული სტერეოტიპები, რომელიც თავს იჩენს ინდიკატორებში ეროვნულ დონეზე, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), რომელიც არ აფასებს ქალთა აუნაზღაურებელი შრომის კონტრიბუციას და არ შეყავს იგი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

ზოგადად, არსებობს გენდერული ინდიკატორების ოთხი ძირითადი კატეგორია:

1. სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული ინდიკატორები

მაგალითები:

- პარლამენტის წევრი ქალების პროცენტული მაჩვენებელი პარლამენტის წევრ კაცების პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით;
- ქალთა დასაქმების მაჩვენებელი, კაცების იგივე მაჩვენებელთან შედარებით.

საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად ღრმად უნდა მოვახდინოთ მონაცემთა ანალიზი და დიფერენცირება, რადგან შესაძლოა მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდეს ერთი ინდიკატორის შესახებ სხვადასხვა ჯგუფებში, იქნება ეს ქალები თუ კაცები, ასაკის, შემოსავლის წყაროს, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

მაგალითად, ანაზღაურებადი შრომის ბაზარზე დასაქმების ინდიკატორის განხილვისას, შეიძლება შევნიშნოთ, რომ გარდა მონაცემების დიფერენციაციისა სქესის ნიშნის მიხედვით, შესაძლებელია მონაცემების განაწილება ასაკობრივი ჯგუფის, განათლების დონის, საცხოვრებელი ადგილის (ქალაქად/სოფლად), ეკონომიკური საქმიანობის, პროფესიული ჯგუფის, პროფესიული სტატუსის, ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით და ა.შ.

ამრიგად, ინდიკატორი, რომელიც მხოლოდ სქესის ნიშნის მიხედვითაა დიფერენცირებული, ზოგადად გვიჩვენებს საშუალო გენდერულ უთანასწორობას (gender gap). თუმცა შეიძლება დაიფაროს საგულისხმო განსხვავებები იგივე სქესის ქვეჯგუფების დონეზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული ინდიკატორები რელევანტურია სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავებისათვის.

2. სპეციფიკური გენდერული ინდიკატორები

მაგალითები:

- გაუპატიურების რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც სასამართლომ განიხილა, სადაც მსხვერპლის როლში მხოლოდ ქალები გვევლინებიან;
- პროსტატის კიბოს შემთხვევების რაოდენობა, რომელიც მხოლოდ კაცებს ეხება და ა.შ.

მსგავსი ინდიკატორები რელევანტურია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისათვის, იმ საკითხებზე, რომელიც კონკრეტულად კაცებს ან ქალებს ეხება.

3. გენდერულად რელევანტური ინდიკატორები

მაგალითები:

- გარკვეულ არეალში ბაგა-ბალების რაოდენობა;
- უახლოეს სამედიცინო ან საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მანძილი.

ზოგადად, უმეტეს შემთხვევაში, ქალებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბავშვთა მოვლასა თუ აღზრდაზე, ამრიგად, მსგავსი დაწესებულების რაოდენობა რელევანტურია ქალთა მდგომარეობისათვის. მსგავსად აღნიშნულისა, თუ ქალი სავარაუდოდ, უფრო მეტად ზრუნავს ბავშვებზე, ვიდრე კაცი, უფრო მეტად მოუწევთ მათ ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებსა თუ სკოლაში წაყვანა, ამდენად აღნიშნული ინდიკატორი ამკარად გენდერულად რელევანტურია. მსგავსი ტიპის ინდიკატორები მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსაპოვებლად ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების შესახებ, ან ზოგიერთი შემთხვევების გამოსაკვლევად, როცა ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი შრომის ბაზარზე.

4. ინდიკატორები, რომელთაც უპირატესობას ანიჭებენ ქალები, ვიდრე კაცები და პირიქით

მაგალითი – მმართველობის სფეროდან:

- ქალები გაცილებით უარყოფითად აფასებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მომსახურებაზე ქრთამის მიცემის ფაქტს, ვიდრე კაცები;
- ქალები უფრო ხშირად მხარს უჭერენ პარტიებს ან კანდიდატებს, ვისაც გააჩნია საარჩევნო პროგრამა, რომელშიც ყურადღება ეთმობა ოჯახს, განათლებასა და ჯანმრთელობას, ხოლო კაცები უფრო ხშირად მხარს უჭერენ პარტიებს ან კანდიდატებს, ვინც საარჩევნოდ პირდება ეკონომიკურ ზრდასა და კერძო ინიციატივების სტიმულირებისკენ მიმართული პოლიტიკის გატარებას.

მსგავსი ტიპის ინდიკატორები უმეტესწილად ხარისხობრივი კვლევის შედეგად მიიღება და არ არის აუცილებელი, რომ გენდერულ საკითხებს ეხებოდეს, თუმცა ასახავენ განსხვავებებს, რომელიც არსებობს ქალებისა და კაცების პრიორიტეტებში, სხვადასხვა სექტორთან მიმართებაში. აღნიშნულის მიუხედავად, ქალებისა და კაცების პრიორიტეტებს შორის არსებული განსხვავებების უფრო ღრმა კვლევას მივყავართ გენდერულ როლებს შორის არსებულ განსხვავებებამდე.

გენდერული ინდიკატორების კიდევ ერთი კლასიფიკაცია ემყარება მათ ტიპებს: ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს. განსხვავებები, მათ შორის, ეხება ინფორმაციისა და ცოდნის სახეს, რომელსაც თითოეული მათგანი წარმოშობს:

რაოდენობრივი ინდიკატორები მონაცემები მოცემულია ჯამურად და ცვლადების სახით	ხარისხობრივი ინდიკატორები - მონაცემები უფრო კომპლექსური და სპეციფიკურია - მნიშვნელოვანია არა მონაცემების რაოდენობა, არამედ ხარისხი
---	---

<i>მაგალითი:</i> სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები არის ტაპირი რაოდენობრივი ინდიკატორები	<i>მაგალითი:</i> პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, როგორც: ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი ან ძალიან ცუდი.
--	--

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი ინდიკატორების შემუშავება უფრო ადვილია და გავრცელებულია, გარკვეულწილად მაინც შეზღუდულია. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ისინი არ გვიჩვენებენ ფართო სოციალურ მოდელს და უფრო მეტად ავლენენ შედეგებს, ვიდრე იმის მიზეზებს, თუ რატომ ჩამოყალიბდა გენდერული ურთიერთობები ამა თუ იმ სახით და როგორ შეიძლება ამ ურთიერთობების შეცვლა. ამრიგად, ხარისხობრივი ინდიკატორების სისტემას უნდა დაემატოს გენდერული ანალიზი, რომელიც მოიცავს ქალსა და კაცს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების კვლევას (ზოგჯერ მიკრო დონეზე), ისევე როგორც, საზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლებისა, რომელიც განამტკიცებს და ინარჩუნებს გენდერული უთანასწორობის მდგომარეობას.

გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, თუ რომელი ხარისხობრივი ინდიკატორია აუცილებელი ცვლილებების ხარისხის დასაფიქსირებლად, კაცებისა და ქალების ჯგუფების მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხობრივი ინდიკატორები ხშირად მონაცემების შეგროვების და გავრცელების მონაწილეობითი მეთოდის გამოყენებით დგინდება, ისინი შესაძლოა უკეთესად ასახავდნენ ქალებისა და კაცების მდგომარეობას და მომხდარ ცვლილებებს, ვიდრე რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ხშირად არ გამოხატავს ქალის მოსაზრებებს.

განსხვავება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებს შორის

რაოდენობრივი ინდიკატორები	ხარისხობრივი ინდიკატორები
ქალებისა და კაცების უმუშევრობის დონე შრომის ბაზარზე, დროის გარკვეულ მომენტში (გამოხატული პროცენტებში)	დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე ოჯახებში, შრომის გენდერული დანაწილება და ქალის სტატუსი, კაცთა და ქალთა ჯგუფების მიხედვით.
<i>მონაცემების მიღება შესაძლებელია სამუშაო ძალის კვლევით</i>	<i>მონაცემების მიღება შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად</i>

ყველაზე მნიშვნელოვანი გენდერული ინდიკატორები 10 ძირითად ჯგუფად იყოფა. კლასიფიკაციის ეს სისტემა შემოღებულ იქნა გაეროს რეკომენდაციით და პრიორიტეტული სფეროები განისაზღვრა 1995 წლის პეკინის სამოქმედო პლატფორმით (იხ. დანართი ა).

მნიშვნელოვანწილად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები და გენდერული ინდიკატორები⁵. აღნიშნულის მიუხედავად, არსებობს პრობლემები მათი მიმოხილვის, დეტალიზების, მონაცემების შეგროვების სფეროების და გენდერული სტატისტიკის ბიუჯეტის შედგენის სფეროებში. სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლებისთვის, ვინც არ წარმოადგენს სტატისტიკის სპეციალისტებს, საკმაოდ რთულია ზოგადი პერსპექტივის მიღება დაცალკევებული, იზოლირებული ცხრილებიდან, რომელიც

⁵ ძირითადად პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის შედეგად (1995)

სხვადასხვა სტატისტიკურ სფეროს ასახავს. ის ფაქტი, რომ გენდერული ინდიკატორები სტატისტიკის თითქმის ყველა სფეროს ეხება, გარკვეულად ცნობადს ხდის მათ. ამრიგად, აუცილებელია სპეციალური მასალების ან გამოცემების მომზადება, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს გენდერულ პერსპექტივას, ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი უნდა მოიცავდეს გენდერული ასპექტების კარგად ჩამოყალიბებულ ანალიზს.

თავი II. ზოგადი სტატისტიკა – ძირითადი ცნებები

მეორე თავში გავეცნობით ზოგად სტატისტიკას, რომელიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების მიღების პროცესს თანამედროვე ეკონომიკაში. სტატისტიკა ავსებს კარგი მენეჯერის ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა გამოცდილება და ინტუიცია. ჩვენი მიზანია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეიძლება სტატისტიკის, კერძოდ, გენდერული სტატისტიკის, გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაძლო ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთებისას. სტატისტიკას შემდეგი მახასიათებლები გააჩნია:

- ა) იგი იძლევა ინსტრუმენტებს მონაცემების ოპტიმალური აღწერისა და წარმოდგენისათვის - ცხრილების ან დიაგრამების სახით;
- ბ) იყენებს სტატისტიკურ მეთოდებს, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გაკეთდეს სანდო პროგნოზი კონკრეტულ ცვლადებთან მიმართებაში;
- გ) სწორი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელია ძვირადღირებული კვლევების ჩატარება მოსახლეობის ფართო ფენებში, როცა შერჩეული გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაცია საკმარისია.

2.1 სიტყვა “სტატისტიკის” მნიშვნელობა

ტერმინს “სტატისტიკა” რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია, რომლებიც განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს მას და რა მიზნით. ამრიგად, სიტყვა “სტატისტიკა” შესაძლოა აღნიშნავდეს შემდეგს:

- 1. სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოცემულია საერთაშორისო და ეროვნული სტატისტიკური სამსახურების გამოცემებში (უმუშევრობის დონე, განათლების დონე სქესობრივი ნიშნის მიხედვით და. ა.შ.);
- 2. მეთოდები და პროცესები მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზისათვის;
- 3. საგანი, რომელიც ისწავლება უმაღლესი პროფესიული განათლების დონეზე.

2.2 სტატისტიკის განსაზღვრება

სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც ეხება დროში და სივრცეში ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ხარისხობრივ კვლევას/ანალიზს.

ა) რას წარმოადგენს მოვლენების რაოდენობრივი ასპექტი?

ვთქვათ, ვაპირებთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენის განათლების შესწავლას. ამ მიზნით შეგროვდება უფრო მეტი ინდიკატორი, რომელიც აღწერს აღნიშნულ მოვლენას, მათ შორის მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდენობა სასწავლო დაწესებულების ტიპის მიხედვით. დაწყებითი და საშუალო განათლების, საშუალო პროფესიული განათლების, სახელობო განათლების (კოლეჯების) და უმაღლესი განათლების დონეზე არსებული მოსწავლეების კონკრეტული რაოდენობის შედარებით ანალიზი, თეორიული თვალსაზრისით, იქნება სტუდენტთა განაწილების რაოდენობრივი ასპექტის ანალიზი სასწავლო დაწესებულების ტიპების მიხედვით.

ბ) რას ნიშნავს დროში და სივრცეში ცვალებადი მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები?

სტატისტიკურ კვლევას გააჩნია გარკვეული თავისებურება, კერძოდ, მისი შესწავლის საგანია მოვლენები და პროცესები, რომლებიც მრავალი კერძო შემთხვევებისაგან შედგება (მასობრივ მოვლენას წარმოადგენს); ისინი განსხვავებულია ელემენტების და კონკრეტული შემთხვევების მიხედვით და ვლინდება, როგორც კერძო შემთხვევები დროში, სივრცეში და ორგანიზაციული ფორმების მიხედვით. ამრიგად, მონაცემების დამუშავების შემდგომ, მიიღება განზოგადებული შედეგები, რომელიც კერძო შემთხვევებზე დაკვირვებას ეფუძნება.

გარდა ამისა, სტატისტიკური კვლევის შედეგად მიღებული განზოგადებები ჭეშმარიტია მხოლოდ საშუალო მაჩვენებლების თვალსაზრისით. იგი ასახავს ყველა შესწავლილი ობიექტის მხოლოდ ტიპიურ (გავრცელებულ) მახასიათებლებს და აღწერს ცალკეული ელემენტების მახასიათებლებს, რადგან სტაბილურობა უფრო მეტია ჯგუფში, ვიდრე ცალკეულ პირთან მიმართებაში.

უფრო დეტალურად, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

სტატისტიკური კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ქალისა და კაცის სახელფასო ანაზღაურებას შორის განსხვავებების/მსგავსებების დადგენას საქართველოში.

კვლევა განხორციელდება სქესობრივი ნიშნის მიხედვით დიფერენცირებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ეხება ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ გადახდილ ხელფასს დაქირავებული სამუშაოსათვის ერთი თვის, კვარტალის ა.შ. მანძილზე (კვლევის მიზნებიდან გამომდინარე).

2009 წელს საშუალო ხელფასის ოდენობას შორის სხვაობამ კაცებსა და ქალებს შორის მთლიანად საქართველოში შეადგენა 29 2,50 ლარი. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველა სფეროში კაცების ხელფასი მაღალია, ვიდრე ქალების (იხ. ცხრილი N20).

2.3. სტატისტიკის ძირითადი ცნებები

სტატისტიკის გამოყენება გულისხმობს სპეციფიკური ენის ცოდნას. გამოყენებული ტერმინოლოგიის ცოდნა პირველი პირობაა აღნიშნული სფეროს გასაგებად. ქვემოთ მოგვყავს სტატისტიკური ანალიზის პროცესის ცნებების განმარტებები. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ცნებების ფუნქციონალურ ასპექტზე, იმის გათვალისწინებით, რომ მოკლე მონახაზი ვერ მოიცავს კვლევის საგნის ყველა ასპექტს.

სტატისტიკური ანალიზის პირველი ცნებაა მახასიათებელი.

მახასიათებელი არის რაიმე გაზომვადი, რომლის გადამოწმება ან შეცვლა შესაძლებელია კვლევის შედეგად. იგი წარმოადგენს ჯგუფის შემადგენელი ერთეულების საერთო თვისებას.

სტატისტიკური მახასიათებლების მაგალითებია:

დასაქმებულთა მიმართებაში - შრომითი სტაჟი, სპეციალიზაცია, ხელფასი, საქმიანობის სფერო, კვალიფიკაციის დონე, პროდუქტიულობა, ა.შ.

ადამიანებთან მიმართებაში - ასაკი, ეროვნება, სიმაღლე, წონა, საცხოვრებელი ადგილი, სქესი, რელიგია, ა.შ.

საწარმოებთან მიმართებაში - შემოსავალი, დასაქმებულთა რაოდენობა, მასალებისა და მზა პროდუქციის მარაგები, ა.შ.

სტატისტიკურ მახასიათებლებს, ასევე უწოდებენ სტატისტიკურ ცვლადებს, რადგან შესაძლებელია მათი ცვლილება დროსა და სივრცეში, დაკვირვების სხვადასხვა ერთეულების მიხედვით.

მაჩვენებლებს, რომლებიც ერთი მახასიათებლის მიხედვით ფიქსირდება სხვადასხვა პირთან მიმართებაში, ვარიანტებს უწოდებენ.

სტატისტიკის შემდეგი ცნებაა **სტატისტიკური ერთობლიობა**.

სტატისტიკური ერთობლიობა წარმოადგენს საგნების, პირთა, მოსახრებების, იდეების, მოვლენების, ა.შ. ჯგუფს, რომელიც კვლევას ექვემდებარება.

რაც უფრო მეტია მოსახლეობა, მით უფრო ძნელია ყველა მისი ელემენტის კვლევა. ასეთი კვლევა დიდ დროსა და დანახარჯებს მოითხოვს. გამოსავალი მდგომარეობს ქვეჯგუფების გამოყოფაში, ზოგადი ერთობლიობის რიცხვიდან (რომელსაც ასევე უწოდებენ შერჩევით ერთობლიობას ან შერჩეულ მოსახლეობას). ამრიგად, მთლიანი მოსახლეობის პარამეტრები გამოითვლება შერჩეული მოსახლეობის კვლევის შედეგების და შერჩეული მოსახლეობისათვის გამოთვლილი ინდიკატორების საფუძველზე. შეფასების სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეირჩა ერთობლიობა და კვლევის წარმატება დამოკიდებულია აღნიშნული პროცესის სიზუსტეზე.

შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტატულობა სტატისტიკურ კვლევაზე დამყარებული ნებისმიერი კვლევითი პროცესის გადამწყვეტი ასპექტია.

სტატისტიკა ანალიზებს სტატისტიკურ ერთობლიობებს, რომელიც გამოხატავს რაოდენობას, დონეს დროის კონკრეტულ მომენტში და დინამიკურ ერთობლიობებს, რომელიც ახასიათებს პროცესს, დროის ინტერვალში მომხდარ ცვლილებებს.

სტატისტიკური ერთეულები ესაა სტატისტიკური ერთობლიობის შემადგენელი ელემენტები. არსებობს ორი სახის ერთეული: მარტივი და რთული.

მარტივი ერთეულების მაგალითებია: ადამიანი, პროდუქტი, ა.შ.;

რთული ერთეულების მაგალითებია: ოჯახი, საწარმო, ა.შ.

სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს რიცხობრივ მაჩვენებელს, რომელიც მიღებულია დათვლის, გაზომვის ან სტატისტიკური გამოთვლების შედეგად. ისინი შეიძლება იყოს დაუმუშავებელი, დამუშავებული, გამოქვეყნებული ან შენახული მონაცემთა ბაზებში/ბანკებში.

ცვლადები, რომელიც გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის დროს, იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაშინ, როცა ხდება მათი გაანალიზება რაოდენობრივი თვალსაზრისით. მაგალითად, არაა საკმარისი იმის დადგენა, რომ ქვეყანაში მოსახლეობის კეთილდღეობის დაბალი მაჩვენებელია, აუცილებელია არგუმენტებით დამყარებული ციფრობრივი მონაცემების წარმოდგენა. შედეგად, გვექნება შესაძლებლობა, რომ განხორციელდეს კეთილდღეობის დონის სრული ანალიზი; ჩვენ ასევე შეგვეძლება კეთილდღეობის რეალური დონის შედარება პროგნოზირებულთან, რომელიც წინა პერიოდის ან სხვა ტერიტორიული ერთეულების შეფასებას ეყრდნობა. სოციალურ-ეკონომიკური ცვლადების რაოდენობრივი შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს ეკონომიკაში არსებული ურთიერთდამოკიდებულებებიც და გამოყენებულ იქნას აღნიშნული ცვლადები პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციის მოდულებში.


ინდიკატორების მაგალითები:

- 2009 წელს საქართველოში ქალის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი იყო 398,3 ლარი;
- 2009 წელს საქართველოში კაცის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი იყო 690,8 ლარი;
- 2009 წელს საქართველოში მსჯავრდადებული ქალების რაოდენობამ 1426 შეადგინა;
- 2009 წელს საქართველოში მსჯავრდადებული კაცების რაოდენობამ 18514 შეადგინა.

2.4 სტატისტიკურ კვლევებში ხშირად გამოყენებადი შეფასების შკალები

აშკარაა, რომ ნებისმიერი შეფასებისას შესაძლოა დაშვებულ იქნას შეცდომა. თუმცა სტატისტიკის მიზანია მაქსიმალურად მათი თავიდან არიდება, ან შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ სტატისტიკური ცვლადებისგან მიღებული ინფორმაციის რაოდენობა ღიდადაა დამოკიდებული მათი შეფასების (გაზომვის) შკალაზე. თითოეული შკალა ინდივიდუალურია დამუშავებისა და ანალიზის დროს.

სტატისტიკური ანალიზის დროს დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომაა ანალიზის მახასიათებლების შეფასების შკალის იგნორირება.



ა) **ნომინალური შკალა** აღნიშნავს სიტყვით გამოხატულ ხარისხობრივ მახასიათებლებს.

ნომინალური მახასიათებლების მაგალითებია - პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში საქმიანობის სფერო, სქესი და ა.შ.

ნომინალური მახასიათებლების თითოეულ ვარიანტს შესაძლოა მიენიჭოს რიცხვითი მაჩვენებელი, კოდების სახით. ყურადღება! აღნიშნულ რიცხვებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: გამოავლინოს მსგავსი ერთეულები შერჩეული ერთობლიობიდან, რაც მიზნად ისახავს გამოკვეთილი ჯგუფის/კრიტერიუმის განსაზღვრას.

მაგალითად:

- ეკონომიკური საქმიანობის კოდიფიცირება;
- ოჯახური მდგომარეობის კოდიფიცირება;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კოდიფიცირება და ა.შ.
 - თითოეული ვარიანტისათვის კოდის მინიჭებით ხდება სახეობის და არა ხარისხის/კლასის გამოცალკეება;
 - შეუძლებელია მათემატიკური ოპერაციების განხორციელება რიცხვით მაჩვენებლებზე, რომელიც დაკავშირებულია ვარიანტებთან.

ბ) **ორდინალური შკალა** ასევე გამოიყენება რაოდენობრივად შეუფასებელი მახასიათებლებისათვის, თუმცა იგი იძლევა ვარიანტების კლასიფიკაციის რანჟირების (ranking) საშუალებას. მახასიათებლების განაწილება ხდება მზარდი ან კლებადი თანმიმდევრობით და თითოეულ მათგანს ენიჭება ნომერი (რანგი), რომელიც ასახავს მის პოზიციას კლასიფიკაციის შკალაში.

ორდინალური მახასიათებლების მაგალითებია:

- გამოცდილების დონის მიხედვით მინიჭებული კატეგორიები (მაღალი, I, II, III);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უნარშეზღუდულობის კატეგორიის მინიჭება (I, II, III);

- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სავარაუდო შეფასება (ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი, ძალიან ცუდი), ა.შ.

ორდინალური შკალა არ იძლევა შედარების საშუალებას – თუ რამდენჯერ მაღალი ან დაბალია ერთი მახასიათებლის მაჩვენებელი სხვებთან შედარებით. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო უკეთესია, ვიდრე 2 ვარსკვლავიანი, თუმცა ვერ დავასკვნით, რომ პირველი ორჯერ უკეთესია მეორეზე, მათ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მიხედვით.

გ) ინტერვალური შკალა იძლევა გაანალიზებული მახასიათებლების მაჩვენებლების განაწილებისა და მათ შორის განსხვავებების ჩვენების საშუალებას. გარდა ამისა, ნომინალურ და ორდინალურ შკალებთან შედარებით, ინტერვალური კატეგორიებს შორის შკალაში თანაბარი უნდა იყოს.

ინტერვალური შკალით შეფასებული მახასიათებლების მაგალითებია: კალენდარული დრო, ტემპერატურა, ადამიანების ასაკი, ა.შ.

ინტერვალურ შკალას არ გააჩნია აბსოლუტური ნულის წერტილი. ამრიგად, შეუძლებელია შედარებითი შეფასებების გაკეთება, როგორცაა ”ორჯერ მეტი”, ან “ოთხჯერ მეტი”, ა.შ., იმისათვის, რომ შევადაროთ ინტერვალური შკალის ცალკეული მაჩვენებლები.

უფრო დაწვრილებით განმარტებისათვის, მოვიყვანოთ ინტერვალური შკალით მახასიათებლების შეფასების ორ პრაქტიკულ მაგალითს:

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ 35 წლის ადამიანი უფრო ხანდაზმულია, ვიდრე 17 წლის ასაკისა და რომ განსხვავება ასაკებს შორის 18 წელია; თუმცა არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ადამიანებს შორის ასაკობრივი სხვაობა 2,5 ჯერ მცირეა, ვიდრე 19-29 ასაკობრივი კატეგორიიდან.
- შეგვიძლია ვთქვათ, რომ კალენდარულ თვეში მე-20 და 30-ე დღეებს შორის მანძილი 10 დღეა, თუმცა არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ თვის 30-ე დღე ორჯერ დიდია ვიდრე მე-15 დღე – ორივე იდენტური დღეა, აშკარა ცვლილებების გარეშე, რომელიც დროის განსხვავებულ მომენტებშია განთავსებული.

დ) პროპორციული შკალა, ისევე როგორც ინტერვალური შკალა გამოიყენება რიცხობრივი შეფასებებისათვის.

პროპორციული შკალის მიხედვით შეფასებული მახასიათებლების მაგალითებია: შემოსავალი, მოგება, გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, ექპორტი, იმპორტი, ა.შ.

- მახასიათებლების ამ ტიპისათვის დაშვებულია ყველა სახის მათემატიკური გამოთვლების ჩატარება.
- ნულოვანი ათვლის წერტილი შკალისათვის ბუნებრივად იქმნება, შესაბამისად, მისაღებია შეფასებები – “ორჯერ მეტი, ვიდრე”...

სტატისტიკური დამუშავების მეთოდების უმრავლესობა არ განასხვავებს ინტერვალური და პროპორციული შკალებით შეფასებულ მახასიათებლებს.

2.5 სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზება და გამოცემა

მას შემდეგ, რაც სტატისტიკური მონაცემები შეგროვდება ადმინისტრაციული წყაროდან სრული ან შერჩევით დაკვირვების საფუძველზე, საჭიროა მათი დაჯგუფება ისე, რომ გაადვილდეს მათი სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი. ამიტომაც მივმართავთ პირველ რიგში მონაცემების სისტემატიზების პროცედურებს, შემდეგ მათი წარმოდგენის სახეებს.

ა. სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზება

მონაცემების სისტემატიზება ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფების/კლასიფიკაციის გზით, კერძოდ, მისი განაწილებით ერთგვაროვან ჯგუფებად/კლასებად, ერთი ან მეტი დასაჯგუფებელი/საკლასიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით.

ჯგუფი/კლასი ერთგვაროვანია თუ მასში შემავალ ერთეულებს გააჩნიათ მახასიათებლების თითქმის იგივე მაჩვენებლები, ძალიან მცირე განსხვავებებით.

იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზება ხდება არარიცხობრივი ცვლადის მიხედვით, პროცესს ეწოდება **კლასიფიკაცია**. თუ მონაცემების სისტემატიზება ხორციელდება რიცხობრივი მახასიათებლის მიხედვით, პროცესს ეწოდება **დაჯგუფება**.

სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფების/კლასიფიკაციის შემდეგ, საწყისი ინფორმაციის ნაწილი იკარგება, თუმცა დაჯგუფება/კლასიფიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის ძირითადი თვისების გამოვლენას და აგრეთვე ხელს უწყობს გამოყენებულ მახასიათებლებს შორის კავშირების შესწავლას.

მონაცემების სისტემატიზება უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

- **ინფორმაციის სისრულე** გულისხმობს, რომ ყველა სტატისტიკური ერთეული უნდა იყოს ჩართული ახლად ჩამოყალიბებულ კლასებში, ინტერვალებში;
- **ერთგვაროვნება** წარმოადგენს პირობას მსგავსი მაჩვენებლების მქონე ელემენტების ერთ კლასად გაერთიანებისათვის.
- **კლასიფიკაციის უნიკალურობა** მოითხოვს, რომ თითოეული ელემენტი ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ კლასს.

აღნიშნული წესების უკეთ აღქმისათვის, წარმოგიდგინთ მონაცემების დაჯგუფების პრაქტიკულ მაგალითს:

მონაცემების დაჯგუფების მაგალითი:

გვაქვს ინფორმაცია 20 ადამიანის ასაკის შესახებ, ვინც გაიარა მკურნალობა მიმდინარე თვის განმავლობაში: 15, 20, 25, 35, 58, 45, 47, 65, 85, 45, 78, 45, 45, 35, 36, 38, 26, 23, 27, 28.

გვინდა დავაჯგუფოთ მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, იმისათვის, რომ გავარკვიოთ ასაკობრივი კატეგორია, რომელიც ყველაზე მეტად მიდრეკილი იყო ავადობისაკენ მიმდინარე თვის განმავლობაში.

ჯერ ვადგენთ ასაკობრივი ჯგუფების საზღვრებს: ან შემთხვევითი შერჩევით, ან სპეციალური სტატისტიკური პროცედურების საშუალებით (მონაცემების დაჯგუფება თანაბარი სიდიდის ინტერვალებით, არათანაბარი ინტერვალებით, და ა.შ). მიუხედავად დაჯგუფების მეთოდისა, აუცილებელია სიფრთხილით მოვეკიდოთ შემდეგ ასპექტებს:

- დაჯგუფების პირველი ინტერვალის ქვედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს იმ მწკრივის მინიმალურ მაჩვენებელს, რომელიც უნდა დაჯგუფდეს (ჩვენს შემთხვევაში, ეს მაჩვენებელია 15, ამდენად, იმისათვის, რომ არ დავკარგოთ იგი, შეგვიძლია გამოვიყენოთ გამონათქვამი “19 წლამდე”);
- ჩამოყალიბებული ჯგუფები დალაგდება აღმავალი პრინციპის მიხედვით. არ უნდა იყოს წყვეტა ინტერვალებს შორის, მაშინაც კი თუ არ არსებობს მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში (19 წლამდე, 20-39, 40-59, 60 და ზემოთ);
- ბოლო ინტერვალის ზედა ზღვარი ნაკლები უნდა იყოს მონაცემთა მწკრივის მაქსიმალური მაჩვენებლისა (ყველაზე დიდი ასაკი, რომელიც დაფიქსირდა, იყო 85 წელი,

რაც შეესაბამება ჯგუფს "60 წლის და ზემოთ").

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ასაკობრივი ჯგუფების საზღვრები, მოწმდება რესპონდენტის ასაკის შესაბამისობა დაჯგუფების ინტერვალთან. როცა შესაბამისობა დადგენილია, მონაცემი თავსდება აღნიშნულ ინტერვალზე.

თუ ზემოხსენებული მოთხოვნები დაკმაყოფილდა, ადამიანთა რაოდენობა "სულ" კატეგორიაში უნდა ემთხვეოდეს საწყისი დაკვირვებების რაოდენობას (ამ შემთხვევაში 20 ადამიანს). თითოეულ ჯგუფში უნდა შედიოდეს მხოლოდ იმ ასაკის ადამიანები, რომელთა ასაკიც შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ საზღვრებს; თითოეული ადამიანი გარკვეული ასაკის არის – იგი უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ ინტერვალს.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მონაცემების დაჯგუფების საბოლოო შედეგს:

ცხრილი 1.

სამედიცინო ჩარევათა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით მიმდინარე თვეში*

	ადამიანების რაოდენობა
შემთხვევების რაოდენობა სულ	20
ასაკობრივი ჯგუფის, წლების მიხედვით	
19 წლამდე	1
20-39	10
40-59	6
60+	3

* პირობითი ცხრილი.

ცხრილის მიხედვით, მიმდინარე თვის განმავლობაში ავადობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ 20-39 ასაკობრივი ჯგუფის წევრები, შემდეგ – 40-59 ასაკობრივი ჯგუფი.

არსებობს სტატისტიკური დაჯგუფების სხვადასხვა სახეები, რომელიც ერთმანეთისაგან უფრო მეტი კრიტერიუმების არსებობით განსხვავდება. ჩვენ შევეხებით სტატისტიკური დაჯგუფების მხოლოდ ორ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს:

დაჯგუფება

- ა) გამოყენებული მახასიათებლების რაოდენობის მიხედვით და
- ბ) დაჯგუფების მახასიათებლების შინაარსის მიხედვით.

გამოყენებული დაჯგუფების მახასიათებლების რაოდენობის მიხედვით, არსებობს მარტივი და კომბინირებული დაჯგუფებები:

- მარტივი დაჯგუფება ერთი მახასიათებლის მიხედვით ხდება. მონაცემების მარტივი დაჯგუფების მაგალითებია: დასაქმებულ პირთა კლასიფიკაცია განათლების დონის მიხედვით, სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების დაჯგუფება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების დაჯგუფება და ა.შ.;
- კომბინირებული დაჯგუფება გულისხმობს დაჯგუფების ორი ან მეტი მახასიათებლის ერთდროულ გამოყენებას.

კომბინირებული დაჯგუფების მაგალითებია: საშუალო თვიური ხელფასის კლასიფიკაცია თანამდებობის/პროფესიისა და საქმიანობის სახეებით დასაქმებულთა გენდერული ნიშნის მიხედვით; 20-29 წლის მოსახლეობის კლასიფიკაცია ეკონომიკურ საქმიანობაში აქტივობის მიხედვით; დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რაოდენობა გენდერული ნიშნისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით 2009 წლისთვის; საშუალო პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეთა დაჯგუფება (განაწილება) ასაკისა და გენდერული ნიშნის მიხედვით, ა.შ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა

2010/2011*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ერთეული	2 430
მათ შორის:	
საჯარო სკოლები	2 130
კერძო სკოლები	300
მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი	595.4
მათ შორის:	
საჯარო სკოლებში	542.4
კერძო სკოლებში	53.0

* 2011 წლის 5 აპრილის მდგომარეობით

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

დაჯგუფების მახასიათებლის შინაარსის მიხედვით, არსებობს ქრონოლოგიური, ტერიტორიული ერთეულების და ატრიბუტული დაჯგუფება.

ქრონოლოგიური დაჯგუფება გულისხმობს განსახილველი მოვლენის ცვალებადობას დროის ინტერვალში. ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, დროის ინტერვალის ხანგრძლივობა, რომელიც გამოიყენება დაჯგუფებისათვის, შეიძლება განსხვავებული იყოს: დღე, თვე, კვარტალი, წელი და ა.შ.

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 2009 წელი

ათასი

	ქალი	კაცი
დასაქმებული მოსახლეობა	778.5	877.6
უმუშევარი მოსახლეობა	141.9	193.7
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (დასაქმებული და უმუშევარი)	920.5	1 071.3
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა	774.4	364.9

წყარო: საქსტატი.

მონაცემების ქრონოლოგიური დაჯგუფების მაგალითებია: პედაგოგიური პერსონალის განაწილება ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009 – 2009/2010 წლებში; ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით დასაქმებული მოსახლეობის კლასიფიკაცია 2008-2009 წლებისათვის, ა.შ.;

ტერიტორიული ერთეულების დაჯგუფება ასახავს ერთობლიობაში შემავალ ერთეულთა ცვალებადობას სივრცეში. როგორც წესი, ეს დაჯგუფება ემთხვევა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს.

ტერიტორიული ერთეულების დაჯგუფების მაგალითები: სახელფასო განაკვეთების დაჯგუფება ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით; სასწავლო დაწესებულებების დაჯგუფება ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით; დასაქმებული მოსახლეობის დაჯგუფება ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ა.შ.

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი განაწილება
 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ჭრილში
 (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით*)

კაცი

	სულ	კაცი	ქალი
საქართველო	4 371 535	2 061 753	2 309 782
ქ. თბილისი	1 081 679	488 507	593 172
აფხაზეთის არ (კოლორის ხეობა)	1 956	998	958
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	376 016	181 139	194 877
გურია	143 357	67 234	76 123
იმერეთი	699 666	331 908	367 758
კახეთი	407 182	195 041	212 141
მცხეთა-მთიანეთი	125 443	60 395	65 048
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50 969	24 029	26 940
სამეგრელო-ზემო სვანეთი	466 100	219 818	246 282
სამცხე-ჯავახეთი	207 598	100 400	107 198
ქვემო ქართლი	497 530	241 285	256 245
შიდა ქართლი	314 039	150 999	163 040

* მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემები მოცემულია საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მიხედვით.

წყარო: საქსტატი.

არსებობს ატრიბუტული მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების ორი ვარიანტი:

1. მახასიათებლები, რომელიც გამოხატულია სიტყვებით და
2. მახასიათებლები, რომელიც გამოხატულია რიცხვებით.

სიტყვებით გამოხატული ატრიბუტული მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების მაგალითებია: წარმოების დაჯგუფება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, დასაქმებულთა დაჯგუფება პროფესიების მიხედვით, დოქტორანტების რიცხვნობა პროგრამების მიხედვით ა.შ;

სიტყვებით გამოხატული ატრიბუტული მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების პრაქტიკული მაგალითი:

ცხრილი 5

დოქტორანტების რიცხვნობა პროგრამების მიხედვით

ერთეული

	2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სულ	971	617	1787	1199
მათ შორის პროგრამების მიხედვით:				
განათლება	69	19	107	34
ჰუმანიტარული მეცნიერებანი და ხელოვნება	275	65	493	135
სოციალური მეცნიერებანი, ბიზნესი და სამართალი	385	324	574	472
მეცნიერება	101	94	188	155
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	47	60	143	230
სოფლის მეურნეობა	39	30	110	82
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	51	23	140	55
მომსახურება	4	2	32	36

წყარო: საქსტატი.

რიცხვებით გამოხატული ატრიბუტული მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების მაგალითება: კომპანიების დაჯგუფება სახსრების ბრუნვის მიხედვით, ოჯახების დაჯგუფება ბავშვების რაოდენობის მიხედვით, ა.შ.

ციფრებში გამოხატული ატრიბუტული განსაზღვრებითი მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების პრაქტიკული მაგალითი:

ცხრილი 6.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საწარმოს ზომების მიხედვით, 2009 წელი

	დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ათასი		შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო-სულ	151.5	235.9	391.7	634.2
მსხვილი საწარმო	81.0	142.2	517.7	776.3
საშუალო საწარმო	35.0	43.2	270.9	432.0
მცირე საწარმო	35.5	50.5	196.4	334.3

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ბ. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენის მეთოდები

მონაცემების კლასიფიკაცია მიზნად ისახავს მონაცემების წარმოდგენას კომპაქტურად და უკეთ აღქმადი ფორმით. დაჯგუფების შედეგების წარმოდგენის ფორმა მკვლევარებზეა დამოკიდებული. ყველაზე ხშირად მიმართავენ ცხრილებსა და დიაგრამებს.

სტატისტიკური ცხრილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სვეტების ერთობლიობით, რომელშიც მოცემულია რიცხობრივი და ტექსტობრივი მონაცემები, რაც იძლევა დროის და სივრცის კონკრეტულ ინტერვალში შესწავლილი მოვლენის დახასიათების საშუალებას.

- როგორ უნდა შევადგინოთ სწორად სტატისტიკური ცხრილი?

ქვემოთ მოცემულია ცხრილის აუცილებელი შინაარსობრივი და ფორმალური ელემენტები ცხრილი 7-ის მაგალითზე:

1. **ცხრილის სათაური**, რომელიც აზუსტებს ძირითად მახასიათებელს ან მახასიათებლებს, წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად. გარდა ზოგადი სათაურისა, ცხრილის შიგნით იყენებენ ქვესათაურებს, რომელიც ეხება ქვემდებარისა და შემასმენლის შემადგენელ კომპონენტებს.
2. **ქვემდებარე წარმოდგენილია** გარკვეული სტატისტიკური ერთობლიობით და მოცემულია სტრიქონების სათაურებში. განხილულ მაგალითში ქვემდებარე წარმოდგენილია დაწყებითი, საბაზო, საშუალო ზოგადი განათლების დონეების მიხედვით.
3. **შემასმენელი** იქმნება მახასიათებლების სისტემით, რომლისთვისაც მოხდა მონაცემების თავმოყრა და რომელიც მოცემულია სვეტების სათაურებში. ცხრილი 7-ში შემასმენელი წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობით განათლების დონეების მიხედვით.
4. **ზომის ერთეული** ცალკე იწერება თითოეული მახასიათებლისთვის შესაბამის სვეტში. თუ საზომი ერთეული საერთოა მთელი ცხრილისთვის, იგი იწერება ცხრილის თავში - მარჯვენა კუთხეში.
5. **მონაცემების წყარო** უნდა იყოს მითითებული უშუალოდ ცხრილის ქვემოთ.
6. განმარტებითი შენიშვნები გამოიყენება მაშინ, როცა აუცილებელია მეთოდოლოგიური მიდგომების ან ნაკლებად ცნობილი ცნებების განმარტება.

მოსწავლეთა რიცხოვნობა საჯარო სკოლებში*

	ერთეული
	2010/2011
მოსწავლეთა რიცხოვნობა, სულ	542 367
დაწყებითი ზოგადი	258 394
საბაზო ზოგადი	150 154
საშუალო ზოგადი	133 819

* 2011 წლის 5 აპრილის მდგომარეობით

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

რადგანაც ცხრილში არ შეიძლება იყოს ცარიელი სვეტები, როცა რაიმე მონაცემი უცნობია, მათ მაგივრად იწერება "...", და თუ შესაბამისი ცვლადიც არ არსებობს, სვეტში მითითებული იქნება “_”.

- რა სახის ცხრილები გამოიყენება სტატისტიკური ანალიზისათვის?

შესაძლო ჯგუფების მრავალფეროვნების გამო, არსებობს **სტატისტიკური ცხრილების რამდენიმე ტიპი**, თითოეულ მათგანს გააჩნია ინფორმაციის წარმოდგენისა და ინტერპრეტირების თავისებურება:

ა) მარტივ ცხრილში მოცემულია სტატისტიკური ინდიკატორები, რომელიც ქრონოლოგიურად, ტერიტორიულად ან ორგანიზაციულადაა დაწყობილი, მონაცემების მარტივი კლასიფიკაციის შედეგად.

მე-4 და მე-6 ცხრილები აღნიშნულის მაგალითად გამოდგება.

ბ) **ჯგუფური ცხრილი** ასახავს მარტივი დაჯგუფების შედეგებს, რომელშიც ერთეულების რაოდენობა თავმოყრილია ჯგუფების (სიხშირების) მიხედვით.

ჯგუფური ცხრილის პრაქტიკული მაგალითი:

ჯგუფური ცხრილის გამოყენება შეიძლება სტატისტიკური კორელაციის ანალიზისათვის, რადგან იგი ასახავს კავშირებს დაჯგუფების მახასიათებლის ცვალებადობასა და დამოკიდებულ მახასიათებლებს შორის. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 2) ნაჩვენებია კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობას და მათში მოსწავლეთა რაოდენობას შორის. დაწესებულებების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება აღნიშნულ დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობა.

გ) **კომბინირებული ცხრილი** ასახავს მონაცემების დაჯგუფებას სულ მცირე ორი მახასიათებლის მიხედვით. ასეთი სახის ცხრილი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ცალკე განხილული მახასიათებლების ცვალებადობის ფორმა და შეფასდეს აგრეთვე მათ შორის არსებული კავშირები. მასში მოცემულია სისტემატიზებული მონაცემები, კორელაციის გამოთვლის მეთოდის გამოყენების მიზნით.

ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების რეგისტრირებული შემთხვევები ქალაქად და სოფლად

	2008				2009			
	ქალაქად		სოფლად		ქალაქად		სოფლად	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ფსიქიკური დარღვევების რეგისტრირებული შემთხვევები, სულ	17 312	26 147	12 152	19 837	17 246	27 056	12 946	19 209

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

დ) ორგანოზომილებიანი ცხრილი წარმოადგენს კომბინირებული ცხრილის ვარიანტს, რომელიც ერთობლიობის ერთდროულ ცვლილებას ასახავს ორი რიცხობრივი მახასიათებლის საშუალებით.

ორგანოზომილებიანი ცხრილის პრაქტიკული მაგალითი:

ცხრილი 9

სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები ასაკობრივ ჯგუფში 2009 წელს

	ერთეული									
	სულ		0-14		15-19		20-39		40+	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ახალი	3 623	2 751	10	10	576	726	2 676	1 781	361	234
მათ შორის										
ათამაზი	168	335	0	3	13	83	108	201	47	48
გონორეა	104	566	0	0	21	175	78	361	5	30
ტრიქომონიაზი	2 576	1 349	10	7	367	297	1 910	940	289	105
ქლამიდიური ავადმყოფობები	775	501	0	0	175	171	580	279	20	51

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ცხრილის შინაარსი იქმნება სინშირეებისაგან, რომელიც შეიძლება ამოვიკითხოთ ცალ-ცალკე დაჯგუფების თითოეული მახასიათებლის ან ერთდროულად დაჯგუფების ორივე მახასიათებლის მიხედვით (ცხრილის შიდა ნაწილი).

მაგალითი: სინშირეების დამოუკიდებლად წაკითხვა დაჯგუფების თითოეული მახასიათებლის მიხედვით: ქორწინებების რაოდენობა, რომელშიც ცოლი 20-29 წლის იყო უდრის 19162, ქორწინებების სრული რაოდენობა, რომელშიც ქმარი 20-29 წლის იყო უდრის 17887-ს.

სინშირეების წაკითხვა ერთდროულად დაჯგუფების ორივე მახასიათებლისთვის: 60 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისა და ამავე ასაკის კაცებს შორის ქორწინებების რაოდენობა უდრის 2-ს.

ცხრილი 10

დაქორწინებულთა რაოდენობა ასაკის მიხედვით, 2009 წელი

ასაკი	ერთეული	
	ქალი	კაცი
16-19	5 596	1 271
20-29	19 162	17 887
30-39	5 338	9 078
40-49	1 238	2 627
50-59	321	624
60 +	95	263
ასაკი უცნობია	2	2
სულ	31 752	31 752

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ეს ცხრილი იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვიკვთოს ორი ცალკე გაანალიზებული მახასიათებლის ცვლილებები და მათ შორის კავშირი, ამიტომაც არის საჭირო ცვლადებს შორის კავშირების ანალიზის ჩატარება.

ასეთი სახის ცხრილის ერთ-ერთი სახეა **ასოციაციური ცხრილი** (იხ. ცხრილი 11), რომელიც გამოიყენება ალტერნატიული მახასიათებლების შემთხვევაში. ეს ცვლადები შეიძლება იყოს მხოლოდ ორი ფორმის (გენდერი: კაცი-ქალი; საცხოვრებელი ადგილი: ქალაქი-სოფელი, ბავშვებით/ბავშვების გარეშე ოჯახები, ა.შ.)

ასოციაციური ცხრილის პრაქტიკული მაგალითი:

ცხრილი 11

ცოცხლად დაბადებულები სქესის მიხედვით 2009 წელი

ერთეული

	გოგო	ბიჭი	ბიჭი ყოველ 100 გოგოზე
სულ	30 992	32 385	104
ქალაქი	21 433	22 230	104
სოფელი	9 559	10 155	106

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

რა არის დიაგრამა?

დიაგრამა არის სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენა გრაფიკული საშუალებებით. იგი გამოიყენება მაშინ, როცა საკმარისია სტატისტიკური ინფორმაციის გადმოცემა ნაკლებად ზუსტი ფორმით. ის არის ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალება. განსაკუთრებით, როცა აუდიტორიას არ გააჩნია სპეციალური განათლება სტატისტიკის დარგში.

როგორია დიაგრამის თვისებები?

სწორად შედგენილ დიაგრამას უნდა ჰქონდეს შემდეგი ელემენტები:

- სათაური
- დიაგრამის ბაღე
- კოორდინატთა ღერძები
- გამოსახვის მასშტაბი
- განმარტებები (მონაცემების წყარო, სიმბოლოების ლეგენდა).

დიაგრამის სათაური ხშირად ემთხვევა იმ ცხრილის სათაურს, რომელსაც ის ასახავს. ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ნათლად და მოკლედ ასახოს წარმოდგენილი მოვლენა და მისი ლოკალიზაცია დროსა და სივრცეში.

დიაგრამის ბაღე შედგება პარალელური ღერძების (ვერტიკალური და ჰორიზონტალური) სისტემისაგან, რომლის მიხედვითაც განლაგდებიან წარმოდგენილი მაჩვენებლები, იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება მართკუთხა კოორდინატთა სისტემა. თუ გამოიყენება პოლარული კოორდინატები, ბაღე იქმნება კონცენტრული წრეებისგან. როგორც წესი, სტატისტიკური დიაგრამები იყენებენ მართკუთხა კოორდინატების სისტემას. აბსცისაზე განთავსებულია დამოუკიდებელი მახასიათებლის ვარიანტები ან ინტერვალები, დროის მომენტები ან ინტერვალები, ორდინატაზე კი – დამოუკიდებელი მახასიათებლების მაჩვენებლები ან სინშირები.

გამოსახვის მასშტაბი ირჩევა ინდიკატორების საჭირო რაოდენობისა და მათი მაჩვენებლების სიდიდის მიხედვით. შესაბამისად დიაგრამა უნდა იყოს ნათელი და ინფორმატიული. გამოსახვის მასშტაბი შეიძლება იყოს სწორხაზოვანი ან მრუდხაზოვანი, დიაგრამის ტიპის მიხედვით. არითმეტიკული (ერთგვაროვანი) მასშტაბი გულისხმობს თანაბარი ინტერვალების არსებობას დანაყოფებს შორის. გარკვეულ სიტუაციებში აუცილებელია გადმოცემის განსხვავებული მოდელების გამოყენება. ერთ დიაგრამაში შესაძლებელია ორი განსხვავებული მასშტაბის გამოყენება.

დიაგრამის ლეგენდა განმარტავს გამოყენებული ნიშნების მნიშვნელობას სიმბოლოების, ფერების, შტრიხების მეშვეობით. ისინი ჩვეულებრივ მოთავსებულია დიაგრამის მარჯვენა მხარეს ან მის ქვემოთ.

მონაცემების წყაროები განმარტავს დიაგრამაში გამოყენებული მონაცემების წარმომავლობას. იგი მოთავსებულია დიაგრამის ქვემოთ.

ძირითადად როგორი ტიპის დიაგრამები გამოიყენება სტატისტიკაში?

პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე ტიპის დიაგრამა, ინდიკატორებს შორის დამოკიდებულებების ასახვისათვის. ყველაზე ხშირად გამოიყენება:


დიაგრამა 1. სვეტობრივი დიაგრამები

სვეტებით გამოსატული დიაგრამები საშუალებას იძლევა ავსახოთ ინდიკატორების მნიშვნელობებს შორის განსხვავებები და მათი დროში ცვალებადობა. ინდიკატორების მნიშვნელობები გამოსახულია სვეტების სახით, რომელთაც გააჩნიათ ერთგვაროვანი ფუძე და რომელთა სიმაღლე ინდიკატორის აბსოლუტური მნიშვნელობის პროპორციულია. სვეტები შეიძლება იყოს ა) მარტივი (თანაბარი ინტერვალებით სვეტებს შორის, ან შეერთებული

სვეტებით), ბ) ორმხრივად მიმართული (დადებითი, უარყოფითი), გ) ქვედანაყოფებით – მაგალითები მოცემულია დიაგრამაში 1-ში; მინიჭებული სიდიდეები შეიძლება გამოისახოს თითოეული სვეტის თავზე.


დიაგრამა 1. სვეტობრივი დიაგრამა

ა) მარტივი დიაგრამა, სვეტებს შორის თანაბარი ინტერვალებით



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო


ბ) მარტივი დიაგრამა, სვეტების კლასტერებით:



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გ) დაგროვების სვეტური დიაგრამა.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი
(პროცენტი)




წყარო: საქსტატი

ასეთი სახის დიაგრამა გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც საჭიროა მცირე რაოდენობის მნიშვნელობების ასახვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ მწკრივებთან.

ნაზოვანი დიაგრამა ზემოთ მოყვანილი დიაგრამების მსგავსია, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ინდიკატორების დონე წარმოდგენილია თანაბარი სივანის და მნიშვნელობის პროპორციული სიგრძის ჰორიზონტალური ხაზებით. ხაზებს შორის განლაგება თანაბარია. ასეთი ტიპის დიაგრამები გამოიყენება ისეთი ინდიკატორებისათვის, რომლის სტრუქტურაც ყველაზე კარგად კომპონენტების მიხედვით გამოიხატება.

დიაგრამა 2. ნაზოვანი დიაგრამა

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2010 წელს, %




წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

სვეტოვანი დიაგრამების მსგავსად, არსებობს ნაზოვანი დიაგრამების შემდეგი სახეები: მარტივი, დაჯგუფებული, დაგროვებითი ან ორმხრივად განლაგებული. იხილეთ მარტივი ნაზოვანი დიაგრამის მაგალითი.

ა) მარტივი საზოგადოებრივი დიაგრამა

პატიმართა რაოდენობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში




წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

წერილი დიაგრამა გამოიყენება სტატისტიკური ერთობლიობის სტრუქტურის წარმოსადგენად. გრაფიკული გამოსახულებისათვის გამოიყენება შემდეგი გეომეტრიული ფორმები: კვადრატი, სამკუთხედი, წრე. ყველაზე ხშირად გამოიყენება წრე, მისი სიმარტივისა და ადვილად აღქმადობის გამო. წრის თითოეული ნაწილის მოცულობა პირდაპირპროპორციულია წარმოდგენილი მოვლენის სიდიდისა, შემდეგი წესის მიხედვით: წრის 360 გრადუსი შეესაბამება სრული სტრუქტურის 100 პროცენტს.

დიაგრამა 3. წერილი დიაგრამა

პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა 2009 წელს, %



წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

მოცულობითი დიაგრამები იყენებენ კვარდატს, წრეს, რათა წარმოადგინონ განსხვავებები სხვადასხვა შედეგებს შორის, რომელიც დაფიქსირდა კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენასთან მიმართებაში დროის სხვადასხვა პერიოდში თუ გეოგრაფიულ არეალში.

კვადრატი - იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს ინდიკატორის მნიშვნელობებს შორის გრაფიკული შესადარისობა კვადრატების ზედაპირთან, გამოიყენება შემდეგი თანაფარდობა:

$$I=S^2$$

სადაც,

I – ინდიკატორის მნიშვნელობაა

S – კვადრატის გვერდი.

შედეგად, თითოეული ინდიკატორი შეესაბამება კვადრატს, რომლის ზედაპირიც დაკავშირებული იქნება წარმოდგენილი ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

წრე - იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას წრის ზედაპირისა და წარმოდგენილი ინდიკატორის შესაბამისობა, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი ტოლობა:

$$C = \sqrt{\frac{I}{\pi}}$$


სადაც:

C – წრის რადიუსია.

პოლარული დიაგრამა გამოიყენება სეზონური ცვალებადობის მქონე მოვლენების წარმოსადგენად და სხვადასხვა ტიპის სუბიექტებისთვის მიღებულ ინდიკატორებს შორის სხვაობების გამოსავლენად. აღნიშნული დიაგრამის აგების პრინციპი შემდეგია: წრე იყოფა რამდენიმე თანაბარი სიდიდის სექტორებად, რომელთა რაოდენობაც დამოკიდებულია შესაბამისი დროის ინტერვალების ან სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიების რაოდენობაზე. თითოეული სექტორის რადიუსის სიგრძე წარმოდგენილი ინდიკატორის სიდიდის მნიშვნელობის პროპორციულია.

დიაგრამა 4. პოლარული დიაგრამა

ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები 2009 წელს, ერთეული



წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

2.6 კორელაციის თეორიის ელემენტები

ა) რა არის კორელაცია?

ორი ან მეტი მოვლენა არის კორელირებული/ურთიერთდამოკიდებული, თუ ერთი ინდიკატორის მნიშვნელობის ცვლილება იწვევს სხვა ინდიკატორების მნიშვნელობების ცვლილებას. ამრიგად, **კორელაცია** წარმოადგენს ცვლადებს შორის დამოკიდებულების, ხარისხის გაზომვის საშუალებას.

ურთიერთდამოკიდებული მწკრივების ანალიზის დროს აღსანიშნავ საკითხს წარმოადგენს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სტაბილური კავშირების დადგენა. თუ ვლინდება, რომ ორ ცვლადს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება, ჩნდება მეორე პრობლემა, გაცილებით უფრო რთული: ამ კავშირის გაზომვის ერთეულის დადგენა, კორელაციის სინთეზური ინდიკატორის საშუალებით. ამასთან გასათვალისწინებელია შეცდომაში შემყვანი გარემოებები, როცა არსებობს მსგავსება ორი აშკარად ურთიერთდამოკიდებული მოვლენის ცვლილებებს შორის (ზრდადი ან კლებადი), თუმცა არ არსებობს ლოგიკური კავშირი მათ შორის.

მაგალითად, უმუშევრობის დონისა და სილატაკის დონის ერთდროული შემცირება წარმოადგენს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამრიგად, სტატისტიკური მონაცემების ხარისხის ანალიზის საშუალებით შესაძლებელია კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.

ბ) რა განსხვავებაა დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის?

დამოუკიდებელი ცვლადი ეს არის მახასიათებელი, რომელიც შეირჩევა მკვლევარის მიერ, ხოლო დამოკიდებული ცვლადი ის მახასიათებელია, რომელიც რეალურადაა დაფიქსირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი ცვლადი წანაცვლების ცვლადია, ხოლო დამოკიდებული – წანაცვლებული ცვლადი.

მაგალითი, როცა ხორციელდება კვლევა, რომელიც ადარებს ქალებსა და კაცებს საშუალო თვიური ხელფასის მიხედვით, სქესი იქნება დამოუკიდებელი ფაქტორი, ხოლო საშუალო თვიური ხელფასი – დამოკიდებული.

გ) რომელი სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება კორელაციის დასადგენად?

ორ რიცხობრივ მახასიათებელს შორის არსებული კავშირის დადგენის ყველაზე მარტივი მეთოდია გრაფიკული მეთოდი. კორელაციურ კვლევებში იყენებენ კორელოგრამებს. ამ ტიპის დიაგრამის მახასიათებლები ზემოთ განვიხილეთ (იხ. დიაგრამა 3).

გრაფიკული მეთოდის უპირატესობები:

- იძლევა საკვლევ მოვლენებს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობის დადგენის საშუალებას;
- ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი (პირდაპირი – ირიბი);
- ურთიერთდამოკიდებულების ტიპი (წრფივი – არაწრფივი).

გრაფიკული მეთოდის სუსტი მხარეები:

- ვერ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა იკვლევენ კავშირს 2-ზე მეტ ფაქტორს შორის;
- ვერ იძლევა ინფორმაციას მოვლენებს შორის კავშირის სიძლიერის შესახებ.

იმისთვის, რომ გამოსწორდეს გრაფიკული მეთოდის ხარვეზები, სტატისტიკაში გამოიყენება ანალიტიკური პროცესები კორელაციის დასადგენად, კერძოდ,

ა) რიცხობრივი ცვლადების შემთხვევაში:

- კოვარიაციის გამოთვლა;
- მარტივი კორელაციის კოეფიციენტი;
- კორელაციური შეფარდება, კორელაციის ემპირიული ფარდობა;
- მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი და ა.შ.

ბ) ალტერნატიული (ხარისხობრივი) ცვლადების შემთხვევაში:

- იულის ასოციაციის კოეფიციენტი;
- სპირმანის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტი;
- კენდალის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტი და ა.შ.

თავი III. სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები: შიდასექტორული და სექტორთაშორისი კორელაციები

ამ თავში შევეხებით თუ როგორ წავიკითხოთ პრაქტიკაში სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები და გამოვიყენოთ ისინი გენდერული განსხვავებების მხრივ სიტუაციის ანალიზსა და დაკვირვებისათვის (ინტერპრეტაციისათვის). ვნახავთ, რომ სოციალური მოვლენის გასაგებად ხორციელდება დეტალური ანალიზი არა მარტო ერთი სექტორის დონეზე მონაცემების ინტერპრეტირებისა და შეფარდების გზით, არამედ, სექტორთაშორის ანალიზის მეშვეობითაც, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ თვალსაზრისით.

გარდა ამისა, სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებულ სტატისტიკურ მონაცემთა სექტორთაშორისი კორელაციის გზით, შესაძლებელია აუცილებელი ინსტრუმენტარის შემუშავება სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასა და უთანასწორობის დაბალანსებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში შევარჩიეთ სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების ოთხი დიდი კატეგორია, რომელიც წარმოდგენილია სტატისტიკურ გამოცემაში “ქალი და კაცი საქართველოში” და რომელიც, ბევრი ჩვენთაგანის აზრით, გენდერული ანალიზისათვის სტატისტიკური მონაცემების ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიებია. ამასთანავე, აღნიშნულ კატეგორიებში არსებული მონაცემები გვაძლევს აუცილებელ სამუშაო მასალას იმისათვის, რომ განვმარტოთ თუ რა გზით შეიძლება კორელაციური ანალიზის ჩატარება და მისი გამოყენება ერთსა და იმავე ან განსხვავებული სექტორების დონეზე. სტატისტიკური მონაცემების ეს ოთხი მსხვილი კატეგორია, რომელსაც ქვემოთ გავაანალიზებთ, შემდეგში მდგომარეობს:

- საზოგადოებრივი ცხოვრება;
- შრომითი ბაზარი და დასაქმება;
- სოციალური დაცვა – პენსიები;
- ჯანმრთელობის დაცვა.

3.1. საზოგადოებრივი ცხოვრება

გენდერული ინდიკატორები სამართლებრივი უფლებებისა და პოლიტიკური ხელისუფლების კატეგორიიდან ასეთია:

პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში/გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალების და შესაბამისად, კაცების მიერ დაკავებული ადგილების პროცენტული განაწილება;

ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე მთავრობაში;

ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში;

ქალების პროცენტული რაოდენობა სახელმწიფო ადმინისტრაციაში, უმაღლეს დონეზე;

სახელმწიფო სექტორში, ადმინისტრაციულ და მენეჯერულ დონეებზე დასაქმებულთა შორის ქალების პროცენტული რაოდენობა;

ქალების და შესაბამისად, კაცების პროცენტული რაოდენობა, ამომრჩეველთა საარჩევნო სიებში;

პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებში გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე საშუალო/მაღალ დონეზე, ქალების პროცენტული რაოდენობა;

ქალების პროცენტული რაოდენობა მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატთა მთლიან რაოდენობაში;

ქალების პროცენტული რაოდენობა პოლიციასა და სამხედრო ძალებში, წოდების მიხედვით;

აღნიშნული ინდიკატორები მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციით და პრიორიტეტული სფეროები განისაზღვრა პეკინის სამოქმედო პლატფორმით 1995 წელს (იხ. დანართი ა).

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო და ცალკეული ქვეყნები მუდმივად ცდილობენ ადამიანის უფლებების სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფას, ამის მიღწევა სრულად ვერ ხერხდება. ერთ-ერთი სფერო, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი “ჩავარდნა” ქალისა და კაცის მიმართ თანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით, არის ქალისა და კაცის თანასწორი მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაღალი დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების, პარტიული სტრუქტურების თუ სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების სფეროები თანაბრად ხელმისაწვდომია ქალებისა და კაცებისათვის. ქალები ხშირად მრავლად არიან წარმოდგენილი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებად, თუმცა მათ არ გააჩნიათ რეალური შესაძლებლობები პოლიტიკურ ელიტაში თვითდამკვიდრებისათვის.

თუ გვანტერესებს აღნიშნული ასპექტები საქართველოს შემთხვევაში, უნდა მივმართოთ სტატისტიკურ გამოცემებს, რომელიც ასახავს ქალების წარმომადგენლობითობის ხარისხს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში.

მოდით, დავიწყოთ ცენტრალური ხელისუფლებით. 2011 წლის სტატისტიკურ გამოცემაში “ქალი და კაცი საქართველოში”, ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ მონაცემები ცენტრალურ ხელისუფლებაში წარმომადგენლობითობის შესახებ (ცხრილი 12). ცხრილში მოცემულია სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი თანამდებობები და აღნიშნულ თანამდებობებზე დასაქმებული ქალებისა და კაცების რაოდენობა და მათი პროცენტული განაწილება. მაგალითად, ქალები პარლამენტში 9 წევრით არიან წარმოდგენილი, რაც პარლამენტის წევრთა სრული რაოდენობის 6,4 პროცენტს შეადგენს. სიაში ხელისუფლების პოზიციები იწყება პრეზიდენტის თანამდებობით, რომელსაც მოსდევს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები

2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით

	რიცხოვნობა		პროცენტი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველოს პრეზიდენტი	0	1	0	100
დასაქმებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში	79	57	58	42
პარლამენტის თავმჯდომარე	0	1	0	100
დეპუტატების რიცხოვნობა	9	131	6	94
საქართველოს პარლამენტის აპარატში დასაქმებულთა რიცხოვნობა				
საშტატო განრიგით	397	206	66	34
ხელშეკრულებით მომუშავე	157	180	47	53
პრემიერ-მინისტრი	0	1	0	100

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

მკითხველი პირველივე შეხვედვისთანავე დაინახავს, რომ დასაქმებული ქალების რაოდენობა ჭარბობს დასაქმებული კაცების რაოდენობას პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და პარლამენტის აპარატის საშტატო განრიგით დასაქმებულებს შორის, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენ თანამდებობებზე ისინი უმცირესობაში არიან. იმისთვის, რომ გავიგოთ და გამოვავლინოთ აღნიშნული განსხვავებები, საჭიროა მარტივი მოქმედება, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევი სხვა დეტალებიც.

მოქმედება 1. ცხრილის შებრუნება

ზემოთ მოცემული ცხრილი 12 ამ თვალსაზრისით კარგი მაგალითია. სტატისტიკური გამოცემის საწყის ვერსიაზე დაყრდნობით, მისი სტრუქტურა შეცვლილია იერარქიული პრინციპის მიხედვით, თანამდებობები დაჯგუფებულია წოდებისა და უფლებამოსილების მიხედვით. პირობითად, ამ სამ ძალაუფლების შტოში, პირველი ადგილი მიცემული აქვს პირველ პოზიციებს, ე.ი. ქვეყნის პრეზიდენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს და პარლამენტის თავმჯდომარეს, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს და პარლამენტის წევრებს.

მე-2 რანგი მოიცავს მაღალი რანგის საჯარო მოხელეებს და წარმოდგენილია მინისტრებით (სახელმწიფო მინისტრების ჩათვლით), მინისტრის მოადგილეებით და მთავრობის კანცელარიის წევრებით.

მესამე ჯგუფი წარმოადგენს მე-3 რანგს, რომელშიც შევიდა ყველა სხვა საჯარო მოხელე, ვინც პირველი ორი რანგის ოფიციალურ წარმომადგენელს ექვემდებარება.

შენიშვნა: ამკარაა, რომ თანამდებობების დაჯგუფების მეთოდი ვერ იქნება მკაცრად განსაზღვრული და არსებობს არგუმენტები, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ზოგიერთი პოზიცია, გარკვეული მიზეზების გამო, შეიძლება იყოს სხვა ჯგუფის წევრი და არა იმ ჯგუფისა, სადაც გაერთიანდა. ბოლოს, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ მიდგომაზე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით და ერთადერთი მოთხოვნა ეს არის თითოეული ჯგუფისთვის გონივრული არგუმენტის არსებობა.

მოქმედება 2. ქალთა წარმომადგენლობითობის გაანგარიშება დაჯგუფებულ თანამდებობებზე

მეორე ეტაპზე, ჩვენ შევეცდებით დავინახოთ თუ როგორია ქალებისა და კაცების წარმომადგენლობითობა ცენტრალური მთავრობის იერარქიულ დონეებზე. თითოეული სამი დონის

შინთ ქალებისა და კაცების სრულ რაოდენობაზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვიტვლით ქალების პროცენტულ მაჩვენებელს თითოეული დონისათვის და არა თანამდებობის მიხედვით.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავარკვიოთ, რაც საწყის ეტაპზე უფრო რთულია, რომ ქალების წარმომადგენლობითობა უკუპროპორციულია იერარქიულ დონესთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იერარქიული პოზიციების ზრდასთან ერთად, მცირდება ქალების რაოდენობა საკვანძო თანამდებობებზე. შეგვიძლია ვნახოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობით ფორუმში, მე-3 რანგის საჯარო მოხელეთა შორის ქალები შეადგენენ 58,8 პროცენტს, მე-2 რანგის მოხელეთა შორის – 33,0 პროცენტს, და მხოლოდ 6,2 პროცენტს პირველი რანგის პოზიციებზე. ამრიგად, პროცენტული მაჩვენებელი მცირდება იერარქიულად მაღალ თანამდებობაზე გადასვლის პარალელურად.

ცხრილი 13

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები

	ერთეული		ჭარმომადგენლობის რანგი	ქალთა პროცენტი მთლიანი რაოდენობიდან	
	ქალი	კაცი		% რანგის მიმართ	% თითოეული პოზიციისთვის
საქართველოს პრეზიდენტი	0	1	1	6,2	0
პარლამენტის თავმჯდომარე	0	1	1		0
პარლამენტის წევრები	9	131	1		6,4
პრემიერ-მინისტრი	0	1	1		0
საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე	0	1	1		0
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	0	1	1		0
საქართველოს მინისტრები (სახელმწიფო მინისტრების ჩათვლით)	2	17	2	33,0	10,5
მინისტრის მოადგილეები	15	56	2		21,1
მთავრობის კანცელარია	60	83	2		42,0
დასაქმებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში	79	57	3	58,8	58,1
საქართველოს პარლამენტის აპარატში დასაქმებულები					
საშტატო განრიგით მომუშავე	397	206	3		65,8
ხელშეკრულებით მომუშავე	157	180	3		46,6

წყარო: საქსტატი

სტატისტიკურ პუბლიკაციაში ასახულია განსხვავებული სქესის ადამიანთა წარმომადგენლობა ცენტრალური სახელისუფლებო ინსტიტუტების გარკვეულ წრეებში, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

რაც შეეხება პარლამენტს, მონაცემები გვიჩვენებს პარლამენტის წევრთა მთლიან რიცხოვნობას და რაოდენობას ფრაქციების მიხედვით. 2010 წელს ფრაქციაში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” ქალების რაოდენობამ შეადგინა 8,0 პროცენტი, ნაცვლად 2008 წლის 6,1 პროცენტისა. დანარჩენ ფრაქციებში უცვლელი სიტუაციაა 2008-2010 წლებში.


დეპუტატთა რიცხოვნობა ფრაქციების მიხედვით საქართველოს პარლამენტში
2008 წლის მოწვევა

	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	6	93	6	94	8	92
ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარები“	0	16	0	16	0	16
ფრაქცია „ძლიერი საქართველო“	0	6	0	6	0	7
ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“	1	6	1	6	1	6
დამოუკიდებელი დეპუტატები (ფრაქციის გარეშე)	0	9	0	10	0	10

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

პუბლიკაციაში აგრეთვე მოცემულია ინფორმაცია ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის შესახებ გენდერულ ჭრილში.

ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2010 წელს, %




წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

დიაგრამა მოცემულია შემდეგი ცხრილების მიხედვით – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პარლამენტის აპარატში და მთავრობის კანცელარიაში დასაქმებულთა შემადგენლობა, სტატისტიკური პუბლიკაციიდან “ქალი და კაცი საქართველოში” 2011.

სხვა მხრივ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად, ქალები ფართოდ არიან წარმოდგენილები საქართველოს პარლამენტის აპარატში (65,8 პროცენტი), საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში (58,1 პროცენტი), ხოლო მთავრობის კანცელარიაში (42,0 პროცენტი).

საქართველოს საერთო სასამართლოებში დასაქმებული მოსამართლეების რაოდენობა, ერთეული



წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

2010 წლის მონაცემებით, საერთო სასამართლოებში დასაქმებულია 48,8 პროცენტი მოსამართლე ქალი, ნაცვლად 2007 წლის 49,2 პროცენტისა. როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2008 და 2009 წლებში უფრო დიდი იყო განსხვავება მოსამართლე ქალებსა და მოსამართლე კაცებს შორის. მოსამართლე ქალების რაოდენობა შესაბამისად 46,2 და 47,1 პროცენტს შეადგენდა.

ცხრილი 15

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენდერული შემადგენლობა

2008		2009		2010	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
26	42	51	58	50	58

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

რაც შეეხება ქალთა წარმომადგენლობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, როგორც ცხრილიდან ჩანს 2010 წელს ქალთა რიცხოვნობა 2008 წელთან შედარებით თითქმის 100,0 პროცენტითაა გაზრდილი.

საოლქო საარჩევნო კომისიების გენდერული შემადგენლობა

1 იანვრის მდგომარეობით


2008		2009		2010	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
155	225	164	216	164	216

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ასევე მნიშვნელოვანია საოლქო საარჩევნო კომისიების გენდერული შემადგენლობის ანალიზი. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქალების რაოდენობამ შეადგინა 43,2 პროცენტი, ნაცვლად 2008 წელს 40,8 პროცენტისა. აღნიშნული ცხრილის უკეთ აღქმის გამოხატულებაა ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი, სადაც ნათლად ჩანს კაცების სიჭარბე.

დიაგრამა 7

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, %



წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში
არჩეული წევრების გენდერული შემადგენლობა

1 იანვრის მდგომარეობით

	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	192	1 495	196	1 484	199	1 477

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვადგენთ ქალების წარმომადგენლობითობის დონეს, მთლიანი რაოდენობიდან. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქალები შეადგენენ საკრებულოში არჩეული წევრების საერთო რაოდენობის 11,9 პროცენტს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალები ზოგადად ნაკლებად არიან წარმოდგენილი ამ დონეზე. 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2010 წელს მხოლოდ 0,5 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების წარმომადგენლობის სიმცირე პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გამოწვეულია მათი მცირერიცხოვნობით პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მონაწილეობითობის ასპექტი, დავსვათ კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ ერთვებიან ქალები საარჩევნო კამპანიაში, როგორც საპარლამენტო ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას. თუ ქალების რაოდენობა კანდიდატებს შორის დაბალია, შეუძლებელი იქნება ქალების უფრო მეტი რაოდენობით არჩევაც ამ თანამდებობებზე.

3.2. შრომის ბაზარი და დასაქმება

ამ ქვეთავში განვიხილავთ ინდიკატორებს შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროდან.

- სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მომსახურების სფეროში დასაქმებული (15 წლის და უფროსი ასაკის) ქალის/კაცის პროცენტული წილი სამუშაო ძალის მაჩვენებელში;
- ხელმძღვანელ და პროფესიულ თანამდებობებზე დასაქმებული ქალის/კაცის პროცენტული მაჩვენებელი;
- ქალის/კაცის პროცენტული რაოდენობა, ვინც ასრულებს აუნაზღაურებად შრომას ოჯახში, ან დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში (15 წლის და ზემოთ);
- დასაქმების/უმუშევრობის დონე სქესის, ქალაქ/სოფლის ჭრილში;
- დრო, რომელიც ეთმობა გარკვეულ საქმიანობას (მათ შორის, აუნაზღაურებად შრომას ოჯახში და ბავშვების/ხანდაზმულების მოვლას);
- სამუშაო დროის (სრულ/ნახევარ განაკვეთზე) განაწილება კაცებსა და ქალებს შორის;
- ქალების დეკრეტული შვებულების უფლება/კვირების რაოდენობა/ქალების პროცენტული წილი, ვინც აღნიშნული უფლებით სარგებლობს;
- მშობლების უფლება დეკრეტულ შვებულებაზე/კვირების რაოდენობა/ქალებისა და შესაბამისად, კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც აღნიშნული უფლებით სარგებლობს;
- კრედიტების, ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიმართულია სამთავრობო და არასამთავრობო წყაროებიდან ქალების დასახმარებლად და შესაბამისი მაჩვენებელი კაცებთან მიმართებაში;
- განსხვავება ქალისა და კაცის ხელფასს/შემოსავალს შორის საქმიანობის მიხედვით;
- სიტუაცია ბავშვთა მოვლის მომსახურების მხრივ და 0-3 და 3-6 წლის ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნული მომსახურებით სარგებლობს.

განვიხილავთ სამუშაოსთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა: ანაზღაურება და კონკრე-

ტულად, ანაზღაურების ინდიკატორი/განსხვავებები შემოსავლებს შორის, ქალისა და კაცის საქმიანობისა და სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებულ ინტერესის საგანს წარმოადგენს, იმის გამო, რომ ხელფასები უზარმაზარ გავლენას ახდენს სხვა ინდიკატორებზე და რომ არსებობს “შეფარული თანასწორობა” ქალსა და კაცს შორის შრომის ბაზარზე, რაც დამახასიათებელია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისათვის.

მცირედ გადაუხვევთ და განვმარტავთ ტერმინს “შეფარული თანასწორობა”, რომელიც ხშირად შეცდომაში შემყვან ტერმინად აღიქმება. საქართველოში დასაქმების სფეროში ვერ ვისაუბრებთ გენდერულ უთანასწორობაზე, რადგან საბჭოთა პერიოდის დასაქმების პოლიტიკიდან გამომდინარე, ქალები შრომის ბაზარზე კაცებთან შედარებით თითქმის თანასწორად იყვნენ წარმოდგენილნი.

2009 წელს, საქართველოში დასაქმებულ ქალთა რიცხოვნობა იყო 778.6 ათასი, ხოლო დასაქმებული კაცების რიცხვი – 877.6 ათასი, ე.ი. ქალთა რიცხოვნობა თითქმის 100 ათასი ადამიანით ნაკლები იყო. სწორედ ამ თავში, საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე შენიშვნა, რათა თავიდანვე გავამახვილოთ ყურადღება ზოგიერთ შესაძლო მცდარ მიდგომაზე:

1. თუ შევადარებთ დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობას 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალისა და კაცის მთლიან რიცხოვნობასთან, დავინახავთ, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში დასაქმებული ქალების პროცენტული წილი 45.9 პროცენტს შეადგენს, რაც 15.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია კაცებთან შედარებით;
2. უმუშევრობის დონე (უმუშევარი მოსახლეობის პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ (დასაქმებული და უმუშევარი ერთად) მოსახლეობაში), უფრო მაღალია კაცებში (18,1 პროცენტი), ვიდრე ქალებში (15,4 პროცენტი). მეორეს მხრივ, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის დონე მაღალია ქალებს შორის, 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების 45,7 პროცენტი ეკონომიკურად არააქტიურია, ანალოგიური მაჩვენებელი კაცებში მხოლოდ 25,4 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი უმუშევარი და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ტერმინები.

აღნიშნული ინდიკატორები მიღებულ იქნა გაეროს რეკომენდაციით, ხოლო პრიორიტეტული სფეროები განისაზღვრა 1995 წელს პეკინის სამოქმედო პლატფორმით (იხ. დანართი ა).

ეროვნული სტატისტიკა განმარტავს “უმუშევარ პირებს” - როგორც პირებს, ვისაც:

- არ გააჩნია სამუშაო, არ ასრულებს ანაზღაურებად ან რაიმე სხვა საქმიანობას შემოსავლის, მოგების მიღების მიზნით;
- ეძებს სამუშაოს, ბოლო 4 კვირის განმავლობაში მიმართა სხვადასხვა საშუალებას სამუშაოს მოსაძებნად: დარეგისტრირდა დასაქმების სააგენტოში, მოითხოვა საქმიანობის დაწყება დამოუკიდებლად, გააკეთა სარეკლამო განცხადებები, ან უპასუხა მსგავს განცხადებებს, ეძებს სამუშაოს მეგობრების, ნათესავების, ნაცნობების საშუალებით და ა.შ.;
- და სამუშაოს პოვნის შემთხვევაში მზად არის სამუშაოს დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

შესაბამისად, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა მოიცავს პირებს, ვინც არც დასაქმებულია და არც უმუშევარი. ფორმალურად, ეს კატეგორია მოიცავს პენსიაზე გასულ პირებს, მოსწავლეებს/სტუდენტებს, დიასახლისებს, ინვალიდებს და ა. შ. პირებს, რომლებიც არ მუშაობენ და ამავდროულად აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს ან/და მზად არ არიან სამუშაოს დასაწყებად.

ამრიგად, დასაქმებული ქალების რაოდენობა და დასაქმების დონე დაბალია კაცებთან შედარებით. მეორე მხრივ, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია კაცებში, თუმცა ეკონომიკური არააქტიურობის დონე უფრო მაღალია ქალებში.

**15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება
ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 2009**

	ათასი	
	ქალი	კაცი
15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა სულ	1 694.8	1 436.2
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	920.5	1 071.3
დასაქმებული მოსახლეობა	778.6	877.6
უმუშევარი მოსახლეობა	141.9	193.7
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა	774.4	364.9
უმუშევრობის დონე, უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში (პროცენტი)	15.4	18.1
დასაქმების დონე, დასაქმებულთა პროცენტული წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (პროცენტი)	45.9	61.1
არააქტიურობის დონე, არააქტიურ პირთა პროცენტული წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (პროცენტი)	45.7	25.4

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

დასაქმების დონის ქალთა მაჩვენებელი 15.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია კაცებთან შედარებით, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია კაცებს შორის.

პრობლემა: როგორც დასაქმების ასევე საშუალო ხელფასის დონეებშიც არის მნიშვნელოვანი განსხვავებები ორივე სქესს შორის. 2009 წლის მდგომარეობით ქალის საშუალო ხელფასი შეადგენდა 398.3 ლარს, რაც კაცის საშუალო ხელფასის 57.7 პროცენტია (690.8 ლარი).

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2009 წელს, ლარი

ქალი	398.3
კაცი	690.8
ქალების ხელფასის პროცენტული თანაფარდობა კაცების ხელფასთან (%)	57.7

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

რა ფაქტორები განსაზღვრავს სამუშაოს ანაზღაურებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასაქმებულის ხელფასის ოდენობას?

რამდენადაც სამუშაოს ანაზღაურება გარკვეულწილად ტექნიკური ასპექტია, იგი განიმარტება შრომითი ბაზრის ტერმინებში. აღნიშნული სფეროს ინდიკატორებზე დაყრდნობით განვიხილავთ სხვა სტატისტიკური სფეროების ინდიკატორებსაც.

განვიხილოთ დასაქმებულის ინდივიდუალური მახასიათებლები შრომის ბაზრის მოთხოვნების თვალსაზრისით და ყურადღება გავამახვილოთ იმ მახასიათებლებზე, რომლებიც განაპირობებენ საშუალო სახელფასო განაკვეთის ცვლილებას. ამრიგად, საჭიროა შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- ეკონომიკის რომელ სექტორებში ხდება უპირატესად კაცებისა და ქალების დასაქმება;
- როგორია საკუთრების ფორმა (სახელმწიფო თუ კერძო სექტორი);
- როგორია დასაქმებულის სამუშაო გამოცდილება;
- როგორია სამუშაო ძალის პროფესიული მომზადების დონე;
- როგორია დასაქმებულ კაცთა და ქალთა მობილურობის კონკრეტული მახასიათებლები?
- არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი დასაქმებულ კაცთა და ქალთა შორის;
- ნახევარ განაკვეთზე ან სეზონურად მომუშავე ქალთა და კაცთა რაოდენობა;
- როგორია თანამდებობების განაწილება იერარქიული წყობის მიხედვით;
- დასაქმებულ ქალთა და კაცთა რაოდენობა, ვინც ისარგებლა რაიმე სახის შვებულებით (როგორცაა: დეკრეტული შვებულება, ბიულეტენი, უხელფასო შვებულება, შვებულება დროებითი შრომისუუნარობის გამო, აკადემიური შვებულება და ა.შ.) საკვლევ პერიოდში.

გაგაანალიზოთ ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორის გავლენით მიღებული მოსალოდნელი შედეგები.

დავიწყოთ ეკონომიკის სექტორებით, ანუ ეკონომიკური საქმიანობის სახეებით. თავიდანვე უნდა აღინიშნოს ორი საკითხი, რომელიც შემდეგ კითხვებზე იძლევა პასუხს:

- რამდენად განსხვავებულია საშუალო სახელფასო განაკვეთი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით?
- არსებობს თუ არა გენდერული განსხვავებები სამუშაო ძალის განაწილებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და თუ ამგვარი განსხვავებები არსებობს, როგორია მათი რიცხობრივი სიდიდე?

რაც შეეხება სხვაობებს საშუალო სახელფასო განაკვეთებს შორის, შესამჩნევია მნიშვნელოვანი განსხვავებები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. 2009 წელს ორივე სქესისთვის ყველაზე მაღალი საშუალო სახელფასო განაკვეთი დაფიქსირდა “საფინანსო საქმიანობის” სექტორში (1023.7 ლარი ქალებისთვის და 1748.6 ლარი კაცებისათვის), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა” სექტორში (ქალებისათვის - 249.6 ლარი და კაცებისათვის - 268.7 ლარი). იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ თუ რამდენად განსხვავე-

ბულია საშუალო სახელფასო განაკვეთის ოდენობა ეკონომიკის სექტორების მიხედვით, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ხშირად გამოყენებული ფრაზა: “სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულ ქალთა საშუალო ხელფასი ოთხჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე “საფინანსო საქმიანობის” სექტორში მომუშავე ქალის საშუალო ხელფასი და ამავე სექტორში დასაქმებული კაცის საშუალო ხელფასი 6.5-ჯერ ნაკლებია “საფინანსო საქმიანობის” სექტორში დასაქმებული კაცის საშუალო ხელფასთან შედარებით.

ცხრილი 20

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	ქალი	კაცი
სულ საქართველოში	398.3	690.8
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	249.6	268.7
სამთომობოპოვებითი მრეწველობა	393.3	722.2
დამამუშავებელი მრეწველობა	332.0	507.6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	724.6	786.7
მშენებლობა	453.7	637.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	407.5	603.5
სასტუმროები და რესტორნები	307.2	459.7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	610.3	765.1
საფინანსო საქმიანობა	1 023.7	1 748.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	478.2	730.7
სახელმწიფო მმართველობა	816.0	909.3
განათლება	255.9	320.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	317.2	552.9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	357.6	465.3

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები საშუალო ხელფასის ოდენობის მხრივ.

უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, უნდა დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, თუ რა განაპირობებს ქალების და კაცების დიფერენციურებას ეკონომიკური სექტორების მიხედვით, ე.ი. რა დგას ზოგიერთი სექტორის “ფემინიზაციისა” თუ “მასკულინიზაციის” მიღმა.

პირველ რიგში, მიგვაჩნია, რომ მსგავსი განაწილება დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანების განათლების დონისა და სპეციალიზაციის სფეროზე. შესაბამისად, უნდა ვეძიოთ გენდერული თავისებურებები განათლებასთან მიმართებაში, განათლების სექტორის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზით. რამდენადაც კონკრეტული პროფესიული ორიენტაცია განისაზღვრება დაწყებითი პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეზე. უნდა დავაკვირდეთ სტუდენტთა გოგონების და ვაჟების განაწილებას სპეციალიზაციის მიხედვით.

**სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
პროგრამების მიხედვით, 2009/2010 სასწავლო წელს**

	ქალი	კაცი	ერთეული ქალთა პროცენტი
სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ	56 620	46 090	55,1
მათ შორის პროგრამების მიხედვით:			
განათლება	1 985	630	75,9
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	14 255	4 601	75,6
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	22 926	20 229	53,1
მეცნიერება	4 222	5 289	44,4
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	2 666	7 309	26,7
სოფლის მეურნეობა	1 128	2 464	31,4
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	8 968	3 102	74,3
მომსახურება	470	2 466	16,0

წყარო: საქსტატი.

კიდევ ერთი საანალიზო ინდიკატორი არის განაწილება იერარქიული თანამდებობების მიხედვით. იგი წარმოადგენს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მეორე ასპექტს, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას ხელფასებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს შრომის ბაზარზე შეინიშნება განსხვავებები ქალთა და კაცთა მონაწილეობასთან მიმართებაში. ქალების დასაქმების დონე შეადგენს 45,9 პროცენტს, ხოლო კაცების 61,1 პროცენტს (შესაბამისად 778.6 ათასი და 877.6 ათასი დასაქმებული).

შესაბამისად, პირველი ეტაპი ტრადიციულად იქნება პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამდენად იცვლება დასაქმებულ ქალთა და კაცთა განაწილება თანამდებობების მიხედვით.

ამის გაგებას უკეთესად შევძლებთ თუ სტატისტიკური მონაცემები გამოავლენს უთანაბრობებს მთლიან ერთობლიობასა და ქვეჯგუფებში არსებულ განაწილებებს შორის გენდერული ნიშნით.

განვიხილოთ სქესობრივი განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით (იხილეთ ცხრილი 22). 2009 წელს ქალები დასაქმებული მოსახლეობის სრული რაოდენობის 47,0 პროცენტს შეადგენდნენ (778.6 ათასი დასაქმებული). რაც შეეხება აბსოლუტურად თანაბარ განაწილებას დასაქმების სტატუსის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში (დაქირავებით დასაქმებულები, დამსაქმებლები, თვითდასაქმებულები (დამსაქმებლების გარდა) და ა.შ.), ქალები უნდა წარმოადგენდნენ დასაქმებულთა 50 პროცენტს. თუ ქალები 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, სახეზეა ქალთა ნაკლები წარმომადგენლობითობა. საპირისპირო შემთხვევაში, თუ ქალები 50 პროცენტზე მეტია – ჭარბი წარმომადგენლობითობაა. მონაცემების განხილვისას, შესამჩნევია ქალთა ზომიერი ნაკლებობა როგორც დაქირავებით, ისე თვითდასაქმებულთა (დამსაქმებლების გარდა) რიცხვში (შესაბამისად 46.7 და 47.7 პროცენტი) და აშკარად გამოკვეთილი ნაკლებობა დამსაქმებელთა შორის (მხოლოდ 25.8 პროცენტი). ქალები არც ერთ ჯგუფში არ არიან ჭარბად წარმოდგენილნი.

დასაქმებულ პირთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2009 წ.

ათასი

	ქალი	კაცი	ქალთა %
დასაქმებული მოსახლეობა სულ	778.6	877.6	47.0
დამსაქმებლები	5.7	16.5	25.7
დაქირავებით დასაქმებულები	278.5	317.4	46.7
თვითდასაქმებულები (დამსაქმებლების გარდა)*	494.2	542.5	47.7
სხვა (გაურკვეველი)	0.1	1.2	7.7

* მეწარმე, მეურნე დაქირავებული პირების გარეშე ან პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი; ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოთ მომუშავე პირი

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

გენდერული განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით არაერთგვაროვანია.

პასუხი უნდა გავცეთ მეორე კითხვასაც, რომელიც ეხება ურთიერთდამოკიდებულების ანალიზს საშუალო სახელფასო განაკვეთსა და მუშახელის განაწილებას შორის იერარქიული თანამდებობების მიხედვით, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასაქმების სტატუსის მიხედვით განაწილებით არის გამოხატული.

დასაქმების სტატუსის მიხედვით არათანაბარმა განაწილებამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებები საშუალო სახელფასო განაკვეთის ოდენობაში მაშინ, როცა საშუალო ხელფასის სიდიდე განსხვავდება დასაქმების სტატუსიდან გამომდინარე. იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რამდენად განაპირობებს დასაქმების სტატუსის მიხედვით არათანაბარი განაწილება საშუალო ხელფასის სიდიდეს, ისეთივე გამოთვლებს გამოვიყენებთ, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილების შემთხვევაში გამოვიყენეთ.

შემდეგ, შევეცდებით იმ ფაქტორების გამოვლენას, რომელიც განაპირობებს იერარქიულ განსხვავებებს. აღნიშნული განსხვავება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დაშვებას: “არის თუ არა განსხვავებები უმაღლეს განათლებაში ქალებსა და კაცებს შორის, რომელიც განაპირობებს კაცთა უფრო მაღალ თანამდებობებზე მოხვედრას ეკონომიკურ ერთეულებში?”.

ისევ შევეცდებით განმარტებითი ჯაჭვის აგებას იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც განაპირობებს დასაქმებული მუშაკის პროფესიულ ზრდას. იგი გამოწვეული უნდა იყოს ობიექტური მიზეზებით, როგორიცაა:

- უმაღლესი განათლების ხარისხი (განათლების დონე);
- სამუშაო გამოცდილება კონკრეტულ სფეროში და კონკრეტულ საწარმოში;
- ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება, რადგან კონკრეტული დასაქმებული პირის დაწინაურების შანსები მცირდება სიტუაციებში, როცა სხვა დასაქმებულებს გააჩნიათ მომზადების იგივე დონე და გამოცდილება, როგორც აღნიშნულ პირს აქვს. ასევე, შესაძლოა განპირობებული იყოს კულტურული და სუბიექტური მიზეზებით, როგორიცაა სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალები არ გამოდგებიან მენეჯერებად, რასაც კაცებიც და ქალებიც იზიარებენ.

სუბიექტური ფაქტორების გავლენა არ აისახება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში, გარდა იმ მცირე შემთხვევებისა, როცა მონაცემები მიიღება ზოგიერთი სპეციფიკური სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების შედეგად. თუმცა, ობიექტური ფაქტორების გამოვლენა შესაძლებელია პირდაპირი ან ირიბი გზით არსებულ სტატისტიკურ მონაცემებში.

აღნიშნული შესაძლებელია გაკეთდეს ორ კლასიკურ კითხვაზე პასუხის გაცემით:

- არის თუ არა განსხვავება კაცებსა და ქალებს შორის სტატისტიკურ მონაცემებში, რომელიც ასახავს ამხსნელ ფაქტორს;
- როგორ და რა ხარისხით აისახება აღნიშნული განსხვავებები ახსნილ ფაქტორში.

ვნახოთ, თუ რამდენად განაპირობებს ქალისა და კაცის პროფესიული მომზადების სხვადასხვა დონე ქალების ნაკლებ წარმომადგენლობას დამსაქმებელთა რიცხვში. რამდენადაც პროფესიული განათლების ცნება პირველ რიგში გულისხმობს განათლების მიღწეულ დონეს, უნდა გავანალიზოთ დასაქმებული ქალებისა და კაცების განაწილება განათლების მიხედვით.

შედარების დროს გასათვალისწინებელია მოსახლეობის პროცენტული განაწილება სქესობრივი ნიშნით განათლების მიხედვით, მათი განსხვავებული რაოდენობის გამო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, სამუშაო ძალის განაწილება წარმოდენილია აბსოლუტურ რიცხვებში და პროცენტებში. პროცენტული მაჩვენებლების ანალიზის დროს, ირკვევა შემდეგი:

1. დასაქმებულ ქალებს და კაცებს უმეტესწილად გააჩნიათ საშუალო განათლება (შესაბამისად 37.3 და კაცების 47.2 პროცენტი) და უმაღლესი განათლება (29.5 და 29.2 პროცენტი შესაბამისად);
2. კაცებთან მიმართებაში ქალების უფრო ჭარბი რაოდენობა დაფიქსირდა: საშუალო პროფესიული განათლების ჯგუფში (19.4 და 14.4 პროცენტი); საბაზო ზოგადი (7.6 პროცენტი და 6.9 პროცენტი) და დაწყებითი განათლების ჯგუფში (2.6 პროცენტი და 1.5 პროცენტთან შედარებით).

ცხრილი 23

დასაქმებული მოსახლეობა განათლების დონის მიხედვით 2009

	ქალი		კაცი	
	ათასი	%	ათასი	%
დასაქმებული მოსახლეობა, სულ	778.6	100.0	877.6	100.0
უმაღლესი	229.9	29.5	256.1	29.2
საშუალო პროფესიული	150.8	19.4	126.0	14.4
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	24.4	3.1	46.2	5.3
საშუალო ზოგადი	290.4	37.3	375.1	42.7
საბაზო ზოგადი	59.1	7.6	60.3	6.9
დაწყებითი	20.5	2.6	12.7	1.5
განათლების გარეშე/ არაიდენტიფიცირებული	3.3	0.4	1.1	0.1

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

3.3. სოციალური უზრუნველყოფა

ქვემოთ შევცდებით თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის პროცესი სოციალური დაცვის სფეროში საპენსიო სისტემის საკითხებზე. აღნიშნულ სფეროს გენდერული პერსპექტივისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პენსიონერები წარმოადგენენ დაუცველ კატეგორიას და მათი უმეტესობა არიან ქალები.

წინა თავში განხილული საკითხებიდან განსხვავებით ვეცდებით წარმოვიდგინოთ საკითხების აღწერითი ანალიზი კონკრეტული მოვლენების ინდიკატორების რაოდენობრივი ანალიზის ნაცვლად.

ამ მიზნით შემუშავებული ინდიკატორების ჩამონათვალი არ იქნება ამხსნელი ინდიკატორი/ფაქტორი, არამედ წარმოადგენს ინდიკატორებს, რომლებიც შესაბამის სფეროში არსებულ ზოგად სიტუაციას ასახავს და რომელიც განსახილველი მოვლენის განმარტებას ემსახურება.

აღნიშნული სიის მომზადებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სტატისტიკური ინდიკატორების ფართო ჩამონათვალი, რომელიც საპენსიო სისტემის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას იძლევა, იმისთვის, რომ ინდიკატორების ჯგუფმა აღნიშნული სექტორის სრული სურათი მოგვცეს.

თუმცა, საწყის ეტაპზე აუცილებელია გავეცნოთ ეროვნული საპენსიო სისტემის ძირითად პრინციპებსა და ცნებებს. ნებისმიერი მასალა, რომელიც ეხება აღნიშნულ სექტორს, კანონმდებლობიდან დაწყებული და ანალიტიკური კვლევით დამთავრებული, წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს. კანონმდებლობიდან ვსწავლობთ ძირითად პრინციპებს და ვეცნობით ზოგიერთ ცნებას.

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ (საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ №2442 – რს. მოქმედებს 2006 წლის 1 იანვრიდან) განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფას.

სახელმწიფო პენსიის დაწესებით კანონი ადგენს ასაკის, შესაძლებლობის შეზღუდვის და მარჩენალის დაკარგვის გამო პირის მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის საყოველთაო უფლებას და ამ უფლების რეალიზებას ახდენს ეტაპობრივად, არსებული რესურსების ფარგლებში.

კანონი არეგულირებს სახელმწიფო პენსიაზე (შემდგომში – პენსია) უფლების წარმოშობის საფუძვლებს, განსაზღვრავს პენსიის ოდენობას, მისი ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, მისი შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, არეგულირებს პენსიის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

არსებობს პენსიის შემდეგი სახეები:

- ა) პენსია, რომელიც ენიშნება საპენსიო ასაკის პირს;
- ბ) პენსია, რომელიც ენიშნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს;
- გ) მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული პენსია.

საპენსიო ასაკის მიღწევისას დანიშნული პენსიის ოდენობას განსაზღვრავს ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, ყოველწლიურად.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო პენსია ენიშნებათ:

1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს 80 ლარის ოდენობით. ამავე ოდენობის პენსია ენიშნებათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დანმარებას.
2. მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე

პირებს ენიშნებათ პენსია 70 ლარის ოდენობით. ამავე ოდენობის პენსია ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს.

– მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები:

ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 129 ლარი;

ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 129 ლარი;

გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 80 ლარი.

სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები:

ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 84 ლარი;

ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 84 ლარი;

გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 70 ლარი.

– მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია ენიშნება:

ყოველ მარჩენალდაკარგულ ბავშვს 18 წლამდე, ერთი ან ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში – თითოეულ ბავშვს 55 ლარის ოდენობით.

ამრიგად, შევეცდებით გამოვყოთ სისტემის ძირითადი ელემენტები, რომელიც ანალიზის საგანი გახდება. ესენია: საპენსიო ასაკის ბენეფიციარები და პენსიის ოდენობა.

საპენსიო ასაკის ბენეფიციარები და პენსიის ოდენობა განიხილება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- რაოდენობა და ცვლილებები ღრის გარკვეულ ინტერვალში;
- განაწილება ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და პენსიის სახეების მიხედვით;
- პენსიონერთა განაწილება სპეციალიზებულ ინსტიტუტებში.
- პენსიის ოდენობა პენსიონერთა რაოდენობის მიხედვით;
- პენსიის ოდენობა პენსიონერთა კატეგორიის მიხედვით;
- პენსიის ოდენობა რეგიონების და პენსიონერთა რაოდენობის მიხედვით;
- დაწესებულებების ბენეფიციარები, რომელთაც დაწესებულება უზრუნველყოფს საჭირო მომსახურებითა და საქონლით.

და ბოლოს, პრობლემა, რომლითაც დავიწყებთ ანალიზს, შემდეგში მდგომარეობს: ქალები წარმოადგენენ პენსიონერთა უმრავლესობას (65.4 პროცენტი 2009 წელს). შესაბამისად, ხანდაზმულობისა და საპენსიო სისტემის პრობლემები უფრო მეტ გავლენას ახდენს ქალებზე, ვიდრე კაცებზე.

თითოეულ ასპექტს განვიხილავთ დამოუკიდებლად ორ ჭრილში, კერძოდ: როგორია არსებული მდგომარეობა და რა ფაქტორებმა განაპირობა ამ მდგომარეობის ჩამოყალიბება?

პენსიონერთა რაოდენობა

არსებული მდგომარეობა

2009 წელს პენსიის მიმღებთა სრული რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 838.5 ათას ადამიანს. მათგან, საპენსიო ასაკთან დაკავშირებით პენსიას იღებდა 660.0 ათასი პირი, ე.ი. პენსიონერთა 78.7 პროცენტი. ქალები პენსიონერთა სრული რაოდენობის 65.4 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო საპენსიო ასაკით დანიშნული პენსიის მიმღებთა 68.8 პროცენტს. ამრიგად, საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემატიკა უდაოდ აქტუალურია გენდერული პერსპექტივის თვალსაზრისით.

ცხრილი 24

პენსიონერთა განაწილება სქესისა და პენსიის სახეების მიხედვით

ათასი

	სულ	ქალი	კაცი	ქალების ხვედრითი წილი, %
პენსიონერები სულ	838.5	548.5	290.0	65.4
მათ შორის პენსიას იღებს:				
ასაკის გამო	660.0	454.2	205.8	68.8
შეზღუდული შესაძლებლობის გამო	139.9	62.6	77.3	44.7
მარჩენალის გარდაცვალების გამო	35.5	30.2	5.3	85.0
სხვა მიზეზის გამო	3.1	1.5	1.6	48.4

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ასაკი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს ქალი და კაცი პენსიონერების რაოდენობის დადგენაში. ჩვენ გავანალიზებთ მონაცემებს სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ და მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც აღწევს საპენსიო ასაკს. 2009 წელს კაცთა შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი შეადგენდა 69.20 წელს, ხოლო ქალებს შორის – 77.69 წელს, ე.ი. 8.49 წლით მეტს.

იმისათვის, რომ მოვიძიოთ სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, დავუბრუნდეთ მონაცემებს მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების შესახებ (რომელიც ჯანდაცვის შესახებ ქვეთავში იყო წარმოდგენილი). დავინახავთ, რომ უკვე 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან კაცები რიცხობრივად უმცირესობას შეადგენენ მოსახლეობაში და მათი წილი მოსახლეობის რიცხოვნობაში მცირდება მომდევნო ასაკობრივ ჯგუფთან ერთად. ქალთა საპენსიო ასაკობრივ ჯგუფში (58-62 წელი), კაცთა წილი უკვე 44.8 პროცენტს შეადგენს, ხოლო კაცთა საპენსიო ასაკობრივ ჯგუფში (63-67 წელი) მათი რიცხვი კიდევ უფრო მცირდება და შეადგენს 42.1 პროცენტს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმთავრესი მიზეზი პენსიონერ კაცთა დაბალი რიცხოვნობისა მდგომარეობს იმაში, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მცირეა ქალებთან შედარებით, ამრიგად, ”პოტენციურ” პენსიონერთა რიცხვი (საპენსიო ასაკს მიღწეული პირები) კაცებს შორის გაცილებით მცირეა, როგორც ეს ქვემოთ ცხრილშია მოცემული.

მოსახლეობის რიცხოვნობა 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ერთეული

ასაკი	ქალი	კაცი	კაცების სველრიითი წილი %
0 წლის	24 411	31 146	56,1
1-4 წლის	89 468	99 957	52,8
5-9 წლის	108 438	120 967	52,7
10-14 წლის	131 929	143 270	52,1
15-19 წლის	174 652	180 540	50,8
20-24 წლის	178 293	182 436	50,6
25-29 წლის	166 413	167 017	50,1
30-34 წლის	158 810	153 119	49,1
35-39 წლის	154 804	144 123	48,2
40-44 წლის	157 648	140 381	47,1
45-49 წლის	179 645	155 343	46,4
50-54 წლის	157 668	133 992	45,9
55-59 წლის	137 495	113 502	45,2
60-64 წლის	94 108	75 557	44,5
65-69 წლის	106 249	73 583	40,9
70-74 წლის	114 497	77 098	40,2
75-79 წლის	79 640	49 938	38,5
80-84 წლის	58 691	30 212	34,0
85 და მეტი	31 763	8 626	21,4
სულ	2 304 622	2 080 807	47,4

წყარო: საქსტატი

ამასთანავე, საპენსიო ასაკი დიფერენცირებულია სქესის მიხედვით. ქალებისათვის იგი შეადგენს 60 წელს, ხოლო კაცებისათვის – 65 წელს. იმისათვის, რომ განისაზღვროს რაოდენობრივი ეფექტი, უნდა გაირკვეს, თუ როგორია კაცთა რიცხოვნობა 60-65 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

კაცთა რიცხოვნობა 60-65 წლის ასაკობრივ ჯგუფში

მოსახლეობის რიცხოვნობა 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ასაკი, წლები	რიცხოვნობა
60	18 645
61	18 598
62	15 834
63	12 643
64	9 837
65	7 577
60-65	83 134

წყარო: საქსტატი

2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 60-65 წლის ასაკობრივ ჯგუფში კაცების რაოდენობა 83.1 ათასს შეადგენს. ამრიგად, პენსიონერთა რაოდენობა საპენსიო ასაკის მიხედვით იქნება 288.9 ათასი კაცი (205.8 ათასს + 83.1 ათასი), ე.ი. მათი პროცენტული რაოდენობა პენსიონერთა სრული რიცხვიდან შეადგენს 34,5 პროცენტს. რაოდენობრივი განსხვავება პენსიონერ კაცთა დე-ფაქტო რაოდენობასა (31.2 პროცენტი) და ჰიპოთეტურ რაოდენობას შორის (34.5 პროცენტი) გვიჩვენებს დიფერენცირებული საპენსიო ასაკის რიცხობრივ გავლენას პენსიონერთა განსხვავებულ რიცხოვნობაზე.

ცხრილი 27

პენსიის მიმღებთა რაოდენობა რეგიონებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2009 წელს
ერთეული

რეგიონი	80+	75-79	70-74	65-69	60-64	სხვა	სულ
სულ	112 206	120 811	187 470	148 553	101 281	168 172	838 493
ქ. თბილისი	24 047	26 022	47 417	38 489	31 138	35 080	202 193
აჭარის არ	6 318	7 341	12 313	11 483	7 918	18 471	63 844
გურია	4 913	4 910	7 392	5 524	3 419	5 881	32 039
იმერეთი	21 944	22 949	34 244	26 569	16 334	33 999	156 039
კახეთი	12 731	12 882	18 764	13 405	9 555	14 014	81 351
მცხეთა-მთიანეთი	3 595	3 775	5 269	4 150	2 286	3 948	23 023
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 734	2 615	3 067	2 296	1 210	2 405	14 327
სამეგრელო-ზემო სვანეთი	13 573	14 055	21 098	18 017	10 687	18 984	96 414
სამცხე-ჯავახეთი	5 505	6 490	8 586	5 785	3 553	7 384	37 303
ქვემო ქართლი	9 097	10 948	16 254	12 471	8 623	13 087	70 480
შიდა ქართლი	7 749	8 824	13 066	10 364	6 558	14 919	61 480

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ცხრილი 28

პენსიონერთა განაწილება საპენსიო ასაკის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით 2009 წელს

	ათასი კაცი		
	სულ	ქალი	კაცი
სულ	660.0	454.2	205.8
მათ შორის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, წლები			
<53	0.02	0.01	0.01
53-57	0.14	0.11	0.03
58-62	67.1	66.9	0.2
63-67	100.1	73.1	27.0
68+	492.5	314.0	178.5

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რაც შეეხება პენსიონერთა ასაკობრივ განაწილებას, ქალების რიცხოვნობა აჭარბებს კაცებისას იმ ასაკობრივ ჯგუფშიც კი, რომელიც წინ უსწრებს საპენსიო ასაკობრივ ჯგუფს. მაგალითად, 53-57 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც კაცებისა და ქალების საპენსიო ასაკობრივ ჯგუფს უსწრებს წინ, იყო 0.11 ათასი პენსიონერი ქალი და 0.03 ათასი პენსიონერი კაცი, რაც ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს.

პენსიის სიდიდე

არსებული მდგომარეობა

პენსიის ოდენობა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რადგან პენსია მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის არსებობის ძირითადი წყაროა.

პენსიის დანიშვნა

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე კაცი, რომელსაც შეუსრულდა 65 წელი, ხოლო ქალი, რომელსაც შეუსრულდა 60 წელი, პენსიის დასანიშნად მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პენსიის ოდენობებია:

1. ასაკის საფუძვლით 80 ლარი;
 - დანამატი ასაკის პენსიაზე, შრომითი სტაჟის გამო:
 - ა) 5 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 2 ლარი;
 - ბ) 5-დან 15 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 4 ლარი;
 - გ) 15-დან 25 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 7 ლარი;
 - დ) 25 და მეტი საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 10 ლარი.
 - იძულებით გადაადგილებული პირისათვის – დევნილისათვის, რომელიც დოკუმენტურად ვერ ადასტურებს შრომით სტაჟს, 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ასაკის გამო დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი ამავე პერიოდთან განისაზღვრება შემდეგი წესით:
 - ა) დევნილი კაცებისათვის:
 - ა.ა) 65-დან 67 წლამდე – 2 ლარი;
 - ა.ბ) 67-დან 69 წლამდე – 4 ლარი;
 - ა.გ) 69-დან 71 წლამდე – 7 ლარი;
 - ა.დ) 71 წლიდან ზევით – 10 ლარი.
 - ბ) დევნილი ქალებისათვის:
 - ა.ა) 60-დან 62 წლამდე – 2 ლარი;
 - ა.ბ) 62-დან 64 წლამდე – 4 ლარი;
 - ა.გ) 64-დან 66 წლამდე – 7 ლარი;
 - ა.დ) 66 წლიდან ზევით – 10 ლარი.

განმსაზღვრელი ფაქტორები:

პენსიის სიდიდე განისაზღვრება ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

3.4. ჯანმრთელობა

წინამდებარე ქვეთავი ეხება გენდერულ განსხვავებებს ჯანდაცვის სფეროში. გენდერული მაჩვენებლები ჯანმრთელობის, სამედიცინო მომსახურების და კვების რაციონის კატეგორიებში:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების პროცენტული წილი, რომელიც განკუთვნილია ქალთა სამედიცინო მომსახურებისათვის;
- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა რიცხვი და მათი ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით;
- სამედიცინო კონსულტაციების რიცხვი და ჰოსპიტალიზაციის დღეების რაოდენობა სქესის მიხედვით; საავადმყოფოში პაციენტთა ადგილების რაოდენობის პროცენტული შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან;
- ვირუსულ ინფექციებზე აცრილ გოგონათა და ვაჟთა რაოდენობა;
- მშობიარობათა წილი, რომელიც ჩატარდა სამედიცინო პერსონალის დასწრებით.
- მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლიობა სქესის მიხედვით;
- ღელათა მოკვდაობის მაჩვენებელი (1000 ცოცხლად შობილზე);
- ახალშობილთა მოკვდაობის მაჩვენებელი და გოგონათა/ვაჟთა პროცენტული განაწილება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი გადაძვლები დაავადებების რიცხვი ან/და პრევალენტურობა, მათ შორის, აივ/შიდსისა, სქესის მიხედვით;
- კალორიების მოხმარების პროცენტული წილი - აუცილებელ მინიმუმთან მიმართებაში, სქესის მიხედვით;
- სასურსათო ხარჯების პროცენტული წილი მთლიან შემოსავალში სქესის მიხედვით;
- ჰიგიენისა და სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით.

აღნიშნული მაჩვენებლები მიღებულ იქნა გაეროს რეკომენდაციით და პრიორიტეტული სფეროები განისაზღვრა პეკინის ძირითადი სამოქმედო პლატფორმის საფუძველზე (1995) (იხ. დანართი ა).

პეკინის სამოქმედო პლატფორმის (1995) შესაბამისად, გაეროს რეკომენდაციით მიღებული გენდერული ინდიკატორების ათი კლასიდან ერთ-ერთი ეხება ჯანდაცვას. (ეს უკანასკნელი შეიცავს მთელ რიგ გენდერულ ინდიკატორებს, თუმცა მათი სია ჯერ კიდევ არასრულია). მეორეს მხრივ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური სისტემების ყველა ინდიკატორი არ არის ასახული.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თავი - განსაკუთრებულია, რადგან იგი შეიცავს სხვადასხვა ტიპის გენდერულ ინდიკატორებს. მასში ასევე შედის გენდერულად დიფერენცირებული ინდიკატორები (მაგ. ტუბერკულოზის აქტიური ფორმის პრევალენტობა) და გენდერული ინდიკატორები (მაგ. აბორტების რაოდენობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვისაა რელევანტური), აგრეთვე, სქესთან დაკავშირებული მაჩვენებლები (ბებია-ქალების რაოდენობა, რაც ისევ მხოლოდ ქალებისთვისაა რელევანტური).

შევეცადოთ მოკვდაობისა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ანალიზის სქემის შედგენა, რაც აუცილებელია ამ მოვლენის განვითარების ანალიზისათვის კაცებსა და ქალებში. ინდიკატორი შეიქმნა მისი ფართო სექტორთაშორისი მახასიათებლის მიხედვით, რადგან სტატისტიკურ მონაცემებში იგი, როგორც წესი, ასახულია თავში მოსახლეობის ბუნებრივი მოძ-

რაობის შესახებ, რაც ამავდროულად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯანდაცვის სფეროსთან.

პირველ რიგში, საჭიროა გამოყენებული ცნებების ანუ მაჩვენებლების შესწავლა, რომლებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი დამოკიდებული ცვლადების სახით საბოლოო ანალიზის დროს.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

მოკვდაობის მაჩვენებელი წარმოადგენს აბსოლუტურ რიცხვს, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მომხდარ გარდაცვალებათა კონკრეტულ რაოდენობას ასახავს) ან მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს, რაც შეესაბამება გარდაცვლილთა რაოდენობას ყოველ 1000 ადამიანზე (როგორც მოცემულია 29-ე ცხრილში)

2009 წელს მოკვდაობის მაჩვენებელი ქალებში შეადგენდა 9.7-ს, რაც 1.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია კაცებთან შედარებით (11.5).

ცხრილი 29

მოკვდაობის კოეფიციენტები სქესისა და ასაკის მიხედვით 2009 წელს

(გარდაცვალების შემთხვევები შესაბამისი სქესის და ასაკის ყოველ 1000 ადამიანზე)

ასაკი (წლებში)	ქალი	კაცი
0-4	3.9	4.4
5-9	0.3	0.3
10-14	0.3	0.3
15-19	0.4	0.6
20-24	0.7	1.4
25-29	0.6	2.2
30-34	0.9	2.8
35-39	1.2	4.0
40-44	1.9	6.0
45-49	2.3	7.5
50-54	3.4	10.4
55-59	5.4	12.9
60-64	9.4	16.8
65-69	24.4	52.0
70-74	26.5	43.8
75-79	53.4	80.1
80-84	70.1	90.0
85+	129.5	177.9
სულ	9.7	11.5

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

სიცოცხლის მოსალოდნელი ხაგრძლივობა დაბადებისას წარმოადგენს ინდიკატორს, რომელიც დაკავშირებულია მოკვდაობასთან და რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მოკვდაობის და ადამიანის სიცოცხლის საგარაუდო ხანგრძლივობის პროგნოზირება.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2009 წელს

წელი

	ქალი	კაცი
0	77.7	69.2
1	77.8	69.4
5	74.0	65.5
10	69.1	60.6
15	64.2	55.7
20	59.3	50.9
25	54.5	46.2
30	49.7	41.7
35	44.9	37.2
40	40.1	32.9
45	35.5	28.8
50	30.9	24.8
55	26.4	21.0
60	22.0	17.3
65	18.0	13.6
70	15.0	11.9
75	11.8	9.2
80	9.7	7.6
85+	7.7	5.6

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

განსაზღვრებები გვიჩვენებს, რომ ორივე ინდიკატორი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ასახავს მოსახლეობის მოძრაობას, სხვადასხვა კუთხით. რადგან ეს ინდიკატორები ერთი და იგივე პროცესს ეხება, ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს ინდიკატორზე (ეს განმსაზღვრელი ფაქტორები შედიან ანალიზში, როგორც დამოუკიდებელი ცვლადები) აუცილებლად მოახდენს გავლენას სხვა ინდიკატორზე;

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლებში)

	ქალები	კაცები
2000	75.0	67.5
2001	74.9	68.1
2002	74.9	68.0
2003	75.3	68.7
2004	75.1	67.9
2005	77.6	70.0
2006	78.5	69.8
2007	79.4	70.5
2008	79.0	69.3
2009	77.7	69.2

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

ჩამოვთვალოთ "მოკვდაობისა" და "სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის" ცვლადების განმსაზღვრელი ფაქტორები.

მოკვდაობაზე გავლენას ახდენს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: საცხოვრებელი პირობები, ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმები, ბავშვთა მოკვდაობა, დაბერება და უბედური შემთხვევები.

დასაწყისისთვის, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ინდიკატორები, რომლებიც გამოხატავენ მოკვდაობაზე და სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე გავლენის მქონე ფაქტორებს, სტატისტიკის ყველა დარგში არსებობს. ამიტომ უფრო მოსახერხებელია მათი ანალიზი ფუნქციური ჯგუფების მიხედვით, სტატისტიკურ მონაცემთა კლასიფიკაციის იმ თავის შესაბამისად, რომელშიც შედიან აღნიშნული ინდიკატორები. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ფაქტორის ჩართვა, რათა გავაანალიზოთ თითოეულის გავლენის ხარისხი (გამოვრიცხოთ ფაქტორები, რომელთაც ყველაზე უმნიშვნელო გავლენა გააჩნიათ).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ჩამონათვალი სავარაუდო ფაქტორებისა, რომლებმაც, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, შეიძლება იქონიოს გავლენა მოკვდაობაზე. თუმცა იმისათვის, რომ გავარკვიოთ განსხვავების მიზეზი ქალებისა და კაცების მოკვდაობის მაჩვენებლებს შორის, საჭიროა გავარკვიოთ, როგორია ქალთა და კაცთა განაწილება ინდიკატორების მიხედვით, რაც, ჩვენი ვარაუდით, გავლენას ახდენს მოკვდაობაზე.

ინდიკატორთა ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება თითოეული ინდიკატორი დადგენილია სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაში შესული ჯგუფების მსგავსად.

ინდიკატორების კატეგორია	როგორია განმსაზღვრელი ფაქტორების მანქნებლები
მოსახლეობა და ბუნებრივი მოძრაობა	მოსახლეობის დაბერება (კოეფიციენტი) შობადობის ღონე გარდაცვალების მიზეზები
ავადობა	ავადობა, რომელიც გამოწვეულია: <ul style="list-style-type: none"> • სიმსივნით • სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით • ალკოჰოლიზმით და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით • ვენერიული დაავადებით • ინფექციებით ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობა
ცხოვრების ღონე	კეთილდღეობის/სიღარიბის ღონე კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> • ოჯახის სიდიდე • დამოკიდებულობის კოეფიციენტი • შემოსავლის სტრუქტურა • ხარჯების სტრუქტურა, კერძოდ, საკვებსა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა • საკვების მოხმარების სტრუქტურა • ხანგრძლივი მოხმარების საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკა
სოციალური დაცვა	პენსიის ოდენობა სულ მოხმარებულ კალათასთან მიმართებაში სოციალური დაზღვევის სისტემაში მონაწილეობა ბავშვთა მოვლისთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობა მარტონხელა ადამიანთა განთავსება სპეციალურ დაწესებულებებში (მოხუცებულთა თავშესაფრები, ბავშვთა სახლები) სასიცოცხლო პროდუქტების და მომსახურების შეძენის მექანიზმები
შრომის ბაზარი	შრომის ანაზღაურება დასაქმების სტრუქტურა, უმუშევრობა მაგნე სამუშაო პირობები სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევები შელავათები და დანამატები საშიში პირობებისთვის
დანაშაულებრიობა და ძალადობა	დანაშაულებრიობის ღონე და პატიმართა რაოდენობა დანაშაულის მსხვერპლი პირები ოჯახში მომხდარი ძალადობის შემთხვევების რაოდენობა სატრანსპორტო უბედური შემთხვევები და მსხვერპლი ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

განმარტებათა სია ვრცელია, უფრო მეტიც, მისი ამოწურვა შეუძლებელია, რადგან ურთიერთდამოკიდებულება თითოეული განმსაზღვრელი ფაქტორის შემთხვევაში მოითხოვს უფრო დიდი მოცულობის მონაცემებს, ვიდრე ეს შესაძლებელია ამ ნაშრომში. ამგვარად, შემდგომში გავაანალიზებთ კავშირს რამდენიმე ინდიკატორს შორის. ეს შესრულება რამდენიმე ეტაპად, რათა პასუხები მივიღოთ შემდეგ კითხვებზე:

- როგორია შესასწავლი ინდიკატორის არსებული მნიშვნელობა ქალებისა და კაცებისათვის?
- როგორ აისახება განსხვავებები მოკვდაობის მაჩვენებელში ქალებისა და კაცებისათვის?
- რამდენად აისახება ამხსნელი ინდიკატორების განსხვავება მოკვდაობის დონის სხვაობაზე?

პირველ რიგში, ჩვენ უფრო ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ მონაცემებს თვით პროცესის შესახებ და შევადგინოთ მისთვის დამახასიათებელი ასპექტების ჩამონათვალი. უფრო დაწვრილებით განვიხილავთ სიკვდილის მიზეზებს, რათა მათი მეშვეობით გავაანალიზოთ მოკვდავობაზე გავლენის მქონე მრავალი სხვა საკითხი.

სიკვდილის გამომწვევი მიზეზები

ჩვენი ამოცანის შესასრულებლად, საჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- როგორია მოკვდაობის სტრუქტურა სიკვდილის გამომწვევი მიზეზების მიხედვით?
- როგორია სპეციფიკური გენდერული განსხვავებები (როგორია სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზები ქალებსა და კაცებში)?

როცა ვითვალისწინებთ პროცენტულ განაწილებას სიკვდილის გამომწვევი მიზეზების მიხედვით და ვცდილობთ მიზეზების დიფერენცირებას რაოდენობის მიხედვით, ნათელია, რომ გარდაცვალების შემთხვევების სტრუქტურა სიკვდილის მიზეზების მიხედვით ძირითადად მსგავსია. რაოდენობის მხრივ, ორივე სქესობრივ ჯგუფში ჭარბობს სისხლის მიმოქცევის სისტემასთან დაკავშირებული დაავადებების მიზეზით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები. მეორე ადგილზეა სიმსივნით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები, ხოლო მესამეზე - ინფექციური და პარაზიტული დაავადებები.

მოკვდაობის ანალიზის დროს სიკვდილის მიზეზების მიხედვით ორივე სქესობრივი ჯგუფისათვის ცალ-ცალკე ყველაზე დიდი განსხვავება ვლინდება კონკრეტული მიზეზით გამოწვეული გარდაცვალებათა რაოდენობაში ქალებსა და კაცებში. ქალების შემთხვევაში გარდაცვლილთა რაოდენობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადების მიზეზით უფრო მაღალია (გარდაცვალების შემთხვევების 58,1 პროცენტი), კაცებთან შედარებით (52,5 პროცენტი), მაშინ, როცა ახალწარმონაქმნებით გამოწვეული გარდაცვალებათა პროცენტული რაოდენობა შეადგენს 10,3 და 11,2 პროცენტს შესაბამისად. კაცებში ხშირია მოკვდაობის გამომწვევი სხვა ფაქტორებიც.

გარდაცვალება სიკვდილის მიზეზების მიხედვით
2009 წელი

სიკვდილის მიზეზები	რაოდენობა		%		მოკვდაობის კოეფიციენტი (100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით)
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება	92	236	0.4	1.0	7.4
ახალწარმონაქმნები	2 318	2 721	10.3	11.2	1 14.2
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეული დარღვევები	18	32	0.1	0.1	1.1
ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დაავადებები	307	255	1.4	1.1	12.7
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	21	29	0.1	0.1	1.1
ნერვიული სისტემის დაავადებები	184	183	0.8	0.8	8.3
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	13 026	12 699	58.1	52.5	583.2
სუნთქვის ორგანოების დაავადებები	352	414	1.6	1.7	17.4
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები	345	844	1.5	3.5	27.0
ძვალკუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები	4	3	0.0	0.0	0.2
შარდსასქესო სისტემის დაავადებები	112	205	0.5	0.8	7.2
ორსულობა, მშობიარობა და ლოკინობის ხანა, აბორტით დამთავრებული ორსულობა	32	0	0.1	0.0	0.7
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები	331	456	1.5	1.9	17.8
განვითარების თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომური ანომალიები	17	22	0.1	0.1	0.9
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისა, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	4 943	4 803	22.0	19.9	221.0
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	332	1 289	1.5	5.3	36.7
სულ	22 434	24 191	100.0	100.0	1 057.0

წყარო: საქსტატი

იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რა დონემდე ახდენს გავლენას სიკვდილის გამომწვევი მიზეზების ცვალებადობა მოკვდაობის მასშტაბებზე, ჩავატარებთ რიგ მათემატიკურ ექსპერიმენტებს. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ჩვენ ვაწარმოებთ გაანგარიშებას, რათა გავარკვიოთ რამდენად განაპირობებს კაცთა და ქალთა სიკვდილიანობას ის შემთხვევები, რომელიც გამომწვეულია უბედური შემთხვევებით, მოწამვლით და ტრავმებით.

ზოგიერთი მოვლენის გავლენა შეიძლება პირდაპირ გაიზომოს, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული.

მათემატიკური თვალსაზრისით, ვატარებთ ექსპერიმენტს და ვიღებთ სავარაუდო მაგალითს იმასა, რომ ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგებით დაღუპულ კაცთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ქალებისა. ჩვენ მარტივად ვანგარიშობთ გარდაცვალების სავარაუდო რაოდენობას იმ ალბათობით, რომ ეს განსხვავება არ არსებობს და რომ იმ ქალებისა და კაცების რაოდენობა, რომლებიც ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგებით დაიღუპნენ, თანაბარია.

2009 წელს, ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგებით დაიღუპა 1289 კაცი და 332 ქალი, ანუ 957-ით მეტი კაცი, ვიდრე ქალი. იმავე პერიოდში, გარდაცვლილების საერთო რაოდენობა (გამომწვევი მიზეზის მიუხედავად) 1757-ით მეტი იყო კაცებში. ამრიგად, თუ შევადარებთ გარდაცვლილთა საერთო რაოდენობას უბედური შემთხვევით გამომწვეულ გარდაცვალებათა რიცხვს, ვნახავთ რომ გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში 5,3% მოდის გარდაცვლილებზე, რომელთა სიკვდილის გამომწვევი მიზეზი ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები გახდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თუკი უბედური შემთხვევით გამომწვეული მოკვდაობის მაჩვენებელი ორივე სქესში ერთნაირია, მოკვდაობის მაჩვენებლის სხვაობა კაცებსა და ქალებს შორის 5,3 პროცენტით ნაკლები უნდა იყოს.

ამჟამად ჩვენ ვცდილობთ გავაანალიზოთ ურთიერთდამოკიდებულება მოკვდაობასა და მოსახლეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ინდიკატორს შორის, როგორიცაა ბუნებრივი მოძრაობა, ვინაიდან მოკვდაობა, როგორც პროცესი და სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა, როგორც დაკავშირებული ინდიკატორი, პირდაპირ ეხება მოსახლეობის დაბერების ცნებას.

მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს ინდიკატორს, რომელიც ამოხატავს ხანდაზმულთა (60 წლისა და უფროსი ასაკის) რაოდენობას ყოველ 100 ადამიანზე.

როგორ და რამდენად აისახება ეს მოკვდაობაზე?

თავდაპირველად, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მოკვდაობის დონის ცვალებადობაზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რასაც გავაანალიზებთ 4.5 ცხრილის მეშვეობით. დავინახავთ, რომ მოკვდაობის დონე საგრძნობლად იზრდება ხანდაზმულობის ზრდასთან ერთად (გარდა 0-4 ასაკობრივი ჯგუფისა) და მნიშვნელოვნად მატულობს 50 წლის შემთხვევით ასაკობრივ ჯგუფებში. თუმცა 5-9 და 10-14 ასაკობრივი ჯგუფებისთვის დონე თანაბარია და შეადგენს 0,3 როგორც ქალებში ასევე კაცებში. მაშინ, როცა 75 წლის და უფროსი ასაკის ქალებს შორის მაჩვენებელი 74,2-ია, ხოლო კაცებში – 94,0.

მოკვდაობის კოეფიციენტები სქესის და ასაკის მიხედვით, 2009 წელი

ასაკი (წლებში)	ქალი	კაცი
სულ	9,7	11,5
0-4	3,9	4,4
5-9	0,3	0,3
10-14	0,3	0,3
15-19	0,4	0,6
20-24	0,7	1,4
25-29	0,6	2,2
30-34	0,9	2,8
35-39	1,2	4,0
40-44	1,9	6,0
45-49	2,3	7,5
50-54	3,4	10,4
55-59	5,4	12,9
60-64	9,4	16,8
65-69	24,4	52,0
70-74	26,5	43,8
75+	74,2	94,0

მოკვდაობის დონე მნიშვნელოვანწილად იზრდება ხანდაზმულობის მატებასთან ერთად. კაცებში მოკვდაობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011

რაც შეეხება მოსახლეობის დაბერების პროცესს, დაბერების კოეფიციენტი ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში.

მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი 2009 წელი

(60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველ 100 კაცზე)	
ქალი	21.1
კაცი	15.2

წყარო: საქსტატი

ახლა კი დაუბრუნდეთ ორივე პროცესის განსაზღვრებებს. მოკვდაობის დონე გამოხატავს გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობას, როგორც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი), ასევე მოსახლეობის ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფში (მოკვდაობის კოეფიციენტი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) მაშინ, როცა მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი გამოხატავს ხანშიშესული ადამიანების რაოდენობას მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში. ამკარაა, რომ ურთიერთდამოკიდებულების ლოგიკა საწინააღმდეგოს აჩვენებს. დაბალი მოკვდაობის მაჩვენებლის და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე მოსახლეობას უფრო მეტი ცოცხლად დარჩენილი ადამიანი ჰყავს უფრო ხანდაზმულ ასაკში. ამგვარად, დაბერების კოეფიციენტი მათ შემთხვევაში მაღალია.

იმისათვის, რომ უკეთ გავიანზოთ რეალური სიტუაცია, შეგვიძლია განვიხილოთ გარდაცვლილთა რაოდენობა მთლიანად და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. როდესაც ეს რაოდენობა არ არის ასახული სტატისტიკურ პუბლიკაციებში, მისი გაანგარიშება შეგვიძლია მოკვდაობის დონის საფუძველზე. რამდენადაც მოკვდაობის დონე იანგარიშება, როგორც გარდაცვლილთა

რაოდენობა ათას ადამიანზე. იმისათვის, რომ მოკვდაობის შემთხვევების სწორი რაოდენობა მივიღოთ, ვიყენებთ მათემატიკურ მოქმედებას, რომელიც არის მოკვდაობის დონის გაანგარიშების წესისგან საპირისპირო. ამრიგად, მოკვდაობის დონე მრავლდება მთლიანი მოსახლეობის რაოდენობაზე (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის შემთხვევაში) ან მოსახლეობის რაოდენობაზე ასაკობრივ ჯგუფში (მოკვდაობის დონე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით). შემდეგ მიღებული რაოდენობა 1000-ზე გაიყოფა. გაანგარიშების შედეგი მოცემულია 35 ცხრილში.

გაანგარიშების პროცესში ვხედავთ, რომ კაცთა გარდაცვალების შემთხვევები მთლიან რაოდენობაში ჭარბობს, მაგრამ არა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის. გარდაცვლილთა რაოდენობის საფუძველზე ვანგარიშობთ კაცთა გარდაცვალების შემთხვევების პროცენტულ რაოდენობას გარდაცვლილთა მთლიან რაოდენობაში (ბოლო ქვერივი ცხრილის მარჯვენა ნაწილში). ამგვარად, 2009 წელს გარდაცვლილ კაცთა რაოდენობა იყო 51.9 პროცენტი. ეს 50 პროცენტს აღემატება (ასე რომ, უფრო მეტი კაცი გარდაიცვალა, ვიდრე ქალი). განსხვავება ყველაზე დიდია 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (77,1), მაშინ, როცა 75 წლისა და უფროს ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილი ქალების რაოდენობა მეტია.

ამგვარად, კაცთა მოკვდაობის უფრო მაღალი კოეფიციენტი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში და მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში კაცთა გარდაცვალების რაოდენობა არის უფრო მაღალი. 75 წელს გადაცილებულთა ასაკობრივ ჯგუფში ქალთა მოკვდაობა ჭარბობს, თუმცა გარდაცვლილთა მთლიან რაოდენობაში ქალთა გარდაცვალების შემთხვევები უფრო ნაკლებია. ამასთან, მოკვდაობის დონე კაცებში მაინც უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მამრობითი სქესის მოსახლეობის საერთო რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლებია შესაბამისი ასაკის მდედრობითი სქესის მოსახლეობაზე. ეს ფაქტი, აგრეთვე, აისახა მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტშიც.

ცხრილი 35

მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა და გარდაცვლილთა რიცხოვნობა, 2009 წელი

ასაკი (წლებში)	რიცხოვნობა (ათასი)		გარდაცვალება (ერთეული)		
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	კაცთა ხვედრითი წილი გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში, %
სულ	2 316,1	2 094,8	22 434	24 191	51,9 >50
0-4	117,7	134,3	454	589	56,5 >50
5-9	108,3	120,8	35	34	49,3 <50
10-14	129,9	141,9	37	46	55,4 >50
15-19	171,0	177,3	65	105	61,8 >50
20-24	179,0	183,2	118	252	68,1 >50
25-29	168,4	169,6	109	367	77,1 >50
30-34	160,1	154,9	140	427	75,3 >50
35-39	156,4	146,7	188	588	75,8 >50
40-44	156,5	139,9	304	834	73,3 >50
45-49	180,1	155,9	416	1 175	73,9 >50
50-54	160,0	136,5	550	1 422	72,1 >50
55-59	139,7	115,7	749	1 496	66,6 >50
60-64	100,2	80,7	940	1 352	59,0 >50
65-69	98,6	68,2	2 403	3 548	59,6 >50
70-74	117,5	78,6	3 119	3 440	52,4 >50
75+	172,7	90,6	12 807	8 516	39,9 <50

მხოლოდ 75 წ. და უფროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის კაცების რიცხვი ნახევარზე ნაკლებია გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში.

წყარო: საქსტატი

**გაანგარიშებულია, მოკვდაობის დონის საფუძველზე და გამოსატულია 1000 მოსახლეზე, მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.*

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ დროში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და გამოისახება პრომილეში (%)

როგორ აისახება ეს მოკვდაობის ღონეზე?

შობადობის კოეფიციენტი წარმოადგენს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კიდევ ერთ კომპონენტს (მოკვდაობასთან ერთად). შესაბამისად, ეს ორი პროცესი ურთიერთდამოკიდებულია. აუცილებელია შობადობის ღონის ანალიზი, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოსახლეობის დაბერების და მოკვდაობის პროცესებს გენდერული ნიშნით.

პირველი კითხვა, რომელიც მოითხოვს პასუხს არის: თანაბარია თუ არა ახლად დაბადებული გოგონების და ბიჭების რაოდენობა. პასუხი უარყოფითია. 2009 წელს დაიბადა 30992 გოგო და 32385 ბიჭი, ანუ 1393-ით მეტი ბიჭი, ვიდრე გოგო (იხილეთ ცხრილი 36).

ცხრილი 36

შობადობის რაოდენობა 2009 წელს

სულ	გოგო	30 992
	ბიჭი	32 385
ქალაქი	გოგო	21 433
	ბიჭი	22 230
სოფელი	გოგო	9 559
	ბიჭი	10 155

შობადობის ღონე ბიჭებში უფრო მაღალია. ცოცხლად დაბადებულ ყოველ 100 გოგონაზე მოდის დაახლოებით 105 ცოცხლად დაბადებული ბიჭი

წყარო: სტატისტიკური პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში” 2011.

ჩვენ დავინახეთ, რომ დაბადებულ ბიჭთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე გოგონების. ამიტომ აშკარაა, რომ ქვედა ასაკობრივ ჯგუფში ბიჭების რაოდენობა ჭარბობს. 37-ე ცხრილის მეთხუთმეულ მწკრივის 0-4 ასაკობრივ ჯგუფში მდებარეობითი სქესის მოსახლეობა მხოლოდ 46.7 პროცენტს შეადგენს. ასაკის ზრდასთან ერთად ქალთა წილი მთლიან მოსახლეობაში იზრდება ისე, რომ 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 49.8 პროცენტი და 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში უკვე ნახევარზე მეტია (50.8 პროცენტი), ხოლო 75 წელს გადაცილებულთა ასაკობრივ ჯგუფში 65.6 პროცენტს შეადგენს.

ამგვარად, რიცხობრივი განსხვავება დაბადებისას ნაწილობრივ აბალანსებს მოკვდაობის ღონებს შორის სხვაობას სქესობრივ ჭრილში. იმისათვის, რომ დავინახოთ აღნიშნული დაბალანსების ეფექტი, ჩავატაროთ მარტივი გაანგარიშება, რომელმაც შეიძლება ასახოს მამრობითი სქესის მოსახლეობის რაოდენობა, თუკი დაბადებულ ბიჭთა და გოგონათა რიცხვი იქნებოდა ერთმანეთის ტოლი. რადგან დაბადებული ბიჭების და გოგონების თანაფარდობა არის 105 / 100, ანუ ბიჭების რაოდენობა 5 პროცენტით მეტია, კაცთა ჰიპოთეზური რაოდენობა დაბადებულთა სქესობრივი მანვენების ტოლობის შემთხვევაში გაანგარიშდება 5 პროცენტის გამოკლებით მამრობითი სქესის მოსახლეობის რეალური რაოდენობიდან. (ამ გაანგარიშების შედეგი მოცემულია ცხრილში 37, როგორც ადამიანთა ჰიპოთეზური რაოდენობა). დავინახავთ, რომ ქალები მიაღწევდნენ მოსახლეობის ჰიპოთეზური რაოდენობის 53.8 პროცენტს, იმ შემთხვევაში თუ დაბადებისას რაოდენობრივი განსხვავება კაცთა სასარგებლოდ არ იქნებოდა გადახრილი და მათი წილი მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში შესაძლებელია ყოფილიყო 1.3 პროცენტზე ნაკლებიც.

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის განსხვავებების გავლენა სქესის მიხედვით

ასაკი (წლებში)	საშუალო წლიური მოსახლეობა			მოსახლეობის ჰიპოტეზური რაოდენობა	
	ქალი	კაცი	ქალი%	კაცთა მთლიანი რაოდენობა	ქალთა % მთლიან მოსახლეობაში
სულ	2 316.1	2 094.8	52.5	1 990.1	53.8
0-4	117.7	134.3	46.7	127.6	48.0
5-9	108.3	120.8	47.3	114.8	48.5
10-14	129.9	141.9	47.8	134.8	49.1
15-19	171.0	177.3	49.1	168.4	50.4
20-24	179.0	183.2	49.4	174.0	50.7
25-29	168.4	169.6	49.8	161.1	51.1
30-34	160.1	154.9	50.8	147.2	52.1
35-39	156.4	146.7	51.6	139.4	52.9
40-44	156.5	139.9	52.8	132.9	54.1
45-49	180.1	155.9	53.6	148.1	54.9
50-54	160.0	136.5	54.0	129.7	55.2
55-59	139.7	115.7	54.7	109.9	56.0
60-64	100.2	80.7	55.4	76.7	56.6
65-69	98.6	68.2	59.1	64.8	60.3
70-74	117.5	78.6	59.9	74.7	61.1
75+	172.7	90.6	65.6	86.1	66.7

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობებში არსებული სხვაობის გამო, ქალების რიცხვი ნაკლებია უმცროს ვაკუუმებში და უპირატესობა შეიძლება 30 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში

წყარო: საქსტატი

ჩვენი საბოლოო დასკვნები მოკვდაობის პროცესსა და ბუნებრივი მოძრაობის სხვა ისეთ კომპონენტებს შორის, როგორიცაა შობადობის დონე და მოსახლეობის დაბერება, ასეთია:

მიმართება მოსახლეობის მოკვდაობასა და დაბერებას შორის ურთიერთდამოკიდებულია, რისი მიზეზიცაა მიკერძოებულობა თვითონ დაბერების პროცესთან მიმართებაში, რადგან მამრობითი სქესის მოსახლეობის თითოეულ ასაკობრივ ვაკუუმში მოკვდაობის უფრო მაღალი დონე ფიქსირდება (უფრო დაბალი სიცოცხლის საგარაუდო ხანგრძლივობაა საშუალო ასაკამდე), რაც საბოლოოდ გვაძლევს ხანშიშესულთა (60 წლის და უფროსი ასაკის პირთა) უფრო ნაკლებ რაოდენობას ყოველ 100 ადამიანზე (დაბერების კოეფიციენტი);

გამომდინარე დაშვებიდან, რომ ავადობის პროცესი (დაავადებათა შემთხვევები) დაკავშირებულია ჯანდაცვის სისტემასთან და ამავე დროს წარმოადგენს მოკვდაობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს, ნათელია, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტები აგრეთვე უნდა გაგვანალიზოთ მოკვდაობის სრულად შესწავლის მიზნით.

ავადობა, როგორც ინდიკატორი, წარმოადგენს თანაფარდობას დაავადებულ ადამიანთა რაოდენობასა და მოსახლეობის საერთო რაოდენობას შორის დროის კონკრეტულ პერიოდსა და კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.

როგორია გავლენა?

სიკვდილის მიზეზების გაანალიზებისას ვხედავთ, რომ ისინი დაავადებებითაა გამოწვეული. ეს კი ავადობის შემთხვევებს წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის მიზნებისათვის საჭიროა დავადგინოთ:

- როგორია სხვაობა, რა განსხვავებაა ავადმყოფი ქალების და კაცების რაოდენობებს შორის?
- რამდენად ინტენსიურია ეს პროცესი ორივე ჯგუფში? მაგალითად, ავადმყოფობის რამდენი ახალი შემთხვევაა ფიქსირებული დროის გარკვეულ პერიოდში?

შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ კატეგორიის დაავადებებს, რომლებიც დაავადებათა უმრავლესობას იწვევს.

ზოგ შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებულება არ არის პირდაპირი და მასში მრავალი სხვა ფაქტორია ჩართული, რის გამოც, ზუსტი შეფასება აღნიშნული გავლენისა რთულია, ამიტომ უბრალოდ აღინიშნება, რომ არსებობს გარკვეული გავლენა. მაგალითისათვის გავაანალიზებთ ხსენებული კატეგორიის დაავადებებს, კერძოდ, მდგომარეობას ტუბერკულოზთან დაკავშირებით.

მონაცემები ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევებზე წარმოდგენილია როგორც კოეფიციენტის (ახალი შემთხვევების რაოდენობა 100000 მოსახლეზე), ასევე აბსოლუტური რიცხვის სახით.

შევეცადოთ და აღვწეროთ საწყისი მდგომარეობა. როგორც გავარკვიეთ, 2009 წელს დარეგისტრირებულ იქნა ტუბერკულოზის 1366 ახალი შემთხვევა ქალებში და 3052 კაცებში, ამგვარად ავადობის შემთხვევა კაცებში 2,23-ჯერ მეტია.

ორივე ჯგუფში დაფიქსირებულ დაავადებულთა შორის, დიდ უმრავლესობას შეადგენდა ფილტვის ტუბერკულოზის მგბ(+) ფორმა, 1570 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა კაცებში, ხოლო 506 შემთხვევა - ქალებში. ანალოგიური მდგომარეობაა ტუბერკულოზის გავრცელების მხრივაც სულ რეგისტრირებულ დაავადებულებში: ფილტვის ტუბერკულოზის მგბ(+) ფორმის 2431 შემთხვევაა რეგისტრირებული კაცებში და 621 შემთხვევა - ქალებში. რაც შეეხება ფილტვგარეშე ტუბერკულოზს, აქ დაფიქსირდა ტუბერკულოზური პლევრიტის 422 ახალი შემთხვევა კაცებში და 243 - ქალებში.

ცხრილი 38

ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა

	შემთხვევების რაოდენობა		პროცენტი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები, სულ მათ შორის:	1 366	3 052	100	100
ფილტვის ტუბერკულოზი მგბ(+)	506	1 570	37.0	51.4
ფილტვის ტუბერკულოზი მგბ(-)	348	732	25.5	24.0
ბაქტერიოსკოპიის გარეშე	19	24	1.4	0.8
ფილტვგარეშე ტუბერკულოზი	493	726	36.1	23.8

წყარო: საქსტატი.

ასევე გავანალიზოთ მეორე ასპექტი, რომელსაც, როგორც ვივარაუდეთ, არაპირდაპირი გავლენა აქვს მოკვდაობის პროცესზე, აქტიური ტუბერკულოზით ავადობის კუთხით. 2010 წელს, ქვეყანაში რეგისტრირებულია 1174 ქალი და 22510 კაცი პატიმარი. კაცი პატიმრების რაოდენობა 19-ჯერ აღემატება ქალებისას. ტუბერკულოზი ძირითადად გავრცელებულია პატიმარ კაცებს შორის და შეადგენს საშუალოდ 101 დაავადებულს თვის განმავლობაში. ეს არის ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებულთა დაახლოებით 2,3 პროცენტი.

თავი IV. სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენება გენდერული ანალიზისთვის და სახელმწიფო პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების შეფასება გენდერული თვალსაზრისით

4.1. გენდერული თანასწორობა და გენდერული მენისტრინგი სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიაში

გენდერული თანასწორობა გულისხმობს კაცისა და ქალის თანაბარ მოპყრობას. მისი უზრუნველყოფისთვის ხშირად აუცილებელია საგანგებო ზომების გატარება ქალთა წინაშე მდგარი ისტორიული და სოციალური პრობლემების დასაძლევად, რომელიც ქალებს არასასარბიელო მდგომარეობაში აყენებს და ხელს უშლის მათ ისარგებლონ იმავე შესაძლებლობებით, რითიც სარგებლობენ კაცები. ითვლება, რომ სქესთა თანასწორობა წარმოადგენს გენდერული თანასწორობის განხორციელების ერთ-ერთ პრინციპს⁶.

როდესაც ვსაუბრობთ გენდერულ თანასწორობაზე, ვგულისხმობთ იმას, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისუფლება განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები, ისარგებლოს თანაბარი უფლებებით და გააკეთოს არჩევანი შეზღუდვების გარეშე, რომელიც სოციალური სტერეოტიპებითა და მოლოდინით არ არის განპირობებული და ემყარება ტრადიციულ გენდერულ როლებსა და წარმოდგენებს. იგი ითვალისწინებს იმ გარემობას, რომ აუცილებელია კაცისა და ქალის განსხვავებული ქცევის, მიზნებისა და მოთხოვნის მხედველობაში მიღება, შეფასება და თანაბრად ხელშეწყობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაიგივებულია ქალი და კაცი, არამედ იმას, რომ თითოეული მათგანი სარგებლობს იგივე თავისუფლებით საკუთარი მისწრაფებების განხორციელებაში⁷.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ როგორც ადრე, ახლაც შეიძლება თანასწორობის თეორიულ განზომილებაში გადატანა და მისი ინტერპრეტირება განსხვავებული სახით. თანამედროვე და ფართოდ აღიარებული განზოგადება თანასწორობისა განასხვავებს სამ განსხვავებულ მიდგომას:

1. ფორმალური თანასწორობა. ფორმალური თანასწორობა პროცედურულია თავისი ხასიათით და გულისხმობს თანამიმდევრულობის პრინციპის დაცვას ადამიანებთან მიმართებაში.

ერთმანეთის მსგავს ადამიანებს ერთნაირად უნდა მოეპყრან და არა მათი ხასიათის თვისებიდან გამომდინარე, რომელიც კონკრეტული სიტუაციისთვის შესაძლოა რელევანტური არ იყოს.

ფორმალური თანასწორობის პრაქტიკაში გატარება ხდება დისკრიმინაციის აკრძალვით. მისი განხორციელება შეიძლება შეფასდეს დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევების გავრცელების შეფასების გზით.

2. შედეგების თანასწორობა. შედეგების თანასწორობა თავისი ბუნებით ფაქტობრივია და ეხება გატარებული პოლიტიკის საბოლოო შედეგებს, რომელიც მიზნად ისახავს რესურსებისა და პრივილეგიების თანაბარ გადანაწილებას.

შედეგების თანასწორობას პრაქტიკაში უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობის განმატყვიცბელი სახელმწიფო პოლიტიკისა და ზომების გატარება. მისი განხორციელების შეფასება შესაძლებელია გავლენის სტატისტიკური შეფასების მეთოდების გამოყენებით.

შედეგების თანასწორობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების

⁶ CIDA, 1996; IGWG, 2002

⁷ ILO, 2000; IGWG, 2002

გატარება, რომელიც სცილდება ანტიდისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის განხორციელების ფარგლებს და მოითხოვს თანასწორობის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და სხვა ქმედით ღონისძიებებს⁸. შედეგების თანასწორობის განხორციელების შეფასება შესაძლებელია სტატისტიკური მეთოდებით, რომელიც შეაფასებს, მაგალითად, სხვაობას ქალისა და კაცის შემოსავალსა და კეთილდღეობის დონეს შორის.

3. თანაბარი შესაძლებლობები. მიდგომა თანაბარი შესაძლებლობების შესახებ გარკვეულწილად აბალანსებს პირველ ორ მიდგომას და წარმოადგენს სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარი შესაძლებლობებით საზოგადოების ყველა წევრს, რომ მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში და ისარგებლონ ისეთი სფეროების მომსახურებით, როგორცაა: განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა და ა.შ.

თანაბარი შესაძლებლობების პრაქტიკული განხორციელება ხდება დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრით და თანასწორობაზე ორიენტირებული ზომების გატარებით. მისი შეფასება რთულია, და მიახლოებით უტოლდება თანაფარდობას ფორმალური თანასწორობის ზომასა და შედეგების თანასწორობას შორის.

ეს მიდგომა მიზნად ისახავს ქალისა და კაცის მაქსიმალურ დაახლოებას საწყის ეტაპზე, ისეთი ზომების გამოყენებით, როგორცაა დისკრიმინაციული სტერეოტიპებისა და მცდარი წარმოდგენების შეცვლა და უთანასწორობით გამოწვეული უარყოფითი გარემოებების კომპენსაცია თანასწორობაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებით. თანაბარი შესაძლებლობების შეფასება ზუსტად შეუძლებელია: თეორიულად იგი შეიძლება შეფასდეს ქალთა და კაცთა ჯგუფებში ამჟამად არსებული შედეგების შეფასებით, ვისაც გააჩნია თანაბარი შესაძლებლობები და ფასეულობები, თუმცა აღნიშნული ცვლადების კალკულაცია რთულია. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად გამოიყენება ფორმალური თანასწორობისა და შედეგების თანასწორობის შეფასების დროს გამოყენებული მეთოდები, თანაბარი შესაძლებლობების დაახლოებით გამოსათვლელად.⁹

თანასწორობის განსხვავებული ინტერპრეტაციები ასახავს სოციალური სამართლიანობის განსხვავებულ ცნებებს და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საზოგადოებაში. პრაქტიკაში, იგი გამომდინარეობს გაბატონებული კულტურული, პოლიტიკური და სოციალური გარემოდან¹⁰.

ამრიგად, ზოგადად, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია ორი ტიპის უერთიეროშემავსებელი სტრატეგიის არსებობა, კერძოდ: (ზოგადად თანასწორობისა და ემანსიპაციის ხელშეწყობაზე მიმართული) ქალთა საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკა და საგანგებო ზომები, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრელად; და გენდერული მენისტრიმინგი ყველა სახელმწიფო პოლიტიკაში, სტრატეგიასა და პროგრამებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას გენდერული თანასწორობის დაცვა და პროპაგანდა. განსხვავება ორ უერთიეროშემავსებელ სტრატეგიებს შორის კომპლექსური სახით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

⁸ შედეგების თანასწორობის მხარდამჭერები საკმაოდ კრიტიკულები არიან ფორმალური თანასწორობის შესახებ, რადგან, პრაქტიკაში, იდენტურმა მოპყრობამ შეიძლება გააღრმავოს არსებული უთანასწორობა, რომელიც წარსული ან ამჟამინდელი დისკრიმინაციის ან სხვა სახის ნაკლოვანების შედეგია.

⁹ უთანასწორობის განსხვავებული ინტერპრეტაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: Sandra Fredman, "Discrimination Law" (Oxford: Oxford University Press, 2002), pp. 1-26 და Martin MacEwen, "Tackling Racism in Europe: An Examination of Anti-Discrimination Law in Practice" (Oxford: Berg, 1995), pp. 22-25.

¹⁰ არსებობს თანასწორობის თეორიების განხილვის განსხვავებული გზები. მაგალითად, კრისტოფერ მაკრუდენი (Christopher McCrudden) განასხვავებს თანასწორობის შემდეგ ოთხ განზომილებას, რომელიც ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავს: სოციალური თანასწორობა ინდივიდის დონეზე, სოციალური თანასწორობა ჯგუფის დონეზე, თანასწორობა, როგორც იდენტურობის აღიარება და თანასწორობა, როგორც მონაწილეობა. იხ. Christopher McCrudden, "Thinking about the Discrimination Directives", European Anti-Discrimination Law Review, Issue No 1, April 2005.

ქალთა უფლებამოსილების გაზრდა	გენდერული მენისტრიმინგი
განხორციელების მიზნები:	
ქალთა შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობის უზრუნველყოფა თანასწორობის განმტკიცებისა და მის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ზომების საშუალებით.	სოციალური გენდერის თვალსაზრისით თანასწორუფლებიანი საზოგადოება; ქალთა და კაცთა სპეციფიკური მოთხოვნილებები.
განსაკუთრებული აქცენტი კეთდება:	
ქალებზე (როგორც სპეციალურ მიზნობრივ ჯგუფზე)	გენდერულ ურთიერთობებზე; სოციალურ სტრუქტურებზე.
საგანგებო ზომები გულისხმობს:	
პროექტებსა და პროგრამებს ქალებისთვის.	გენდერულ მენისტრიმინგს ყველა საკითხში ყველა დონეზე; ქალებისა და კაცების გათვითცნობიერებულობის ამაღლებას აღნიშნულ საკითხებში; გენდერული ანალიზის განხორციელებას სხვადასხვა დონეებზე.
სტრატეგია:	
ურთიერთშემავსებელ მიდგომებს ეყრდნობა; არ მოიცავს კაცებს.	ეყრდნობა სექტორთა შორის სტრატეგიას; ანალიზებს და განიხილავს გენდერული ნეიტრალობის საკითხს; პასუხისმგებლობას ანიჭებს როგორც ქალებს, ასევე კაცებს.
ქალთა ხელშეწყობა და გენდერული მენისტრიმინგი ურთიერთშემავსებელია.	

გენდერული მენისტრიმინგი გულისხმობს გენდერული ასპექტების ჩართვას ყველა მიმართულების პოლიტიკაში, პროგრამაში, პრაქტიკაში თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა, ნებისმიერ ეტაპზე და განხორციელების ნებისმიერ დონეზე, გაანალიზდეს თუ როგორი იქნება შედეგები კაცებისა და ქალებისათვის და მოქმედება მიმართულ იქნას არსებული უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული პირებისთვის, გენდერული პერსპექტივის ჩართვა სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიებში გულისხმობს იმის მუდმივ ანალიზს, თუ როგორი იქნება შედეგები ქალებისა და კაცებისათვის მათი განხორციელების შემთხვევაში და როგორ მოხდება ამ პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქალისა და კაცის ურთიერთობა კომპლექსურად, უნდა განხილულ იქნას განსხვავებული გარემო, რომელშიც ისინი არსებობენ და გააზრებულ იქნას ის, რომ საჭიროა მათი განსხვავებული მხარეების ანალიზი.

გენდერული მენისტრიმინგის სტრატეგია განსხვავდება თანასწორი შესაძლებლობების შესახებ აქამდე არსებული მიდგომებისგან, რომლებიც ძირითადად ქალთა სასარგებლოდ მიმართული კონკრეტული ზომების განხორციელებას გულისხმობდა. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ აღნიშნული მიდგომების საშუალებით ვერ ხერხდება პროფესიულ და ოჯახურ ცხოვრებაში არსებული სტრუქტურული უთანასწორობების გამოსწორება, რომელიც ხელს უშლის ქალების მონაწილეობას შრომის ბაზარზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ გენდერული მენისტრიმინგი ავსებს კონკრეტულ პროგრამებს, რომელიც ქალებზეა ორიენტირებული და ორივე მათგანი ურთიერთდაკავშირებულია. მაშინ როცა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი პოლიტიკა ყალიბდება იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც გენდერული დისკრიმინაციისა თუ ისტორიული უთანასწორობის შედეგადაა წარმოშობილი, გენდერული მენისტრიმინგი წარმოადგენს სისტემატურ სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ზოგადი აქცენტის გადატანას გენდერულ თანასწორობაზე, საზოგადოებრივი პოლიტიკის გრძელვადიანი უზრუნველყოფის მიზნით.

4.2. გენდერული ანალიზი

გენდერული ანალიზი წარმოადგენს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების ინსტრუმენტს საზოგადოებრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, რომელიც აუცილებელია, აღნიშნული საზოგადოებრივი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ადგილობრივი კონტექსტის განსაზღვრისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. ის შეიცავს მეთოდებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერული უთანასწორობის, გენდერული განსხვავებებისა და ურთიერთობების სოციალური და ეკონომიკური შედეგების გამოვლენისა და ინტერპრეტირებისთვის, იმისათვის, რომ შემცირდეს ეს განსხვავებები პოლიტიკის და პროგრამების განხორციელებით.

გენდერული ანალიზი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

1. ქალისა და კაცის მიერ ყველა ტიპის რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და იმ გენდერული განსხვავებების შესწავლა, რომელიც არსებობს გადაწყვეტილების მიღების დონეზე. ასეთი კვლევა მოითხოვს გენდერულად დიფერენცირებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების არსებობას, იმისთვის, რომ მოხდეს აღნიშნული განსხვავებების სწორი შეფასება.

მაგალითი, 2009 წელს საქართველოში ქალის საშუალო ხელფასი 42.3 პროცენტით ჩამოუვარდებოდა კაცის საშუალო ხელფასს.

2009 წელს ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში შეადგენდა მხოლოდ 5.0 პროცენტს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში არჩეული წევრების მხოლოდ 11.9 პროცენტს.

2. გენდერული ინდიკატორებისა და სტატისტიკური მონაცემების შესწავლა, რომელიც ხელს შეუწყობს მიღწეული პროგრესის შეფასებას ან პრობლემური საკითხების გამოვლენას გენდერული პერსპექტივის თვალსაზრისით. აღნიშნული მოითხოვს ქალსა და კაცს შორის არსებული განსხვავებების სიღრმისეულ შესწავლას, გენდერული ნიშნით დიფერენცირებული მონაცემების შედეგების მიხედვით.

მაგალითი, სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები დასაქმების შესახებ გვიჩვენებს, რომ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ქალებში კარიერული სვლის შეწყვეტა უფრო ხშირია, ვიდრე კაცებში.

ღრმა ანალიზი გამოავლენს არსებულ უთანასწორობას, რომელიც ქალისა და კაცის სტატუსთანაა დაკავშირებული: რადგან უფრო მეტი ქალია დაკავებული ბავშვების მოვლით, ვიდრე კაცი, ქალებს ხშირად უწევთ სამუშაო განაკვეთის შემცირება, ან სულაც სამუშაო ბაზრის დატოვება გარკვეული დროით. განსაკუთრებით მაშინ, როცა არ არსებობს საკმარისი დაწესებულებები ბავშვების მოვლისა და აღზრდისთვის.

3. უფრო ფართო სოციალური კონტექსტის შესწავლა და გააზრება, რომელშიც ვლინდება გენდერული უთანასწორობა.

მაგალითი, გენდერული საკითხების კავშირის შესწავლა სხვა ფაქტორებთან, როგორცაა: ასაკი, რელიგია, განათლების დონე.

4. პოლიტიკის ან პროგრამის/პროცესების თითოეულ ეტაპზე ქალსა და კაცს შორის განსხვავებების დეტალური შესწავლა.¹¹

მაგალითი, სქესის ნიშნის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემები ჩვეულებრივ გვიჩვენებს ტუბერკულოზით დაავადებისა და ამ დაავადებით გამოწვეული მოკვდაობის გაცილებით მაღალ დონეს კაცებს შორის, ქალებთან შედარებით. თუმცა, გენდერული ანალიზის გარეშე, არ არის

¹¹ Uplekar, M., Pathania, V. & Ravignione, M. – “private practitioners and public health: weak links in tuberculosis control”- Lancet 358, 2001, pages 912 – 916.

ნათელი, აღნიშნული გენდერული განსხვავებები ფაქტობრივია თუ გარკვეული ბარიერებითაა გამოწვეული დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის პროცესში.

გენდერმა შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ქალები და კაცები სიმპტომებს, რამდენად მიმართავენ პროფესიულ დახმარებასა და სამედიცინო დაწესებულებებს, როგორ ხდება მათი დიაგნოსტიკა, მათი მხრიდან მკურნალობის დაწყება და პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგების მიღება. თითოეული ასეთი კვლევის გენდერული ანალიზი შესაძლოა დაგვეხმაროს იმ სფეროების/ეტაპების დადგენაში, სადაც ქალსა და კაცს შორის უთანასწორობის შემცირებაზე ორიენტირებული ზომების მიღება ყველაზე მეტად ეფექტიანი იქნება.

ამიტომ, ინფორმაცია, რომელიც მიიღება გენდერული ანალიზის შედეგად, ამჟღავნებს გენდერულ უთანასწორობას. ასეთი მონაცემების გამოყენება შესაძლებელია სხვა უთანასწორობის შესასწავლად, რომელიც წარმოდგება შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკისა თუ ეთნიკური წარმომავლობიდან.

აღნიშნული მონაცემები გვეხმარება უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს, ისეთი შედეგების მისაღწევად, რომელიც თანაბრად მოუტანს სარგებლობას ერთიან მიზნობრივ ჯგუფს, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავს ქალებსა და კაცებსაც.

ორგანიზაციამ “Status of Women Canada/Condition Feminine Canada” (ქალთა მდგომარეობა კანადაში), მოამზადა სახელმძღვანელო დოკუმენტი გენდერული ანალიზის განხორციელების შესახებ¹². დოკუმენტში რეკომენდებულია რვა საფეხურიანი მეთოდის გამოყენება, რომელიც შეაფასებს პოლიტიკის, პროგრამისა თუ კანონის განსხვავებულ გავლენას ქალებსა და კაცებზე. ასეთი მოდელის შემუშავებისას, კანადელი ექსპერტები ეყრდნობიან იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკის, პროგრამისა და კანონის განსხვავებული შედეგები ქალებისა და კაცებისათვის, ხშირად დაფარულია და ძნელად ამოსაცნობია. როცა გენდერული პერსპექტივა საგანგებოდაა გამოკვეთილი, გაცილებით იზრდება “უარყოფითი” შედეგის გამოვლენის შესაძლებლობა. მაგალითად, მთავრობის მოვალეობაა უზრუნველყოს ის, რომ საზოგადოებრივი პოლიტიკა, პროგრამები და კანონმდებლობა თანაბრად სამართლიანი იყოს ქალებისა და კაცების მიმართ. აღნიშნული მოვალეობის შესრულება შეუძლებელია გენდერული ანალიზის განხორციელების გარეშე მათი შემუშავების ეტაპზე. ქვემოთ მოვიყვანთ რვა საფეხურიანი მოდელის მოკლე აღწერილობას:

საფეხური 1: პრობლემის გამოვლენა, განსაზღვრა და ანალიზი – კონკრეტულ პოლიტიკაზე დაყრდნობით, იწყება კონკრეტული პრობლემისა თუ განვითარების შესაძლებლობის გამოვლენა. აღნიშნული ეტაპი მოითხოვს პრობლემის ხასიათის, მიზნისა და მნიშვნელობის გამოვლენას პოლიტიკის განმარტოვების მიზნებისა და სხვა არსებული სახელმწიფო პროგრამული მიმართულებების კონტექსტში.

გენდერული ასპექტები:

- პრობლემისა და მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა, კაცისა და ქალის განსხვავებული გამოცდილების გათვალისწინებით;
- პოლიტიკა, პროგრამები და კანონმდებლობა არ უნდა უწყობდეს ხელს გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის გაძლიერებას;
- მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი შესაძლო გავლენა კაცებსა და ქალებზე;
- პრობლემის გამოვლენის პროცესში კაცები და ქალები თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული: რას ფიქრობენ პრობლემის შესახებ ქალთა ორგანიზაციები და გენდერული საკითხების ექსპერტები? როგორია საზოგადოებრივი აზრი აღნიშნულთან მიმართებაში? როგორია ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე პრობლემის გამოვლენის

¹² Gender –based analysis: A guide for policy-making; Status of Women Canada/Condition feminine Canada; September 1998.

პროცესში?

- ასაკი, სოციალური სტატუსი და სხვა ფაქტორები ცვლის ქალისა და კაცის განსხვავებულ გამოცდილებებს (მაგალითად, ორსულობა, მშობლის მოვალებები, საპენსიო ასაკი);
- კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე აღნიშნულ სფეროში.

საფეხური 2: მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა – მოსალოდნელი და არასასურველი შედეგების ანალიზი ჩვეულებრივ გულისხმობს იმის დადგენას, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ან დააბრკოლებს კონკრეტული პოლიტიკა სხვა მიზნების ან პროგრამული მიმართულებების განხორციელებას. ამ ეტაპზე განიხილავენ ინდიკატორებს, მონიტორინგის პროცესს, პარტნიორებს, ვალდებულებებს, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად.

გენდერული ასპექტები:

- სხვადასხვა ზომების მიღება შეიძლება იქნეს საჭირო ქალებისა და კაცებისათვის სამართლიანი შედეგების მისაღწევად;
- განსხვავებული შედეგების მხედველობაში მიღება გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად;
- საჭიროა გაანალიზდეს ის შედეგები, რომელთა მიღებასაც ვარაუდობენ პოლიტიკის განმახორციელებლები, მიზნობრივი ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კაცებისა და ქალების შეხედულებების გათვალისწინება;
- სხვა შედეგების მსგავსად, ისეთივე ყურადღება დაეთმოს შედეგებს, რომელიც კონკრეტულად ქალებს ეხება;
- შეფასებისა და მონიტორინგის დროს გასათვალისწინებელია შედეგების გენდერული ასპექტები;
- აუცილებელია შედეგების შეფასების ისეთი ინდიკატორების გამოყენება, რომელიც გენდერულ პერსპექტივასაც მოიცავს.

საფეხური 3: ინფორმაციისა და საკონსულტაციო წყაროების განსაზღვრა – მიზნად ისახავს მონაცემთა წყაროების დადგენას, კონკრეტული პოლიტიკის საჭიროების დასასაბუთებლად.

გენდერული ასპექტები:

- შეროვებული მონაცემები უნდა იყოს გენდერულად დიფერენცირებული;
- აუცილებელია ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციები ან გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- აუცილებელია საკონსულტაციო პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა.

საფეხური 4: კვლევის განხორციელება – უნდა განისაზღვროს კვლევის გეგმა და ანალიზის ტიპი (დანახარჯებისა და სარგებლის შეფასება, სოციალური ეფექტი და ა.შ.)

გენდერული ასპექტები:

- კვლევის თემატიკაში განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალებსა და

კაცებზე, როდესაც კვლევა ეხება მათთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებს;

- კვლევის მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს გენდერულ ასპექტს, როგორც სოციალურ პროცესებში გარკვევის ანალიტიკურ ინსტრუმენტს;
- საჭიროა ანგარიშების, კვლევების და სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენება, რომელიც სპეციალურ გენდერულ მეთოდოლოგიას ეყრდნობა.

საფეხური 5: ალტერნატივების განვითარება და ანალიზი – კვლევის დროს გამოვლენილი ალტერნატივების განმარტება და ანალიზი ხორციელდება მათი შესაძლო ეფექტისა და ურთიერთ-დამოკიდებულების გათვალისწინებით პოლიტიკის სხვა მიმართულებებზე, პროგრამებსა და კანონმდებლობაზე.

გენდერული ასპექტები:

- როგორია ქალებზე და კაცებზე ორიენტირებული ვარიანტების დადებითი და უარყოფითი მხარეები?
- რამდენად მყარდება ან იცვლება გენდერული სტერეოტიპები;
- როგორ შეუწყობს ხელს შერჩეული ალტერნატივები გენდერულ თანასწორობას და როგორ მოხდება მათი საშუალებით გენდერული დისკრიმინაციის შემცირება;
- როგორი შედეგები ექნება ამა თუ იმ ალტერნატივის მიღებას ან მის უარყოფას კაცებისა ან ქალებისათვის;
- კონკრეტული გენდერული ზომების გათვალისწინება თითოეული ალტერნატივისთვის.

საფეხური 6: რეკომენდაციის შესრულება/გადაწყვეტილების მიღება ალტერნატივებთან დაკავშირებით

გენდერული ასპექტები:

- გენდერული თანასწორობა უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ელემენტი სარეკომენდაციო ალტერნატივის შერჩევისას;
- ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რეკომენდებული ალტერნატივა არ მოიცავდეს სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ ან კულტურულ დაბრკოლებებს განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას დაბალანსებული გენდერული მონაწილეობის უზრუნველყოფის მხრივ;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ რეკომენდებული ალტერნატივები ხელს უწყობდეს გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას.

საფეხური 7: პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება – მნიშვნელოვანია პერიოდის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ტერმინოლოგიის შერჩევა და საზოგადოების ჩართულობა იმისათვის, რომ განმანხორციელებელთა მიზნები და პოლიტიკის/პროგრამის/კანონმდებლობის გავლენა კარგად იქნას გაგებულად.

გენდერული ასპექტები:

- გზავნილი თანაბრად უნდა იყოს გამიზნული ქალებისა და კაცებისათვის;
- კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ეხება როგორც ქალებს, ასევე კაცებს;

- განისაზღვროს ინფორმაციის მიწოდების გზები ქალებისა და კაცებისათვის;
- ხაზი გაესვას პოლიტიკის მოსალოდნელ გენდერულ შედეგებს;
- კომუნიკაციაში გამოყენებული მაგალითები, ტერმინოლოგია და სიმბოლოები უნდა იყოს გენდერულად მგრძობიარე.

საფეხური 8: ანალიზის ხარისხის შეფასება – ანალიტიკური პროცესის მიმოხილვა.

გენდერული ასპექტები:

- გენდერული მენისტრიმინგი ანალიზში;
- გენდერული თვალსაზრისით მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა პოლიტიკის კონტექსტში;
- თითოეული ალტერნატივისთვის მოსალოდნელი გენდერული შედეგების ნათლად განსაზღვრა, იმის მითითებით, თუ როგორ უწყობს ხელს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა დამოუკიდებლობის გაძლიერებას რეკომენდებული ალტერნატივა.

4.3 გენდერული ზეგავლენის შეფასება

კიდევ ერთ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად მიზნობრივ ჯგუფში შემაჯავლი ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი სარგებელის მოტანას, წარმოადგენს გენდერული ზეგავლენის შეფასება¹³. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე როგორც კი დადგინდება, რომ ესა თუ ის პროგრამა/პროექტი გენდერული ხასიათის მატარებელია. ასეთი ანალიზი უფრო წარმატებულია, როცა მისი გათვალისწინება ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე, როცა იქმნება და იგეგმება პოლიტიკის/პროგრამების/პროექტების მომზადება. გენდერული ზეგავლენის შეფასება შეიძლება ასევე მოსდევდეს დოკუმენტის საწყისი ვარიანტის შემუშავების ეტაპს და განხორციელდეს პოლიტიკის/პროგრამის/პროექტის შემუშავების ნებისმიერ მომენტში. აუცილებლობისამებრ, გენდერული ზეგავლენის შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს არსებითი ცვლილებები.

გენდერული თანასწორობის შეფასება გულისხმობს სათანადო პოლიტიკის გატარების შედეგად შექმნილი მდგომარეობის, ტენდენციების და მოსალოდნელი შედეგების შედარებას და ანალიზს გენდერული კრიტერიუმების შესაბამისად.

გენდერული ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები:

1. განსხვავებები ქალსა და კაცს შორის სტრატეგიის/პოლიტიკის სფეროში, კერძოდ:

- **მონაწილეობა** (ერთობლიობის/სამიზნე ჯგუფის შემადგენლობა, სქესის, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალებისა და კაცების წარმომადგენლობის მიხედვით);
- **რესურსები** (ისეთი ძირითადი რესურსების განაწილება, როგორიცაა: დრო, სივრცე, ინფორმაცია, ფული, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება, განათლება და სწავლება, სამსახური და პროფესიული კარიერა, ახალი ტექნოლოგიები, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, საცხოვრისი, სატრანსპორტო საშუალებები, თავისუფალი დრო);

¹³ იხ. "A Guide to Gender Impact Assessment", European Commission, DG Employment, Industrial Relations and Social Affairs, Department V/D.5, October 1997. The work is available at: http://europa.eu.int/comm/employment_social/equ_opp/gender/gender_en.pdf

- **წესები და ფასეულობები**, რომელიც გავლენას ახდენს გენდერულ როლებზე, შრომის განაწილებაზე გენდერული კრიტერიუმის მიხედვით, ქალებისა და კაცების მიდგომებსა და ქცევაზე, უთანასწორობაზე იმის მიხედვით, თუ რამდენად დაფასებულია ქალი და კაცი, ან კაცისა და ქალის მახასიათებლები;
- **უფლებები**, რომლებიც მიეკუთვნება პირდაპირი ან ირიბი გენდერული დისკრიმინაციის პრევენციას ზოგადად ადამიანის უფლებებზე (მათ შორის სქესობრივი ძალადობისა და სქესობრივი დამცირებისაგან თავისუფლების უფლებას) მართმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას სამართლებრივ, პოლიტიკურ ან სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში.

2. როგორ შეიძლება პოლიტიკამ/სტრატეგიებმა შეუწყოს ხელი არსებული უთანასწორობების მოშლას და თანასწორობის გაძლიერებას კაცსა და ქალს შორის, მონაწილეობის დონის, რესურსების განაწილების, სარგებელის, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მოვალეობების, ფასეულობებისა და ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი ყურადღების დათმობის, კაცისა და ქალის მახასიათებლების, ქცევისა და პრიორიტეტების თვალსაზრისით?

იმისათვის, რომ შეფასდეს მოსალოდნელი შედეგები გენდერული თვალსაზრისით, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას არსებული განსხვავებები ქალებსა და კაცებს შორის, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული პოლიტიკისათვის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემოთავაზებული სტრატეგია აღმოფხვრის არსებულ უთანასწორობას და ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას.

პირველი ნაბიჯი მდგომარეობს შემდეგი სახის აუცილებელი მონაცემების შეგროვებაში:

- გენდერული ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები;
- მონაცემები ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში;
- გენდერულ სფეროში გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუტების მიერ შექმნილი წესები და რეკომენდაციები და ა.შ.

გენდერული ზეგავლენის შეფასების ერთ-ერთ მოდელს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ქალთა და თანასწორობის საკითხების სამმართველოს გამოცემა “Gender Impact Assessment”¹⁴, სადაც რეკომენდებულია ხუთ-საფეხურიანი მეთოდის გამოყენება, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი:

საფეხური 1: საკითხის დადგენა და შედეგების განსაზღვრა

- მიზნობრივი ჯგუფის გამოვლენა (ვისზეც არის ორიენტირებული პოლიტიკა და მომსახურება);
- პოლიტიკის შედეგების გააზრება მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში;
- მიზნებისა და ამოცანების დადგენა, საკითხების განხილვა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე;
- კაცებისა და ქალების ჩართულობა პოლიტიკის განხორციელებაში.

საფეხური 2: მონაცემების შეგროვება და ალტერნატივების შემუშავება

- გენდერული სფეროს სპეციალისტებთან კონსულტაციების ჩატარება;

¹⁴ გამოცემის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: [http://www.womenandequalityunit.gov.uk/equality/gender impact assessment.pdf](http://www.womenandequalityunit.gov.uk/equality/gender%20impact%20assessment.pdf)

- გენდერული მონაცემების მისაღებად კვლევებისა და გამოკითხვების ჩატარება;
- გენდერულად დიფერენცირებული არსებული მონაცემების შეგროვება;
- ქალთა ორგანიზაციებთან დაკავშირება გენდერულ საკითხებზე მონაცემებისა და ინფორმაციის მისაღებად;
- კვლევის შედეგებისა და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე პოლიტიკის განხორციელების ალტერნატივების შესახებ რეკომენდაციების მომზადება.

საფეხური 3: კომუნიკაცია

- კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება, რომელიც გააძლიერებს საგარეო ურთიერთობებს და უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკის იდეა და ძირითადი აზრი გასაგები გახდეს ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფებისათვის;
- ძირითადი გზავნილების ჩამოყალიბება, რომლებიც ეხება პოლიტიკის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს;
- გზავნილების ტესტირება მათი აღქმადობის შემოწმების მიზნით.

საფეხური 4: განხორციელება

- პოლიტიკის ბენეფიციართა თვალსაზრისის გამოყენება პოლიტიკის განხორციელების მიზნებისათვის;
- განსაზღვრა იმისა, თუ როგორ გავლენას მოახდენს პოლიტიკა და მომსახურება ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფებზე;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- ბენეფიციართა გამოხმაურების შეფასება.

საფეხური 5: მონიტორინგი და შეფასება

- ქალებისა და კაცებზე პოლიტიკის შესაძლო გავლენის შეფასება;
- იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მიღწევადია პოლიტიკის/პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნები;
- ყურადღების გამახვილება ქალთა და კაცთა მონაწილეობაზე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში;
- პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;
- წარმატებული პრაქტიკისა და მიღებული გამოცდილების შეფასება.

პრაქტიკული მაგალითი – კითხვები გენდერული ანალიზისათვის

იმისათვის, რომ მოგაწოდოთ კითხვების მაგალითები, რომელსაც გენდერული ანალიზი ეყრდნობა, დაჯერდებით გენდერული ინდიკატორების 10 კატეგორიას, რომელიც პირველ თავში ჩამოვთვალეთ და დავსვათ თითოეულ მათგანთან დაკავშირებულ კითხვებს.

გენდერული ინდიკატორები

ინდიკატორებთან დაკავშირებული კითხვები

მოსახლეობის შემადგენლობა და ცვლილებები

- 15 წელს ქვემოთ მოსახლეობის რაოდენობა სქესის მიხედვით, აბსოლუტურ და პროცენტულ გამოსახულებაში;
- როგორია სქესთა ბალანსი ეროვნულ დონეზე? შეიმჩნევა თუ არა ბოლო წლებში პროცესების შებრუნება? რამდენად განსხვავებულია მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით?
- მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით (ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება);
- შეიმჩნევა თუ არა პროცესების შებრუნება სქესთა თანაფარდობის მხრივ და რა არის ამის მიზეზი? არსებობს თუ არა საშუალება სიტუაციის შესაცვლელად და როგორ შეიძლება ამ პროცესებში ქალებისა და კაცების ჩართვა?
- შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების განაწილება სქესის მიხედვით, წლიური (რაოდენობა და მაჩვენებლები 1000 კაცზე);
- განსხვავდება თუ არა გარე და შიდა მიგრაცია სქესის მიხედვით? თუ პასუხი დადებითია, რა არის ასეთი განსხვავების მიზეზები?
- გარე მიგრაციის წმინდა მაჩვენებელი, სქესის მიხედვით;
- შიდა მიგრაციის წმინდა მაჩვენებელი სქესის მიხედვით.
- ახდენს თუ არა უარყოფით გავლენას ქალებზე მიგრაციის ტიპები, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე? თუ პასუხი დადებითია, როგორ შეიძლება არსებული სიტუაციის შეცვლა და როგორი შეიძლება იყოს ქალებისა და კაცების წვლილი ამ ცვლილებებში?

მოსახლეობის განსახლება და გეოგრაფიული განაწილება

- მოსახლეობის რაოდენობა, %, განაწილება და სიმჭიდროვე, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების, გეოგრაფიული არეებისა და ქალაქად/სოფლად განაწილების მიხედვით;
- არსებობს თუ არა ქალებისა და კაცების კონცენტრაციის ტიპი გარკვეულ რეგიონებში ან ქალაქად/სოფლად, მიგრაციისა და სხვა ფაქტორების შედეგად? თუ პასუხი დადებითია, ეს უარყოფით გავლენას ახდენს თუ არა ქალებზე?
- ქალთა მდგომარეობა სოფლად: ქალთა მოკვდაობის მაჩვენებელი სოფლად და ქალაქად; სიცოცხლის ხანგრძლივობა და კვების რაციონი;
- არის თუ არა ქალთა მიმართ დისკრიმინაცია სოფლად და თუ პასუხი დადებითია, რა სახის პოლიტიკა უნდა განხორციელდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?
- მარაგები და საცხოვრისის მახასიათებლები (გარე კვლებისთვის, იატაკისა და სახურავისთვის გამოყენებული საშენი მასალა; ოთახების რაოდენობა; სამზარეულო და აბაზანა; წყალმომარაგება და კანალიზაცია). განაწილება რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
- განსხვავდება თუ არა საცხოვრისის მახასიათებლები შინამეურნეობების უფროსის სქესის მიხედვით? არის თუ არა საცხოვრებელი პირობები უარესი, იქ სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია? თუ პასუხი დადებითია, რა მხრივ? როგორ შეიძლება კონკრეტული პოლიტიკის გატარებით სიტუაციის გამოსწორება?
- საცხოვრისის საკუთრების ფორმა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში;
- შინამეურნეობაში ენერჯის მოხმარება რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
- არსებობს თუ არა გენდერული განსხვავება

სის მიხედვით:

- შინამეურნეობის საქმეებზე დახარჯული დრო (წყლით, საწვავით, საკვებით უზრუნველყოფა), რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით.

ბები შინამეურნეობებს შორის ენერჯის მოხმარების თვალსაზრისით? თუ პასუხი დადებითია, როგორ გავლენას ახდენს ეს ქალებზე? როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოწვრილება შესაბამისი პოლიტიკის გატარებით?

- ხარჯავენ თუ არა ქალები მეტ დროს ვიდრე კაცები შინამეურნეობის საქმეებზე? თუ პასუხი დადებითია, როგორ გავლენას ახდენს ეს გენდერულ ურთიერთობებზე შინამეურნეობაში და როგორ შეიძლება აღნიშნული ურთიერთობების უფლებრივი გათანაბრება სათანადო პოლიტიკის გატარებით?

შინამეურნეობები და ოჯახები, ოჯახური მდგომარეობა, ფერტილობა

- შინამეურნეობათა რაოდენობა, % და განაწილება;
- შინამეურნეობების პროცენტული განაწილება, სიდიდის მიხედვით;
- შინამეურნეობათა პროცენტული განაწილება, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
- ღარიბ შინამეურნეობათა პროცენტული განაწილება, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
- შობადობის ჯამური მაჩვენებელი 1000 ქალზე, შერჩეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

რაზე მეტყველებს შინამეურნეობების რაოდენობის თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით? არის თუ არა უფრო მეტი ღარიბი შინამეურნეობა, რომლის უფროსი ქალია? თუ პასუხი დადებითია, რა არის ამის მიზეზი?

- აქვთ თუ არა იგივე უფლებები და მოვალეობები ერთ შინამეურნეობაში მცხოვრებ ქალებსა და კაცებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად?

- არის თუ არა განქორწინება დაშვებული ქალებისა და კაცებისთვის ერთი და იგივე მიზეზების საფუძველზე?

- როგორ ხდება ოჯახში გადაწყვეტილებების მიღება ბავშვების რაოდენობასა და აუცილებელი საცხოვრებელი ფართის განაწილების შესახებ.

ფორმალური და არაფორმალური განათლება

- წერა-კითხვის მცოდნე პირთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით;
- სკოლაში გატარებული წლების რაოდენობა, განათლების დონისა და სქესის მიხედვით;
- საშუალო სპეციალიზირებულ (პროფესიულ და ტექნიკურ) განათლებასა და შემდგომ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით;
- ქალებისა და კაცების რაოდენობა და პროცენტული განაწილება, მათ შორის ვინც მიიღო განათლება შემდეგ სფეროებში: სამართალი, მეცნიერება, მედიცინა, საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- დაწყებით და საშუალო განათლების დონეებზე გოგონებისა და ვაჟების მიღების ჯამური და წმინდა მაჩვენებელი;

რეალურად თანაბრად ხელმისაწვდომია თუ არა განათლება? თუ პასუხი უარყოფითია, რა ფაქტორები განაპირობებს განსხვავებებს ქალისა და კაცის განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ? თუ სახეზეა დისკრიმინაცია, როგორ შეიძლება სიტუაციის შეცვლა და როგორ შეუძლიათ ქალებსა და კაცებს მონაწილეობა მიიღონ მსგავს ცვლილებებში?

- როგორ იყენებენ თავიანთ განათლებას ქალები და კაცები? აძლევს თუ არა სოციალური გარემო ქალებს მათი განათლების სათანადო გამოყენების შესაძლებლობას?

- ირჩევენ თუ არა ქალები და კაცები სპეციალიზირებულ უნივერსიტეტებს გენდერული სტერეოტიპების მიხედვით?

- შეუძლია თუ არა მთავრობას ჩაერიოს მსგავსი სტერეოტიპების შეცვლის მიზნით?

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალებისა და კაცების მიღების ჯამური და წმინდა მაჩვენებელი;
- სკოლების მიტოვების მაჩვენებელი, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სქესის მიხედვით;
- პედაგოგთა პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში;
- ქალი და კაცი დირექტორებისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელთა პროცენტული განაწილება.
- ხდება თუ არა ქალებისა და კაცების სტერეოტიპების შექმნა სასკოლო პროგრამის ფარგლებში? როგორ შეიძლება პროგრამის შეცვლა გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად და გენდერული ურთიერთობების წარმოდგენა პოზიტიური თვალსაზრისით?
- არსებობს თუ არა სამართლებრივი ზომები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ქალებისა და კაცებისათვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა?

ჯანმრთელობა, სამედიცინო მომსახურება, კვების რაციონი

- სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებში ქალთა სამედიცინო ხარჯების პროცენტული წილი საწარმოო და არასაწარმოო სექტორების მიხედვით;
- პირველადი სამედიცინო ცენტრების რაოდენობა/ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით;
- სამედიცინო კონსულტაციებისა და ჰოსპიტალიზაციის დღეების რაოდენობა სქესის მიხედვით; საავადმყოფოში პაციენტთა ადგილების რაოდენობის პროცენტული შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან;
- ვირუსულ ინფექციებზე აცრილ გოგონათა და ვაჟთა თანაფარდობა;
- მშობიარობათა სრული რიცხვიდან სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით ჩატარებული მშობიარობათა წილი;
- მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლიობა სქესის მიხედვით;
- დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი (1000 ცოცხლად შობილზე);
- ახალშობილთა მოკვდაობის მაჩვენებელი და გოგონათა/ვაჟთა პროცენტული განაწილება;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის მნიშვნელოვანი გადამდები დაავადებების რიცხვი ან/და პრევალენტურობა, მათ შორის, აივ/შიდსი, სქესის მიხედვით;
- კალორიების მოხმარება - აუცილებელი მინიმუმის პროცენტი, სქესის მიხედვით;
- ქალების/კაცების კვებაზე დახარჯული შემოსავლის პროცენტული წილი;
- ჰიგიენისა და სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით.
- არსებობს თუ არა ქალებისა და გოგონების დისკრიმინაცია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით? თუ პასუხი დადებითია, რა არის აღნიშნულის მიზეზი და როგორ შეიძლება დისკრიმინაციის აღმოფხვრა?
- სამედიცინო პერსონალის რამდენ პროცენტს შეადგენენ ქალები და ჯანდაცვის სისტემის რომელ დონეზე არიან ისინი კონცენტრირებული?
- განსხვავებულია თუ არა მოკვდაობისა და ავადობის მაჩვენებლები ქალებსა და კაცებს შორის და რა არის ამის მიზეზი?
- როგორია ჩვილთა და ბავშვთა ავადობის ძირითადი გამოწვევი მიზეზები, გოგონებისა და ბიჭებისათვის?
- არსებობს თუ არა კულტურული ან სხვა სახის ბარიერები ქალებისა და გოგონების სამედიცინო და ოჯახის დაგეგმვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით? თუ პასუხი დადებითია, რა სახის ბარიერებია?
- ლეგალურია თუ არა აბორტის გაკეთება? თუ პასუხი დადებითია, ხელმისაწვდომია თუ არა ხარისხიანი მომსახურება?
- დაინერგა თუ არა აივ/შიდსთან ბრძოლის პროგრამა და არის თუ არა მსგავსი პროგრამა, რომელიც სპეციალურად ქალებზეა ორიენტირებული?
- აყენებს თუ არა რაიმე სახით ქალებსა და გოგონებს არასახარბილო მდგომარეობაში შინამეურნეობაში სურსათის განაწილება? თუ პასუხი დადებითია, რა არის ამის მიზეზები?
- ხარჯავენ თუ არა ქალები უფრო მეტ ფულს სურსათზე კაცებთან შედარებით?

თუ პასუხი დადებითია, როგორია ამის შედეგები?

- განსხვავებულია თუ არა ხელმისაწვდომობა ჰიგიენასა და სასმელ წყალზე სქესის მიხედვით? თუ პასუხი დადებითია, როგორია აღნიშნულის გავლენა ქალების ჯანმრთელობაზე?

ეკონომიკური საქმიანობა და სამუშაო ძალის ჩართულობა

- კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც დასაქმებულია სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და მომსახურების სფეროებში (15 წლისა და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფში);
- კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც დასაქმებულია ხელმძღვანელ და პროფესიულ პოზიციებზე;
- კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც აუნაზღაურებელი შრომითა დაკავებული ოჯახში ან დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში (15 წლისა და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფში);
- დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი, სქესის და ქალაქ/სოფლის ჭრილში;
- დრო, რომელიც გარკვეულ საქმიანობაზე იხარჯება (მათ შორის, აუნაზღაურებელ საოჯახო საქმეებსა და ბავშვების ან/და ხანდაზმულთა მოვლაზე);
- ქალებისა და კაცების სამუშაო დროის მოცულობა (სრული განაკვეთი/ნახევარი განაკვეთი);
- დეკრეტული შვებულების უფლება/კვირების რაოდენობა/ამ უფლებით მოსარგებლე ქალთა პროცენტული რაოდენობა;
- მშობლის შვებულების უფლება/კვირების რაოდენობა/ამ უფლებით მოსარგებლე ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი;
- სამთავრობო და არასამთავრობო წყაროებიდან დაფინანსებული, კრედიტებისა და ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროცენტული ოდენობა რომელიც მიმართულია ქალებზე და კაცებზე;
- ქალებისა და კაცების ხელფასში/შემოსავალში განსხვავება დასაქმების ადგილისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით;
- ბავშვთა დაცვის სამსახურები და აღნიშნული მომსახურებით მოსარგებლე 0-3 და 3-6 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი;
- არსებობს თუ არა პროფესიები, რომელშიც სამართლებრივად ან ტრადიციულად დომინირებენ ქალები/კაცები? არსებობს თუ არა გენდერული სტერეოტიპები დასაქმებაში? თუ პასუხი დადებითია, როგორია მათი შედეგები?
- რა სამართლებრივი ინსტრუმენტები არსებობს ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შრომით ბაზარზე? როგორ ხდება სამართლებრივი ზომების პრაქტიკული განხორციელება?
- ქალები უფრო უკეთეს სამუშაო ადგილებზე გადადიან თუ უფრო უარესზე? როგორია შედეგები ქალებისთვის?
- არსებობს თუ არა უარყოფითი გავლენა ქალთა დასაქმებაზე, რომელიც გამოწვეულია ბავშვთა მოვლის დაწესებულებათა ნაკლებობით;
- ერთსა და იმავე სამუშაოსთვის არის თუ არა ქალთა ანაზღაურება კაცთა ანაზღაურების ტოლფასი?
- არსებობს თუ არა კანონმდებლობა სამუშაო ბაზარზე გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად? როგორ ხდება აღნიშნული კანონმდებლობის პრაქტიკაში გატარება?
- ხდება თუ რა დიასახლისის შრომის ასახვა სტატისტიკურ მონაცემებში? აისახება თუ არა სტატისტიკურ მონაცემებში ქალების როლი ეკონომიკურ სექტორში? რა ზომები იქნა მიღებული იმისათვის, რომ აღწერამ და კვლევებმა სათანადოდ ასახონ ქალის ეკონომიკური როლი შინამეურნეობის ფარგლებში და მის გარეთ?

საკუთრებაზე, ტექნიკასა და კრედიტებზე ხელმისაწვდომობა

- საკუთრების (მიწის, საცხოვრისის, პირუტყვის) პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით;
 - ქალების პროცენტული განაწილება კაცებთან შედარებით, ვისაც ხელი მიუწვდება კრედიტზე;
 - შინამეურნეობების პროცენტული განაწილება სოფლად, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
 - პროცენტული განაწილება შიმეურნეობებისა, რომელთაც არ გააჩნიათ მიწაზე საკუთრება, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით;
 - სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო შემოსავალი, სქესის მიხედვით;
 - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება, ვისაც მიღებული აქვთ საკუთრების უფლება, საკუთრების რეფორმის პროგრამის ფარგლებში.
- მიწის მესაკუთრე ძირითადად ქალია თუ კაცი? როგორია გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე, მიწის გაყიდვისა და დამუშავების მეთოდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე?
 - როგორია მემკვიდრეობითობის პრაქტიკა მიწასთან მიმართებაში? შეუძლიათ თუ არა ქალებს კანონიერად მიიღონ მიწა მემკვიდრეობით და ხდება თუ არა ეს რეალობაში?
 - თუ ქალი მიწის მესაკუთრეა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ნათესის შერჩევისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შესახებ?
 - ისარგებლეს თუ არა თანაბრად საკუთრების რეფორმისაგან კაცებმა და ქალებმა?
 - აქვთ თუ არა ქალებს და კაცებს თანაბარი ხელმისაწვდომობა კრედიტებზე? მსგავსი ხელმისაწვდომობა გულისხმობს თუ არა კონტროლის ქონას კრედიტზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით?
 - არსებობს თუ არა განსხვავება სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ქალისა და კაცის შემოსავლებს შორის?

სამართლებრივი უფლებები და პოლიტიკური ძალაუფლება

- ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება ქვეყნის პარლამენტსა და ადგილობრივ მმართველობაში/გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში;
 - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მთავრობაში;
 - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში;
 - ქალების პროცენტული განაწილება სახელმწიფო ადმინისტრაციაში, უმაღლეს დონეზე;
 - სახელმწიფო სექტორში, ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი;
 - რეგისტრირებული ამომრჩეველი ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ამომრჩეველი ქალების/კაცების %;
 - პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებში შუალედური და უმაღლესი რგოლის გადაწყვეტილების მიმღებ თანამ-
- რა დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობს ქალებისათვის, რომ დაიკავონ მთავრობასა თუ სახელმწიფო ადმინისტრაციაში გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობები?
 - რა დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობს ქალებისათვის, რომ დაიკავონ გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობები სასამართლო სექტორში, პოლიციასა თუ არმიაში?
 - უწყობს თუ არა ხელს სასამართლო და ტრიბუნალი ქალთა უფლებების დაცვას?
 - არსებობს თუ არა დომინანტური სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფი, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებთან მიმართებაში?
 - გენდერული დისკრიმინაციის რამდენი შემთხვევა მისულა სასამართლომდე ან სხვა სამთავრობო ინსტიტუტამდე უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში? და როგორი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული?
 - რა ღონისძიებებს მიმართავენ ქალები არსებული პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად?

დებობებზე დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი;

- ქალთა პროცენტული განაწილება მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების საერთო რიცხვობაში;
- ქალთა პროცენტული განაწილება პოლიციასა და სამხედრო სამსახურში, წოდების მიხედვით.

ქალთა მიმართ ძალადობა

- ქალთა მიმართ ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - არსებობს თუ არა ქვეყანაში კანონი, რომელიც იცავს ქალებს ძალადობისგან, ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის რეკომენდაციების შესაბამისად?
- თავდასხმისა და გაუპატიურების რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - რამდენად ეფექტიანია კანონმდებლობა ქალთა მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის აღკვეთის თვალსაზრისით?
- სქესობრივი ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - შეიძლება თუ არა ქალის აქტიურობამ შეცვალა საშუალებებში, რეკლამასა თუ სასკოლო პროგრამებში გამოიწვიოს სასტიკი მოპყრობა ქალთა მიმართ?
- ქალთა მიმართ ძალადობრივ ქმედებაში ბრალდებულთა გასამართლების მაჩვენებლები; - როგორია ქალთა ორგანიზებულობა ძალადობასთან საბრძოლველად? როგორია ასეთი ორგანიზებულობის შედეგი?
- ძალადობის მსხვერპლ ქალთა გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების რაოდენობა (სამართლებრივი დაცვა, ფინანსური დახმარება, ფსიქოლოგიური დახმარება, თავშესაფარი, პოლიციის ჩარევა, არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედება); - ზორციელდება თუ არა გაეროს კონვენციები, რომელიც კრძალავს ადამიანთა ტრეფიკინგსა და კომერციული მიზნებით სექსუალურ ექსპლუატაციას, ეროვნულ დონეზე? რა ზომები მიიღება ეროვნულ დონეზე ქალებისა და გოგონების/ბავშვების სქესობრივი ექსპლუატაციის აღსაკვეთად?
- ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზრდა/კლება შეიარაღებული კონფლიქტის დროს. - შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაცულია თუ არა ლტოლვილი ქალები?

მაკროეკონომიკული პოლიტიკა და გენდერი

- კერძო დანახარჯები შინამეურნეობაში, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - შინამეურნეობის დანახარჯების რა პროცენტი გამოიყენება სურსათზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე? ვინ აკონტროლებს შინამეურნეობის ბიუჯეტს და დანახარჯებზე გადაწყვეტილების მიღების რა ძალაუფლება გააჩნია ქალს?
- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯები და პროცენტული ოდენობა მშპ-სთან მიმართებაში; - სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების რა ნაწილი მიდის ქალებისათვის პრიორიტეტულ სფეროებზე, როგორცაა განათლება და ჯანდაცვა? როგორია ქალების როლი სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვაში ეროვნულ დონეზე?
- რისკის ქვეშ მყოფი და სხვადასხვა სოციალური დახმარების პროგრამების ბენეფიციართა პროცენტული განაწილება სქესისა და შინამეურნეობის სიდიდის მიხედვით; - განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები არის თუ არა პრივატიზებული და თუ
- სოციალური დაზღვევის/დახმარებისა და

მსგავსი შედეგების პოტენციურ მიმღებთა პროცენტული განაწილება სქესისა და შინამეურნეობის სიდიდის მიხედვით.

არის, როგორია გენდერული შედეგები?

- არიან თუ არა ქალები ადეკვატურად დაცული სოციალური დაზღვევის სისტემით ან სხვა პროგრამებში? არის თუ არა აღნიშნულ პროგრამებში საკმარისად ინტეგრირებული გენდერული საკითხი?
- ეთმობა თუ არა საკმარისი ყურადღება რისკის ჯგუფებს (ღარიბი მარტონებელი დედები და შინამეურნეობები, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია) ეროვნულ დონეზე ბიუჯეტის დაგეგმვისას?

დანართი ა.

ა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით (1995) განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით მიღებული კლასიფიკაციის სისტემა

გენდერულად მგრძობიარე	ინდიკატორთან დაკავშირებული კითხვები
მოსახლეობის შემადგენლობა და ცვლილებები	<ul style="list-style-type: none"> - 15 წელს ქვემოთ მოსახლეობის რაოდენობა სქესის მიხედვით, აბსოლუტურ და პროცენტულ გამოსახულებაში; - მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით (ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება); - შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების განაწილება სქესის მიხედვით, წლიური (რაოდენობა და მაჩვენებლები 1000 კაცზე); - გარე მიგრაციის წმინდა მაჩვენებელი სქესის მიხედვით; - შიდა მიგრაციის წმინდა მაჩვენებელი სქესის მიხედვით.
მოსახლეობის განსახლება და გეოგრაფიული განაწილება	<ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობის რაოდენობა, %, განაწილება და სიმჭიდროვე, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების, გეოგრაფიული არეებისა და ქალაქად/სოფლად განაწილების მიხედვით; - ქალთა მდგომარეობა სოფლად: ქალთა მოკვდაობის მაჩვენებელი სოფლად და ქალაქად; სიცოცხლის ხანგრძლივობა და კვების რაციონი; - მარაგები და საცხოვრისის მახასიათებლები (გარე კედლებისთვის, იატაკისა და სახურავისთვის გამოყენებული საშენი მასალა; ოთახების რაოდენობა; სამზარეულო და აბაზანა; წყალმომარაგება და კანალიზაცია). განაწილება რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსი სქესის მიხედვით. - საცხოვრისის საკუთრების ფორმა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში; - შინამეურნეობაში ენერჯის მოხმარება რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - შინამეურნეობის საქმეებზე დახარჯული დრო (წყლით, საწვავით, საკვებით უზრუნველყოფა), რეგიონისა და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით.
შინამეურნეობები და ოჯახები, ოჯახური მდგომარეობა, ფერტილობა	<ul style="list-style-type: none"> - შინამეურნეობათა რაოდენობა, % და განაწილება; - შინამეურნეობათა პროცენტული განაწილება შინამეურნეობის ზომის მიხედვით; - შინამეურნეობათა პროცენტული განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - ღარიბ შინამეურნეობათა პროცენტული განაწილება, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - შობადობის ჯამური მაჩვენებელი 1000 ქალზე, შერჩეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით¹⁵.

¹⁵. შობადობის ჯამური მაჩვენებელი გამოითვლება ერთ წელიწადში ფერტილური ასაკის ქალთა საშუალო რაოდენობის გაყოფით ცოცხლადშობილ ჩვილთა რაოდენობაზე დროის იმავე პერიოდში

<p>ფორმალური და არაფორმალური განათლება</p>	<ul style="list-style-type: none"> - წერა-კითხვის მცოდნე პირთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; - სკოლაში გატარებული წლების რაოდენობა, განათლების დონისა და სქესის მიხედვით; - საშუალო სპეციალიზირებულ (პროფესიულ და ტექნიკურ) განათლებასა და შემდგომ კვალიფიკაციის ამბლების კურსებზე ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით; - ქალებისა და კაცების რაოდენობა და პროცენტული განაწილება, მათ შორის ვინც მიიღო განათლება შემდეგ სფეროებში: სამართალი, მეცნიერება, მედიცინა, საინფორმაციო ტექნოლოგიები; - დაწყებით და საშუალო განათლების დონეებზე გოგონებისა და ვაჟების მიღების ჯამური და წმინდა მაჩვენებელი; - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალებისა და კაცების მიღების ჯამური და წმინდა მაჩვენებელი; - სკოლების მიტოვების მაჩვენებელი, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სქესის მიხედვით; - პედაგოგთა პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში; - ქალი და კაცი დირექტორებისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელთა პროცენტული განაწილება.
<p>ჯანმრთელობა, სამედიცინო მომსახურება, კვების რაციონი</p>	<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებში ქალთა სამედიცინო ხარჯების პროცენტული წილი საწარმოო და არასაწარმოო სექტორების მიხედვით; - პირველადი სამედიცინო ცენტრების რაოდენობა/ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით; - სამედიცინო კონსულტაციებისა და ჰოსპიტალიზაციის დღეების რაოდენობა სქესის მიხედვით; საავადმყოფოში პაციენტთა ადგილების რაოდენობის პროცენტული შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან; - ვირუსულ ინფექციებზე აცრილ გოგონათა და ვაჟთა თანაფარდობა; - მშობიარობათა სრული რიცხვიდან სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით ჩატარებული მშობიარობათა წილი; - მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლიობა სქესის მიხედვით; - დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი (1000 ცოცხლად შობილზე); - ახალშობილთა მოკვდაობის მაჩვენებელი და გოგონათა/ვაჟთა პროცენტული განაწილება; - საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის მნიშვნელოვანი გადაძვლებების რიცხვი ან/და პრევალენტურობა, მათ შორის, აივ/შიდსი, სქესის მიხედვით; - კალორიების მოხმარება - აუცილებელი მინიმუმის პროცენტი, სქესის მიხედვით; - ქალების/კაცების კვებაზე დახარჯული შემოსავლის პროცენტული წილი; - ჰიგიენასა და სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით.

<p>ეკონომიკური საქმიანობა და სამუშაო ძალის ჩართულობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც დასაქმებულია სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და მომსახურების სფეროებში (15 წლისა და უფრო ასაკის ასაკობრივ ჯგუფებში); - კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც დასაქმებულია ხელმძღვანელ და პროფესიულ პოზიციებზე; - კაცის და ქალის პროცენტული განაწილება, ვინც აუნაზღაურებელი შრომითაა დაკავებული ოჯახში ან დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში (15 წლისა და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფებში); - დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი, სქესის და ქალაქ/სოფლის ჭრილში; - დრო, რომელიც გარკვეულ საქმიანობაზე იხარჯება (მათ შორის, აუნაზღაურებელ საოჯახო საქმეებსა და ბავშვების ან/და ხანდაზმულთა მოვლაზე); - ქალებისა და კაცების სამუშაო დროის მოცულობა (სრული განაკვეთი/ ნახევარი განაკვეთი); - დეკრეტული შვებულების უფლება/კვირების რაოდენობა/ამ უფლებით მოსარგებლე ქალთა პროცენტული რაოდენობა; - მშობლის შვებულების უფლება/კვირების რაოდენობა/ამ უფლებით მოსარგებლე ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი; - სამთავრობო და არასამთავრობო წყაროებიდან დაფინანსებული, კრედიტებისა და ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროცენტული ოდენობა რომელიც მიმართულია ქალებზე და კაცებზე; - ქალებისა და კაცების ხელფასში/შემოსავალში განსხვავება დასაქმების ადგილისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით; - ბავშვთა დაცვის სამსახურები და აღნიშნული მომსახურებით მოსარგებლე 0-3 და 3-6 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი.
<p>საკუთრებაზე, ტექნიკასა და კრედიტებზე ხელმისაწვდომობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - საკუთრების (მიწის, საცხოვრისის, პირუტყვის) პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით; - ქალების პროცენტული განაწილება კაცებთან შედარებით, ვისაც ხელი მიუწვდება კრედიტზე; - შინამეურნეობების პროცენტული განაწილება სოფლად, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - პროცენტული განაწილება შინამეურნეობებისა, რომელთაც არ გააჩნიათ მიწაზე საკუთრება, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო შემოსავალი, სქესის მიხედვით; - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება, ვისაც მიღებული აქვთ საკუთრების უფლება, საკუთრების რეფორმის პროგრამის ფარგლებში.
<p>სამართლებრივი უფლებები და პოლიტიკური ძალაუფლება</p>	<ul style="list-style-type: none"> - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება ქვეყნის პარლამენტსა და ადგილობრივ მმართველობაში/გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში; - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მთავრობაში; - ქალებისა და კაცების პროცენტული განაწილება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში; - ქალების პროცენტული განაწილება სახელმწიფო ადმინისტრაციაში, უმაღლეს დონეზე;

	<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფო სექტორში, ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი; - რეგისტრირებული ამომრეველი ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ამომრეველი ქალების/კაცების %; - პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებში შუალედური და უმაღლესი რგოლის გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი; - ქალთა პროცენტული განაწილება მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების საერთო რიცხოვნობაში; - ქალთა პროცენტული განაწილება პოლიციასა და სამხედრო სამსახურში, წოდების მიხედვით.
<p>ქალთა მიმართ ძალადობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ქალთა მიმართ ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - თავდასხმისა და გაუპატიურების რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - სქესობრივი ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა; - ქალთა მიმართ ძალადობრივ ქმედებაში ბრალდებულთა გასამართლების მაჩვენებლები; - ძალადობის მსხვერპლ ქალთა გადაუღებელი დახმარების ღონისძიებების რაოდენობა (სამართლებრივი დაცვა, ფინანსური დახმარება, ფსიქოლოგიური დახმარება, თავშესაფარი, პოლიციის ჩარევა, არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედება); - ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზრდა/კლება შეიარაღებული კონფლიქტის დროს.
<p>მაკროეკონომიკური პოლიტიკა და გენდერი</p>	<ul style="list-style-type: none"> - კერძო დანახარჯები შინამეურნეობაში, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით; - სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯები და პროცენტული ოდენობა მშპ-სთან მიმართებაში; - სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები სექტორების მიხედვით; - რისკის ქვეშ მყოფი და სხვადასხვა სოციალური დახმარების პროგრამების ბენეფიციართა პროცენტული განაწილება სქესისა და შინამეურნეობის სიდიდის მიხედვით; - სოციალური დაზღვევის/დახმარებისა და მსგავსი შეღავათების პოტენციურ მიმღებთა პროცენტული განაწილება სქესისა და შინამეურნეობის სიდიდის მიხედვით.

დანართი ბ

ბ. საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ინსტრუმენტები, რომელიც გენდერული სტატისტიკის განვითარებას უწყობს ხელს

ზედმიწვევითი სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რომლებიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალობას ქალებისა და კაცებისათვის, წარმოადგენს ძირითად აუცილებლობას იმისათვის, რომ მოხდეს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მონიტორინგი აღნიშნულ სფეროში.

აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში **ჰეინის სამოქმედო პლატფორმა**, რომელიც მიღებული იყო 1995 წელს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, ხაზს უსვამს გენდერული ანალიზის საჭიროებას, პოლიტიკის განვითარებაში გენდერული მიმართულების ინტეგრირებასა და შესაბამისი პროგრამების განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტი ასევე მოუწოდებს მთავრობებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებს კონკრეტულ სფეროებში კვლევისა და ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობისაკენ და მიუთითებს სტატისტიკის მნიშვნელობაზე ძირითად სფეროებში მიზნებისა და სტრატეგიების განხორციელების მონიტორინგის თვალსაზრისით.

სამოქმედო პლატფორმა მოიცავს კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებს გენდერულ სტატისტიკასთან მიმართებაში, მიზანი H3 „დაგეგმვისა და შეფასების მიზნით სქესის ნიშნით დიფერენცირებული მონაცემებისა და ინფორმაციის წარმოება და გავრცელება“, კრიტიკულ სფეროში „ქალთა მხარდამჭერი ინსტიტუციონალური მექანიზმები“¹⁶. პლატფორმაში წარმოდგენილი ძირითადი მიზანი, იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური მონაცემები უნდა იქნეს შეგროვებული, დამუშავებული, გაანალიზებული და წარმოდგენილი სქესისა და ასაკის მიხედვით და უნდა ასახავდეს საზოგადოებაში ქალთა სტატუსთან დაკავშირებულ პრობლემებს, საკითხებსა თუ გაურკვეველ ასპექტებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა ქალისა და კაცის ანაზღაურებადი და არა-ანაზღაურებადი სამუშაოს გაზომვის პრობლემას. სამოქმედო პლატფორმა ასევე რეკომენდაციას უწევს გენდერული ანალიზისათვის საინტერესო ისეთ სფეროებს, როგორცაა სიღარიბე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სტატისტიკა, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, ძალადობა და გადაწყვეტილების მიღება. პლატფორმა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ხელი შეუწყოს და შეიმუშაოს ადამიანის უფლებებთან და ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია და ასევე მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან მიმართებაში არსებული მონაცემების გაუმჯობესებაში.

2000 წლის ათასწლეულის დეკლარაციაში გაერთიანებული ერების წევრმა ქვეყნებმა განაცხადეს მათი ერთგულების თაობაზე ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებთან მიმართებაში, როგორცაა თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა და დაისახეს ამოცანად გლობალურ დონეზე მშვიდობის წინ წამოწევა და სიღარიბის შემცირება. დეკლარაციაზე დაყრდნობით, **2001 წლის ათასწლეულის განვითარების მიზნების ფარგლებში** ჩამოყალიბდა რაოდენობრივად შეფასებადი მიზნები დეკლარაციის მიხედვით განხორციელებული პროგრესის შეფასების მიზნით. ათასწლეულის განვითარების მიზნების შერჩევა განპირობებული იყო საერთაშორისო დონეზე ამოცანებისა და ინდიკატორების აუცილებლობით, რომლისათვის არსებობს სანდო სტატისტიკური მონაცემები. ათასწლეულის განვითარების მიზნები ასახავს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც აფასებს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას შემოსავლის და სხვა ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც უკავშირდება ჯანდაცვას, განათლებას, გენდერულ თანასწორობას, გარემოს დაცვას და მდგრად განვითარებას.

ათასწლეულის განვითარების მიზნების შემფასებელი სანდო ინდიკატორების დასადგენად აუცილებელია სანდო და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების გამოყენება. ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში უნდა ასახავდეს შეთანხმებულ ეროვნულ მიზნებს და ხაზს

¹⁶ პარაკრაფი. 209-212

უსვამდეს უთანასწორობებს გენდერული, ეთნიკური ან რასობრივი კუთვნილების, გეოგრაფიული მდებარეობის, ასაკისა და უთანასწორობის სხვა პარამეტრების მიხედვით.

ევროკავშირში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა გენდერული სტატისტიკის განვითარებისა და გავრცელების შესახებ. 2001-2005¹⁷ წლების გენდერული თანასწორობის ჩარჩო სტრატეგიიდან გამომდინარე ევროკომისია დიდ ყურადღებას უთმობს გენდერული სტატისტიკის განვითარების აუცილებლობას. დაინტერესების ძირითადი საკითხები ეხება სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების შექმნას და გავრცელებას, რომლებიც შედარებადია სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროებთან და გენდერთან მიმართებაში არსებული ევროპული პოლიტიკისა და გამოცდილების შეფასების მეთოდოლოგიებსა და ინდიკატორებთან.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საზოგადოება სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენს გენდერული საკითხების მიმართ. ინსტიტუციონალური მექანიზმების გაძლიერება (სამთავრობო საშუალო ჯგუფის შექმნა გენდერულ საკითხებზე, აგრეთვე ამ საკითხთან მიმართებაში შექმნავებული და მიღებული ნორმატიული აქტები), საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების ჩართულობით და დაფინანსებით დამტკიცებული საქართველოს კანონი “გენდერული თანასწორობის შესახებ” 2010 წლის მარტში.

კანონით განსაზღვრულია, რომ გენდერი არის ქალისა და კაცის დამოკიდებულების სოციალური ასპექტი, რომელიც მკაფიოდ ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს და მიმართავს სოციალური ურთიერთობების კონცეფციას ქალსა და კაცთან მიმართებაში. 2006 წელს შექმნავებული გენდერული თანასწორობის კონცეფციის ბაზაზე კანონი ხაზს უსვამს ინდივიდების უფლებებისა და პასუხისმგებლობის გენდერულ თანასწორობას, ქორწინებისას, დასაქმების, ჯანდაცვისა და განათლების მისაწვდომობას, ინფორმირებულობას, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და სხვ.

კანონით განსაზღვრულია აგრეთვე ის საკითხები, რომელიც წინაა წამოწეული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გენდერული საკითხების მკვლევარების მიერ. აღნიშნული საკითხები დასაწყისშივე განმარტებულია ნაშრომებში¹⁸, რომელიც მოიცავს ვერტიკალურ (ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა პოლიტიკურ და სამთავრობო პოზიციებზე) და ჰორიზონტალურ სეგრეგაციას (ეკონომიკის უფრო მომგებიან მიმართულებებში) გამოხატულს ქალისა და კაცის ხელფასებს შორის დიდი განსხვავებით.

საქართველოს კანონის “გენდერული თანასწორობის შესახებ” შესაბამისად შექმნავდა გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო პროგრამა 2011-2013 წლებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონის იურიდიულ და პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებთან ერთად, კანონის “მუხლი 5” მოიცავს გენდერული სტატისტიკის მონაცემების დამუშავებას. აღნიშნული სტატისტიკა უზრუნველყოფს გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების საფუძველზე ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შეფასებას.

¹⁷ COM (2000) 335 final, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2000:0335:FIN:EN:PDF>

¹⁸ See for example, *Gender and Society: Georgia* (2008), *Gender Assessment USAID/Georgia* (2010)

დანართი გ.

გ. გენდერული ტერმინების განმარტება

გენდერული ანალიზი (gender analysis) – სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები და ქალთა და კაცთა რაოდენობა იძლევა გამოვლენილი განსხვავებების გამომწვევი მიზეზების დადგენის საშუალებას. მეთოდი იკვლევს გენდერული ურთიერთობების ისტორიას, მექანიზმებს, დინამიკასა და გავლენას. იგი სწავლობს გენდერული უთანასწორობის გამომწვევ სტრუქტურულ მიზეზებს შინამეურნეობისა და ეროვნული კონტექსტის ფარგლებში, ამყარებს კავშირებს ამ დონეებს შორის და ავლენს გენდერულ დისკრიმინაციას უფლებებზე, ძალაუფლებასა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე.

გენდერული უთანასწორობა (Gender gap) – გენდერული უთანასწორობისადმი არსებობს სამგანზომილებიანი მიდგომა:

1. პოლიტიკურ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობა;
2. ანაზღაურებად შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობა;
3. უფრო ზოგადი თვალსაზრისით, საერთო ადამიანური კეთილდღეობა.

“გენდერული უთანასწორობის” შემცირებისთვის საჭიროა ცვლილებათა წყების განხორციელება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- შრომის კლასიკური დანაწილების ხელახალი ფორმულირება;
- ანაზღაურებად შრომით ბაზარზე ქალისა და კაცისათვის ანაზღაურებისა და შესაძლებლობების განაწილების სპეციფიკური გზების გადახედვა.

გენდერული თანასწორობა/თანაბარი შესაძლებლობები (Gender equality/equal opportunities) – ამ ცნების მიხედვით, ყველა ადამიანი თავისუფალია განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები და გააკეთოს არჩევანი შეზღუდვის გარეშე, რომელსაც უწევს მკაცრი გენდერული როლები. თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული, დაფასებული და გამართლებული ქალისა და კაცის განსხვავებული ქცევა, მისწრაფებები და მოთხოვნილებები. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალი და კაცი სარგებლობს ერთნაირი თავისუფლებით საკუთარი მისწრაფებების განხორციელებისათვის.

გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები (Gender-sensitive indicators) – ინდიკატორები, რომელიც აფასებს საზოგადოებაში მიმდინარე გენდერულ ცვლილებებს დროთა განმავლობაში.

გენდერულად არა-მგრძობიარე (Gender-blindness) – გენდერული ასპექტის იგნორირება ან ამ მხრივ შესაძლებლობების ნაკლებობა (“გენდერულად მგრძობიარე”-ს ანტონიმი ან “გენდერულად ნეიტრალური”-ს სინონიმი).

გენდერული მეინსტრიმინგი (Gender mainstreaming) – ნიშნავს გენდერული ასპექტების ინტეგრირებას ყველა პოლიტიკის, პროგრამის შემუშავების, პრაქტიკისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გულისხმობს, შემუშავების ან განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ანალიზის განხორციელებას იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მათი გავლენა ქალებსა და კაცებზე და შესაბამისი რეაგირება.

გენდერულად ნეიტრალური (Gender neutral) – ენა, რომელიც გამონათქვამებითა და კონოტაციით უზრუნველყოფს ქალისა და კაცის თანაბარ, არა-დისკრიმინაციულ ლინგვისტურ მოპყრობას.

გენდერული პერსპექტივა (Gender perspective) – განსხვავებების გათვალისწინება და მათზე ყურადღების მიქცევა ნებისმიერ პროგრამულ მიმართულებაში/საქმიანობაში.

გენდერული პოლიტიკა (Gender policy) – ცნება “გენდერული პოლიტიკა” ეხება ადამიანთა საქმიანობას, ქცევას, მიდგომას და პრაქტიკას. არსებობს გენდერული პოლიტიკის 4 ტიპი:

- გენდერულად არა მგრძობიარე, სადაც იგნორირებულია კაცისა და ქალის სოციალურად განპირობებული განსხვავებული როლები, მოვალეობები და შესაძლებლობები. იგი ემყარება ინფორმაციას, რომელიც მიღებულია კაცის საქმიანობიდან, ან უშვებს, რომ პოლიტიკის გავლენა ყველასათვის ერთნაირია მიუხედავად მათი მოთხოვნილებებისა და ინტერესებისა.
- გენდერულად ნეიტრალური – რომელიც კონკრეტულად არც კაცზეა ორიენტირებული და არც ქალზე და დაფუძნებულია იმაზე, რომ იგი თანაბარ გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე. რეალურად, ეს ტიპი შეიძლება გენდერულად არა მგრძობიარეც იყოს.
- გენდერულად მგრძობიარე – რომელიც აღიარებს გენდერულ განსხვავებებს და მიმართულია ან ქალებზე ან კაცებზე, არსებული როლებისა და მოვალეობების ფარგლებში.
- გენდერულად გადამანაწილებელი – პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ძალაუფლებისა და რესურსების არსებული განაწილების შეცვლაზე გენდერული თანასწორობის ინტერესებიდან გამომდინარე.

გენდერული ურთიერთობები (Gender relations) – გენდერულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამომდინარეობს გენდერული შეფასებიდან, კერძოდ მოცემულ კონტექსტში მდედრისა და მამრის შეფასებასთან და იმასთან, თუ როგორია ინსტიტუციური სტრუქტურების მიერ ამ ორი გენდერული როლის დაფასება. გენდერული ურთიერთობები წარმოადგენს გენდერული ძალაუფლების ურთიერთობას. თუ საზოგადოება აფასებს კაცურ ქცევას და მიდგომას კონკრეტულ სფეროში, გენდერული ურთიერთობები ამ სფეროში დაუბალანსებელია კაცების სასარგებლოდ.

გენდერული რელევანტურობა (Gender relevance) – რამდენად რელევანტურია კონკრეტული პოლიტიკა ან საქმიანობა გენდერული ურთიერთობების/თანასწორობის მიმართ ქალსა და კაცს შორის.

გენდერული როლები (Gender roles) – საზოგადოებაში გაბატონებული მიდგომა და ქცევა დაკავშირებულია თითოეულ სქესთან. ზოგიერთ საზოგადოებაში ეს აგრეთვე გულისხმობს კაცისა და ქალის ნორმატიული უფლებებისა და ვალდებულებების დაკისრებას. გენდერული როლები წარმოადგენს ფსიქოლოგიური ქცევის, მიდგომების, ნორმებისა და ფასეულობების ნაზავს, რომელსაც საზოგადოება მიაკუთვნებს ქალს ან კაცს.

გენდერული მგრძობიარობა (Gender sensitivity) – გენდერული პერსპექტივის მუდმივად გათვალისწინება.

გენდერული სტატისტიკა (Gender statistics) – სტატისტიკის სფერო, რომელიც სტატისტიკის ტრადიციული სფეროების ჰორიზონტალურად გამოყენებით, მიზნად ისახავს ქალისა და კაცის ცხოვრების ამსახველი და გენდერულ პოლიტიკაზე გავლენის მქონე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და გავრცელებას.

გენდერული სტერეოტიპები (Gender stereotypes) – შეხედულებებისა და მიდგომების ორგანიზებული სისტემა ქალებისა და კაცების მახასიათებლებისა და მდედრის და მამრის წინასწარ დადგენილი მახასიათებლების შესახებ. სტერეოტიპები გვეუბნება არა მარტო იმას, თუ როგორია ქალი და კაცი, ასევე იმასაც, თუ როგორი უნდა იყვნენ ისინი. სტერეოტიპები წარმოადგენს გენდერული შეხედულებების უფრო ფართო სისტემის ნაწილს, რომელიც გავლენას ახდენს შეხედულებებზე ორი გენდერული კატეგორიის შესახებ. შეხედულებების ეს სისტემა განსაკუთრებით გამოიხატება სოციალური მოლოდინებით, რომელშიც ასევე შედის შეხედულებები თითოეული სქესისათვის შესაფერისი როლის თაობაზე, მათზე, ვინც არღვევს ამ ნორმებს

და ადამიანზე, ვისაც გააჩნია თვითწარმოდგენა მისი კონკრეტული გენდერული კუთვნილების შესახებ.

გენდერული კვლევები (Gender studies) – კვლევები, რომელიც ასახავს უპირატესად ქალებზე და გენდერულ ურთიერთობებზე მოქმედ საკითხებს; აკადემიური მიმდინარეობა, როგორც წესი დისციპლინათაშორისი, რომელიც ანალიზებს ქალთა მდგომარეობასა და გენდერულ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა გამოსაკვლევ სფეროების გენდერულ ასპექტებს.

თანასწორობის განმატკიცებელი ზომები (Affirmative action) – ნებისმიერი სახის ინსტიტუციონალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის მიერ (მაგ. კაცები) ტრადიციულად დომინირებადი სფეროების ხელმისაწვდომობას სხვა სოციალური ჯგუფებისათვის (მაგ. ქალებისათვის).

ირიბი გენდერული დისკრიმინაცია (Indirect gender discrimination) – დისკრიმინაცია ირიბია, როცა ერთი შეხედვით ნეიტრალური სამართლებრივი ნორმა, კრიტერიუმი ან პრაქტიკა არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს ადამიანებს მათი გენდერული კუთვნილების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განსხვავებული მოპყრობა მართებულია ობიექტურად გამართლებული მიზნებით.

მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება (Gender impact assessment) – ქალებსა და კაცებზე განსხვავებული ზეგავლენის მქონე შემოთავაზებული პოლიტიკის/სტრატეგიების შეფასება მათი იმპაკარი ადაპტირების მიზნით, რომ მოხდეს დისკრიმინაციული შედეგების ნეიტრალიზება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.

პოზიტიური ინიციატივები (Positive action) – ეს არის ზოგადი ხასიათის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნებაყოფლობით ან კანონით სავალდებულო ინიციატივებს, რომელიც მიზნად ისახავს უფრო ფართო ჯგუფის ფარგლებში, ჩვეულებრივ, რასობრივი ან გენდერული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფის წევრთა გარკვეული კატეგორიის დაცვას, გაზრდას ან გარდაქმნას. პოზიტიური ინიციატივები ნებადართულია რასისა და გენდერის შესახებ კანონებით, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ შესაძლებლობათა სრული თანასწორობის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრას. მისი სამიზნე ჯგუფი სპეციფიკურია და მისი მიზანია დისკრიმინაციის აღკვეთა, აღმოფხვრა და სტრუქტურებით, ქცევითა და დამოკიდებულებით განპირობებული ნეგატიური გარემოებების კომპენსაცია.

პირდაპირი გენდერული დისკრიმინაცია (Direct gender discrimination) – დისკრიმინაცია პირდაპირია, როცა გარკვეულ გარემოში ადამიანს სხვებთან შედარებით უფრო უარესად ეპყრობიან მისი სქესის გამო.

პრაქტიკული მოთხოვნები და სტრატეგიული მოთხოვნები/ინტერესები (Practical needs and strategic needs/Interests)

- პრაქტიკული მოთხოვნები განპირობებულია ქალისა და კაცის განსხვავებული მატერიალური პირობებით; პროგრამები/პროექტები, რომელიც მიმართულია პრაქტიკულ გენდერულ მოთხოვნებზე, ასახავს ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას საზოგადოებაში, მაგრამ არ მოიცავს ქმედებებს, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნულის შეცვლას.
- კაცისა და ქალის სტრატეგიული მოთხოვნები/ინტერესები გამოდინარეობს მათი პოზიციიდან, სტატუსიდან და ძალაუფლებიდან. ქალების სტრატეგიული მოთხოვნები შეიძლება გულისხმობდეს საკუთრების უფლებებს და გენდერული ბალანსის შეცვლას რესურსების კონტროლზე, გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

პრაქტიკაში, პრაქტიკულ და სტრატეგიულ მოთხოვნებს შორის განსხვავება ყოველთვის ნათელი არ არის. პრაქტიკული გენდერული მოთხოვნება ქალისათვის შეიძლება იყოს წყლით მომარაგება, მაგრამ, ეს ქალისათვის ნიშნავს უფრო მეტ თავისუფალ დროს, რასაც ისინი მოახმარენ სწავლას – და ეს უკვე სტრატეგიული მოთხოვნებია.

სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები (Sex-disaggregated data) – სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება სქესის ნიშნის მიხედვით, გენდერული შედარებითი ანალიზის გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სწორი ტერმინია “სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები”, სხვადასხვა გამოცემებში ასევე გამოიყენება “გენდერული ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები”.

სქესთა თანასწორუფლებიანობა (Gender equity) – სამართლიანი მოპყრობა გენდერული ნიშნის მიუხედავად, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს თანასწორ მოპყრობას ან განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც უფლებების, პრივილეგიების, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით ექვივალენტურად მიიჩნევა.

სექსიზმისგან თავისუფალი მეტყველება (Non-sexist language) – ქალისა და კაცის თანასწორობის ან გენდერული ურთიერთობების მიმართ დიფერენცირებული – პოზიტიური ან ნეგატიური – დამოკიდებულების არარსებობა.

სექსიზმი (sexism) – წარმოადგენს კაცური უპირატესობის იდეოლოგიას, რომელსაც კვებავს წარმოდგენათა მთელი სისტემა. პატრიარქატი სოციალური ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ამ იდეოლოგიის კონსოლიდაციას ახდენს. სექსიზმი დღეისათვის გამოიხატება უფრო “ნატიფი” დისკრიმინაციით: ქალთა ჩუმი გამოძევება მაღალანაზღაურებადი პროფესიებიდან და თანამდებობებიდან, განსხვავებული პრაქტიკული და სპორტული განათლება გოგონებისა და ბიჭებისათვის, გოგონების ორიენტირება უფრო “ქალურ” პროფესიებზე, ქალთა უფლებამოსილების უგულვებელყოფა სხვადასხვა სფეროებში და პირად ქცევაში, მედია საშუალებებში ქალის გამოსახულების დამამცირებელი გამოყენება.

უხილავი ბარიერები (Glass ceiling) – ტრადიციული მიდგომები, ნორმები და ღირებულებები, რომელიც ხელს უშლის ქალს შეასრულოს სოციალური ვალდებულებები და სრულად მიიღოს მონაწილეობა სოციალურ ცხოვრებაში.

შრომის ბაზრის დესეგრეგაცია (Labour market desegregation) – პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე სეგრეგაციის (ვერტიკალური ან/და ჰორიზონტალური) დისკრიმინაციის შემცირებას ან აღმოფხვრას.

გამოყენებული ლიტერატურა

Canadian International Development Agency (CIDA) – “Guide to Gender-sensitive Indicators”- Ottawa, 1997

Corner L. – “From Margins to Mainstream: From Gender Statistics to Engendering Statistical Systems”- UNIFEM in Asia-Pacific & Arab States, 2004

Council of Europe- “Gender Mainstreaming. Conceptual framework, methodology and presentation of good practices. Final Report of Activities of the Group of Specialists on Mainstreaming”, 1998

Dragomir O., Miroiu M. – “Lexicon Feminist”, editura Poirom, Bucuresti, 2002

European Commission – “Incorporating Equal Opportunities for Women and Men into all Community Policies and Activities. Communication from the Commission”COM (96), 67, 1996

European Commission – “A Guide to Gender Impact Assessment”- DG Employment, Industrial Relations and Social Affairs, Department V/D.5, October 1997.

Fredman Sandra – “Discrimination Law”- Oxford, Oxford University Press, 2002

hedman B., Perucci F., Sundstrom P. – “Engendering Statistics – A tool for change”- Copenhagen, Statistics Sweden, 1996

MacWen Martin – “Tackling Racism in Europe: An Examination of Anti-Discrimination Law in Practice”- Oxford, Berg, 1995

Status of Women Canada – “Gender-based analysis: A guide for policy-making”, Ottawa, September 1998

Uplekar, M., Pathania, V. & Raviglione, M. – “Private practitioners and public health: weak links in tuberculosis control”- Lancet 358, 2001, pages 912 – 916.

Verloo M. & Roggeband C. – “Gender Impact Assessment: The development of a new instrument in the Netherlands”in Impact Assessment, vol. 14, no. 1, 1996.

Verloo M. – “Gender mainstreaming: practice and prospects”, Council of Europe, Strasbourg, EG (99), 2000

UN Fourth World Conference on Women – Global Platform for Action, Beijing, 1995

Women Equality Unit – “Gender Impact Assessment”, Department of Trade and Industry, Great Britain, 2002